სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
მდგომარეობით

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

მმართველობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:
- მიმოხილვა 2
- ფინანსური შედეგების მიმოხილვა 2
- რისკის მართვა 3-5
- ძირითადი რისკები და არასარწმუნოებები 6
- ადამიანური რესურსების მართვა 7
- კორპორაციული პასუხისმგებლობა 8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 9-11

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 12
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 13
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 14
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 15

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

1. ორგანიზაცია 16
2. მომზადების საფუძველი 16
3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება 17
4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა 24
5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯა და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები 41
6. ფული და ფულის ექვივალენტები 44
7. სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში 44
8. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ 44
9. კლიენტებზე გაცემული სესხები 45
10. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 48
11. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში 48
12. ძირითადი საშუალებები 49
13. არამატერიალური აქტივები 50
14. სხვა აქტივები 51
15. გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ 51
16. კლიენტების დეპოზიტები 51
17. რეზერვები 52
18. სხვა ვალდებულებები 53
19. სუბორდინირებული სესხი 53
20. სააქციო კაპიტალი 53
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დანაკარგებამდე 54
22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე და არმქონე აქტივებზე 54
23. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები 55
24. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე 55
25. საოპერაციო ხარჯები 56
26. მოგების გადასახადი 56
27. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 57
28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 59
29. კაპიტალის რისკის მართვა 60
30. რისკის მართვის პოლიტიკა 63
31. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 86
32. შემდგომი მოვლენები 87

დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე, პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ბანკის მიერ მოქმედი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების შესატყვისი მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 1 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი **გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**	**გულნარა მარშანიშვილი** **მთავარი ბუღალტერი**
2019 წლის 1 მარტი თბილისი, საქართველო	2019 წლის 1 მარტი თბილისი, საქართველო

დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

მმართველობითი ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკ საქართველო“ („ბანკი“) არის სს „ხალიკ ბანკ ყაზახეთის“ საკუთრებაში არსებული მისსივე შვილობილი კომპანია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2008 წლიდან ოპერირებს.

2009 წელს ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საბანკო პროდუქტების გასაყიდად ყველა აუცილებელი პირობის შექმნა, კერძოდ, საბანკო ინფრასტრუქტურის მოწყობა, კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და საოპერაციო საქმიანობის ფორმალიზება.

2010 წლიდან მოყოლებული ბანკი აქტიური ოპერაციებითაა დაკავებული და საფონდო ბაზარზე ახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და ბანკთაშორის ტრანზაქციებს. 2010 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ბანკი ჩაერთო სესხების გაცემის აქტიურ პროცესში, რაც დღემდე წარმატებით მიმდინარეობს.

ბანკს აქვს რვა კარგად მოწყობილი წარმომადგენლობითი ოფისი (ფილიალი), აგრეთვე ბანკომატებისა და გადახდის ტერმინალების ქსელი. რვიდან ორი ფილიალი განთავსებულია ქვეყნის დედაქალაქის გარეთ (ბათუმსა და ქუთაისში), დარჩენილი ექვსი ფილიალი კი ფუნქციონირებს დედაქალაქში.

ბანკის მიზანია, წარმატებული საქმიანობა გააგრძელოს ყველა საბაზრო სეგმენტში, მათ შორის, საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესის, კორპორაციული ბიზნესის სეგმენტებში. ამ მიზნით, ბანკი კლიენტებს სთავაზობს მომსახურებათა ფართო სპექტრს - საკრედიტო პროდუქტებს, სახელფასო პროგრამებს, მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი ანაბრების დიდ არჩევანს, ბარათებს, დისტანციურ საბანკო სერვისებსა და დოკუმენტურ ოპერაციებს. ბანკს მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვს ჩადებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საგადახდო სისტემების განვითარებაში და წარმატებას აღწევს ბაზარზე ინოვაციური საბანკო პროდუქტების თვალსაზრისით. ბანკს აქვს კარგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობები, რომელთა მეშვეობით გადახდის ტრანზაქციების განხორციელება მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა შესაძლებელი. ბანკი ჩართულია SWIFT და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემებში.

ახლო მომავალში ბანკი გეგმავს ფინანსური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და კლიენტებისათვის ახალი, ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას. გარდა ამისა, ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ კომპონენტად, საბანკო პროდუქტების შემუშავებასთან ერთად, განიხილება პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ბანკის ფილიალების ქსელისა და დისტანციური მომსახურების არხების განვითარების გზით.

ბანკის სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მოითხოვს ამ სტრატეგიის ბანკის შიდა ზედამხედველობის ქსელის მიხედვით გამართვას. ბანკში ფუნქციონირებს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის მძლავრი სისტემები, რაც მას საშუალებას აძლევს, სტრატეგიის განხორციელების პარალელურად, დაადგინოს რისკის დასაშვები ოდენობები და მყისიერად გამოავლინოს, შეაფასოს, მართოს და ანგარიშებში ეფექტურად ასახოს სხვადასხვა დროს არსებული რისკები.

ინფორმაცია აქციათა შესყიდვის თაობაზე

2018 წლის 19 მარტს ბანკმა გამოუშვა ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი (14,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული - 1,000 ლარის ნომინალური ღირებულებით). ბანკს გამოსყიდული აქციები არ ჰქონდა. ამჟამად ბანკს გამოშვებული აქვს ერთი კლასის ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც სრულადაა გადახდილი. პრივილეგირებული აქციები ბანკს არ აქვს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები აღწერილია ბანკის წესდებაში. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ხმის უფლება შეზღუდული არ არის და თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმა გააჩნია. წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის მოძრაობა აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაში.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

გრძელვადიან თანამშრომლობასა და უმაღლესი ხარისხის ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე გათვლის შედეგად ბანკი კორპორაციულ სეგმენტში მყარად იკავებს ადგილს. სებ-ის მიერ გამოცემული კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი მთლიანი აქტივებისა და საბანკო სექტორში წილის მიხედვით მეათე ადგილზეა.

2018 წელს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „ფიტჩ რეიტინგმა“ („ფიტჩი“) ბანკს მიაკუთვნა „ემინენტის დეფოლტის გრძელვადიანი რეიტინგი“ („ედრ“) BB-, რაც შეესაბამება სტაბილურიდან დადებითისკენ გადახრილ პერსპექტივას და ბანკის საქმიანობის სწრაფ ზრდასა და გაუმჯობესებულ მედეგობას ასახავს. ამავე სააგენტომ ბანკის სიცოცხლისუნარიანობის რეიტინგი („სრ“) შეაფასა რეიტინგით b+, რადგან, მისი აზრით, ბანკი საკმარისად დამოუკიდებელია დამფუძნებელი ბანკისგან კრედიტების ინიცირებისა და დამტკიცების თვალსაზრისით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთ-ერთი ძირეული ფინანსური მაჩვენებელი, ბანკის კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE) მცირედით შემცირდა წინა წელთან შედარებით. 18.08%-დან იგი 14.22%-მდე ჩამოვიდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საპროცენტო მარჟის შემცირებითა და 2018 წლის მარტში კაპიტალის ინექციით.

სხვა ძირეული მაჩვენებლები, როგორებიცაა სესხზე დანაკარგის კოეფიციენტი (LLR) (1.54%), საოპერაციო ხარჯების ფარდობა შემოსავალთან (48%) და დაქირავებულ პირთა ბრუნვა (პერსონალის კარგვა) (9.6%) წინა წელთან შედარებით მცირედით შეიცვალა (2017: 2%, 44% და 8.3% შესაბამისად). ბანკმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაიწყო 2014 წლის ივლისში ბასსს-ის მიერ გამოშვებული ფასს 9-ის გამოყენება, რამაც გამოიწვია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ECL) გაზრდა 17%-ით. ფასს 9-ის პირველადი გამოყენება განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

აღსანიშნავია, რომ ბანკის სესხზე დანაკარგის კოეფიციენტი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს მთელ საბანკო სექტორში. 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული უმოქმედო სესხების მაჩვენებელი გაუმჯობესდა და 2017 წლის ბოლოს დაფიქსირებული 3.2%-დან 2.7%-მდე შემცირდა.

სხვა მაჩვენებლებში ცვლილებები უმნიშვნელოა. ბანკის დეპოზიტარებისა და დაქირავებულ პირთა რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაიზარდა და გახდა 14,520 (2017: 13,954) და 225 (2017: 194) შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს სრულად აქვს შესრულებული სებ-ის მოთხოვნები. კერძოდ:

- პირველადი კაპიტალი - 81,014 ათასი ლარი, მოთხოვნილი 48,873 ათასი ლარის ნაცვლად.
- მთლიანი პირველადი კაპიტალი - 81,014 ათასი ლარი, მოთხოვნილი 60,969 ათასი ლარის ნაცვლად.
- მთლიანი საწესდებო კაპიტალი - 102,824 ათასი ლარი, მოთოვნილი 92,782 ათასი ლარის ნაცვლად.

სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

რისკის მართვა

რისკის მართვის ღონისძიებები იმართება რისკის მართვის გაერთიანებული სისტემის ფარგლებში. რისკის მართვის პროცესში ყველა მმართველობითი რგოლის მონაწილეობა, კომპეტენციათა მკაფიო გამიჯვნა და სხვადასხვა პირს შორის კომუნიკაციის ეფექტურობა ხელს უწყობს ბანკის სტრატეგიული და რისკის მართვის ამოცანების ცხადად ჩამოყალიბებასა და დასაშვები რისკის მაჩვენებლების დაცვასა და რისკის გონივრულად მართვას.

ბანკის მმართველობის სტრუქტურა უზრუნველყოფს ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების ადეკვატური დონის არსებობასა და მოვალეობათა მკაფიო განაწილებას. ზოგადი პასუხისმგებლობა დასახულ ამოცანებთან შესაბამისობასთან აკისრია სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო დირექტორთა საბჭო („საბჭო“) ზედამხედველობას უწევს და ხელმძღვანელობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.

ბანკში მოქმედებს რისკის მართვის შემდეგი მთავარი ორგანოები: სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი, ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტი და საკრედიტო კომიტეტები:

- ბანკის აქტივების, ვალდებულებებისა და რისკის მართვის ღონისძიებებზე, პოლიტიკასა და პროცედურებზე ზოგადი პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორთა საბჭოს. იგი განსაზღვრავს ბანკის ძირეულ ფასეულობებს, აწესებს ბანკის სტრატეგიას და აკონტროლებს მის განხორციელებას რისკის მართვისა და შიდა კონტროლის ძლიერი და ეფექტური სისტემების მექანიზმების საშუალებით. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დირექტორთა საბჭოს რისკის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული ფუნქციები დელეგირებული აქვს ბანკის შიგნით მოქმედ გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოებზე.
  დირექტორთა საბჭოში ხუთი დირექტორი შედის, რომელთაგან თითოეული აღმასრულებელი დირექტორია. დირექტორთა საბჭოს წევრები შეირჩევიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. თითოეულ წევრს საბჭოში მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია აკისრია.

- აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობს და აკონტროლებს შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემებს ფინანსური ანგარიშგების პროცესის თვალსაზრისით. ის პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის ძირეული პოლიტიკების განხორციელებაზე და ხელს უწყობს შიდა და გარე აუდიტორებს მათს საქმიანობაში.
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი („ავკო“) უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი მმართველობითი ინფორმაციის სისტემების ფუნქციონირებას და ზედამხედველობს ბანკში ფინანსური რისკის მართვის პროცესს. ავკოს ერთ-ერთი მიზანია ლიკვიდობის უზრუნველყოფა საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის სპრედის მართვის პროცესში. მხედველობაში მიიღება, აგრეთვე, ინვესტიციები და საოპერაციო რისკი. ავკოს სხდომა სულ მცირე თვეში ერთხელ ტარდება და მასზე ხდება ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ყოველთვიური ანგარიშის შემოწმება. დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ავკო დროდადრო ამოწმებს მოქმედ პოლიტიკებს და ფინანსური რისკის მართვის პროცესში დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს.
- ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი წარმართავს რისკის მართვის ღონისძიებებს და აკონტროლებს რისკის მნიშვნელოვან ტენდენციებს. ამ პროცესის მიზანია რისკის პროფილის შენარჩუნება დასაშვები რისკების ფარგლებში. მმართველი საბჭოს საოპერაციო რისკის კომიტეტი იღებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორაციული მართვის პროცესების რეგულარულ აუდიტზე, საოპერაციო და სხვა რისკების დონის შემცირების, ბანკის შიდა კონტროლის სისტემების აუდიტირებისა და დეპარტამენტებისა და განყოფილებების მხრივ გადაცდომებისა თუ შეცდომების აღმოჩენის მიზნით. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ყველა შეფასების შედეგებს განიხილავს ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად და დასკვნებსა და რეკომენდაციებს აწვდის ბანკის აუდიტის კომიტეტს. იგი ბანკის მმართველი საბჭოსგან დამოუკიდებელია. დეპარტამენტის უფროსს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე.
- ხაზინის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვასა და მის მთლიან ფინანსურ სტრუქტურაზე. სწორედ მას ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა ბანკის კუთვნილი სახსრებისა და ლიკვიდობის რისკის მართვაზე.
- ბანკში მოქმედებს სამი საკრედიტო კომიტეტი (ერთობლივად „საკრედიტო კომიტეტები“), რომელთაგან თითოეული ზედამხედველობს და მართავს საკრედიტო რისკებს საცალო, მცირე/საშუალო ბიზნესის („მსბ“) და კორპორაციულ სესხებთან მიმართებით. ეს სამი კომიტეტია: მსხვილი კრედიტების კომიტეტი, მცირე/საშუალო კრედიტების კომიტეტი და საცალო კრედიტების კომიტეტი. თითოეულ კომიტეტში შედის სულ მცირე ერთი დირექტორი და საკრედიტო რისკების დეპარტამენტის უფროსი ან დირექტორი - რისკების ზედამხედველი. მოცემული ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელი ბანკის დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და შესაბამისი კომიტეტის მიერ.

ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები შემუშავებულია ბანკის დონეზე, უმაღლესი ხელმძღვანელობის დახმარებით და განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების სისტემატურად გამოვლენა, შეფასება, რაოდენობრივად გამოსახვა, მართვა და კონტროლი.

ბანკის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი (სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკების ჩათვლით) და საოპერაციო რისკი. ქვემოთ მოცემულია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების აღწერა აღნიშნულ რისკებთან მიმართებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის ეფექტურად მართვის მიზნით ბანკმა რამდენიმე კონკრეტული ზომა მიიღო, როგორც ორგანიზაციის სტრუქტურის, აგრეთვე ბიზნეს-პროცესის მართვის თვალსაზრისით, რაც განმარტებულია რისკის მართვის პოლიტიკასა და ცალკეული დეპარტამენტების საქმიანობის გზამკვლევებში. ბანკში ყველა საკრედიტო პროდუქტი აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ბანკში მოქმედებს საკრედიტო რისკის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დროულად გამოვლენასა და მართვაზე. დეპარტამენტის ფუნქციები აგრეთვე, მოიცავს მთლიანად ბანკის რისკის პოლიტიკის განსაზღვრას, მისი შესრულების უზრუნველყოფას, სესხის პორტფელის ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, აგრეთვე, ბანკის რისკის შეზღუდვის ნორმებისა და სექტორული ლიმიტების მონიტორინგს.

ბანკის პოლიტიკის მიხედვით, სისტემატურად სრულდება შემდეგი პროცედურები:

პორტფელი იყოფა სეგმენტებად. თითოეულ სეგმენტში დგინდება მსესხებლის საშუალო დეფოლტის ალბათობა. თითოეული სეგმენტის 99%-იანი სანდოობით შესაძლოო დანაკარგების განსაზღვრის მიზნით, ხდება მსესხებლის დეფოლტის კორელაცია სეგმენტებში. ეს უკანასკნელი დგინდება სავარაუდო დანაკარგების განაწილების ფუნქციით, ვაზიჩეკის პორტფელის განაწილების მოდელის საფუძველზე, რომელშიც ერთი სისტემატური ფაქტორია გათვალისწინებული. პორტფელის სეგმენტებად დაყოფის პრინციპად აღებულია სეგმენტში მსესხებლის დეფოლტის მაქსიმალური ჰომოგენურობა.

საკრედიტო მიმართულება იყოფა კორპორაციულ, მსბ და საცალო ბიზნესების დეპარტამენტებად. დაყოფის კრიტერიუმებად აღებულია საკრედიტო ლიმიტის მოცულობა, კლიენტის სიდიდე და შემოსავლის წყარო. კლიენტების სეგმენტირების პროცესს წარმართავენ სპეციალური თანამშრომლები, რომელთა მიზანია სეგმენტის მოთხოვნებსა და კლიენტის პროფილს შორის მაქსიმალური შესაბამისობის დაცვა. კორპორაციულ სექტორში გაყიდვებისა და ანალიზის ფუნქციები ერთმანეთისგან განცალკევებულია.

პოტენციური კლიენტების საკრედიტო ლიმიტები მტკიცდება მხოლოდ მათი გადახდისუუნარობის საფუძველზე.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად, სესხზე ყველა განაცხადს განიხილავს საკრედიტო რისკის განყოფილება, რომელიც შემდეგ რეკომენდაციას წარუდგენს საკრედიტო კომიტეტს.

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკაში გათვალისწინებულია რისკის პროფილე, ოპერაციების მასშტაბი და ბანკის განვითარების გეგმები. ფინანსური რისკების (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდობის, ა.შ.) პოლიტიკების მიხედვით ფინანსური რისკის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოა ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი. აღნიშნული პოლიტიკის მთავარი ამოცანებია სხვადასხვა საბაზრო პირობებში წარმოშობილი დანაკარგების შემცირება და ლიკვიდობის უსაფრთხო დონეზე შესანარჩუნებლად საკმარისი სახსრების უზრუნველყოფა. რისკის მართვის ერთერთი მთავარი მექანიზმია ფინანსური კონტრაგენტის მიერ დაწესებული ლიმიტები - ინსტიტუტები, ქვეყნები, სავალუტო პოზიცია და ღირებულება რისკქვეშ (VAR), ვალუტის გადაფასება, ლიკვიდობისა და პროცენტული დეფიციტი, რაც განსაზღვრავს ბანკისათვის მისაღები რისკის დონეს. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტს ყოველთვიურად მიეწოდება ანგარიშები დადგენილი ლიმიტების გამოყენების თაობაზე. მათი დარღვევის შემთხვევაში ძალაში ამოქმედდება რისკის შემცირების ღონისძიებები.

საბაზრო რისკი იმართება ბანკის შესაბამისი პოლიტიკებით, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს. საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკები დამფუძნებელი ბანკისა და მარეგულირებელი ორგანოს პოლიტიკებისა და მოთხოვნების შესაბამისად დგება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკის ადრეული ნიშნების გამოვლენისას რისკის მართვაში პირველ რიგში ხაზინა ერთვება, ხოლო ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი რისკების მონიტორინგსა და ლიმიტების კონტროლზეა პასუხისმგებელი. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ყოველთვიურად წარადგენს ანგარიშს, რომელშიც სავალუტო პოზიციები და ლიმიტებია მოცემული. მათი დარღვევის შემთხვევაში, კომიტეტი განიხილავს და მხედველობაში იღებს რისკის შემცირების სხვადასხვაგვარ მიდგომებს.

სავალუტო რისკის მართვის მიზნით განისაზღვრება შემდეგი ლიმიტები: თითოეულ ვალუტაში ლიმიტები დგინდება ღია სავალუტო პოზიციაზე; მაქსიმალური სავალუტო დანაკარგის ლიმიტი თვეში (სტოპ-ლოსი), და ლიმიტი რისკქვეშ ღირებულებაზე (VAR).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი საპროცენტო განაკვეთს გეპ-ანალიზის მეშვეობით აფასებს. გარდა ამისა, გეპ-ანალიზითვე დგინდება ლიმიტი დაგეგმილ წმინდა საპროცენტო შემოსავალთან მიმართებითაც. ეს ინფორმაცია ყოველთვიურად გადაეცემა ავკოს, რომელიც ლიმიტებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ ადგენს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკის მართვა (სრმ) ბანკის ყოველდღიური ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი რეგულარულად აკონტროლებს საოპერაციო რისკებს მათი თავიდან არიდების მიზნით ან იმისათვის, რათა მიიღოს ზომები, რეკომენდაციების შესაბამისად, მათი ჰეჯირების ან რისკის დონის შემცირების მიზნით. პროდუქტები და პოლიტიკები რეგულარულად ფასდება და ანალიზდება რისკზე, რის შედეგადაც ახლდება და კორექტირდება არსებული რეკომენდაციები, ხოლო ზოგჯერ ინერგება ახალი რეკომენდაციები და პოლიტიკები.

საოპერაციო რისკების მართვის მიზნით, წელიწადში ერთხელ დგინდება ბანკისათვის მისაღები წლიური დონეები. ეს ხდება წმინდა დანაკარგების სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად. გარდა ამისა, ყოველ წელს თითოეული დეპარტამენტისათვის მზადდება საოპერაციო რისკის მატრიცა. პროგრამული უზრუნველყოფის მატრიცას ინფორმაციის დაცვის კომიტეტი აფასებს და ამტკიცებს. დამატებით, რისკის

კონტროლის ეფექტურობისა და პოტენციური პრობლემების დასადგენად გამოიყენება შემდეგი საშუალებები: საოპერაციო დანაკარგის მონაცემთა ბაზები, ახალი პროდუქტების/პროცესების რისკის შეფასება, რისკის კონტროლის თვით-შეფასება, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირება და ა.შ.

ძირითადი რისკები და არასარწმუნოებები

რისკის მართვა ბანკის სტრატეგიის ხერხემალია. მის ეფექტურად განსახორციელებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რისკებისა და არასარწმუნოებების ადრეულ გამოვლენას. ბანკის მაჩვენებლებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შემდეგმა ძირითადმა რისკებმა:

1 ბანკზე მოქმედი რეგულირების რისკი

ფინანსური ინსტიტუტები მკაცრად რეგულირდება და, ამდენად, მათზე რეგულირების რისკი მოქმედებს. დაფინანსებისა და სხვა გარიგებების პირობები და რეგულაციები კაპიტალის ადეკვატურობისა და სხვა გარკვეული კოეფიციენტების დაკმაყოფილებას მოითხოვს. ადგილობრივმა მარეგულირებელმა, სებმა შემოიტანა კაპიტალის ადეკვატურობის სქემა, რომლითაც მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნა პირველი და მეორე პილარების ბუფერებზე იყოფა. ბუფერები თანდათანობით, ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში შემოდის. გარდა ამისა, სებ-ს შეუძლია გონიერების მოთხოვნები მთელ სექტორს ან მის ცალკეულ ინსტიტუტებს გაუზარდოს. ამდენად, ბანკის რენტაბელობა და ფინანსური მაჩვენებლები რეგულირების დამატებითმა ტვირთმა, მათ შორის, კაპიტალის მაღალმა მოთხოვნამ, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს.

რისკის შემცირება
ფინანსური რისკების სამართავად ბანკს გააჩნია ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი, რომელიც პირდაპირ დირექტორთა საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული და ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება რეგულირების მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით. სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების შესრულება ყოველთვიურ მონიტორინგს ექვემდებარება, რაზედაც ბანკი ამზადებს ანგარიშს სებ-ის ბუღალტრული აღრიცხვის წესების შესაბამისად.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ბანკის კაპიტალიზაცია შეადგენდა 15.87% და 15.87%-ს პირველად და მთლიან პირველად კაპიტალზე სებ-ის მიერ მოთხოვნილი 9.57% და 11.94%-ის საპირისპიროდ. ეს მონაცემები შესაბამის მარეგულირებელ მინიმუმებს ბევრად აღემატება.

გარდა ამისა, ბანკი რეგულარულად ასაჯაროვებს მესამე პილარის განმარტების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც სებ-ის მმართველობის №92/04 ბრძანებით („მესამე პილარის განმარტების მოთხოვნები კომერციული ბანკებისათვის“) განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მზადდება.

სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების შესრულება ყოველთვიურად კონტროლდება სებ-ის ბუღალტრული აღრიცხვის წესების შესაბამისად მომზადებული დამოუკიდებელი ანგარიშების მეშვეობით.

2 ბანკს ეკისრება კონცენტრაციის რისკი და საკრედიტო რისკი

ბანკს მსხვილი ინდივიდუალური სესხები აქვს გაცემული მსესხებლებზე, რომელთა პოტენციურ დეფოლტს შეუძლია საკრედიტო დანაკარგების და მაღალი გაუფასურების ხარჯის გაზრდა გამოიწვიოს. ათი უმსხვილესი მსესხებლისგან მომდინარე რისკი 14%-ს შეადგენს. სევე, არსებობს გარკვეული ეკონომიკური სექტორების ციკლური ხასიათიდან მომდინარე ზეგავლენა. ამის გამო, ერთი მსხვილი მსესხებლის ან მცირე მსესხებლების დიდი კონცენტრაციის დეფოლტს შეუძლია მაღალი საკრედიტო რისკისა და გაუფასურების ხარჯების გამოწვევა. 20 უმსხვილესი მსესხებლისგან მომდინარე რისკი სესხების მთლიანი პორტფელის 38%-ს ეკისრება.

რისკის შემცირება
ბანკის კლიენტების საკრედიტო ხარისხის შესაძლო ცვლილებებისა და პოტენციური ზარალის ადრეული იდენტიფიკაცია და საკრედიტო რისკის შესამცირებლად აღმკვეთი ზომების დაგეგმვის მიზნით, საკრედიტო კომიტეტები მუდმივად ატარებენ კრედიტუნარიანობის ხარისხის შემოწმებას.

ბანკი საკრედიტო რისკებს აგრეთვე მართავს დარგობრივი ლიმიტების დაწესებით, მსესხებლის/მსესხებლების ჯგუფის რისკის პოზიციის განსაზღვრით, ვადაგადაცილებული სესხების მუდმივი მონიტორინგითა და იმგვარი რეზერვების შექმნით, რომლებიც ბანკს საშუალებას მისცემს, პოტენციურ ზარალს გაუმკლავდეს. ბანკს აგრეთვე გააჩნია ბიზნეს-სესხების საკრედიტო რეიტინგის სისტემა, რაც კონტრაგენტის დეფოლტის დონის წინასწარ დადგენას უზრუნველყოფს.

3 ლიკვიდობის რისკი ბანკის ოპერაციების თანმდევი ფაქტორია

ლიკვიდობის რისკი საზოგადოდ საბანკო ოპერაციების მახასიათებელია და მის დონეზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორისაა დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტი დამოკიდებულება ან მასთან წვდომის დახშობა.

რისკის შემცირება
ლიკვიდობის რისკის შეფასების მიზნით, ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი ზომავს და აანალიზებს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან დეფიციტებზე შიდა პოლიტიკით დაწესებული ლიმიტების გამოყენების დონეს და, მათი დარღვევის შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობებს ავკოს, რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტილებას იღებს საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველყოფაზე. ლიმიტები განისაზღვრება პერიოდების მიხედვით, ლიკვიდობის ჯამურ დეფიციტების მთლიან აქტივებთან ფარდობასთან მიმართებით. ლიკვიდობის კრიზისის სამართავად შემუშავებულია სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია კონკრეტული ქმედებები სხვადასხვა კრიზისის შემთხვევაში.

2018 წლის განმავლობაში ბანკს დაკმაყოფილებული ჰქონდა დასაშვები რისკის ყველა ლიმიტი, აგრეთვე, სებ-ის მიერ განსაზღვრული მინიმალური ლიკვიდობის მოთხოვნა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზოგადი ლიკვიდობის კოეფიციენტი იყო 151%.

ადამიანური რესურსების მართვა

ბანკის მენეჯმენტი მაღალი ეთიკური სტანდარტებით, ფასეულობებითა და ადამიანის უფლებებით ხელმძღვანელობს და თავის თანამშრომლებს ხელს უწყობს ერთიმეორისა და კლიენტების, პარტნიორებისა და საზოგადოების მიმართ სანდო და პასუხისმგებლიანი მიდგომით მოქმედებაში. ბანკში მოქმედებს რამდენიმე შიდა პოლიტიკა და პროცედურა, რომელთა აღსრულება ყურადღებით კონტროლდება.

ეთიკისა და ქცევის კოდექსები - არეგულირებს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს და აწესებს ურთიერთობათა ნორმებსა და პრინციპებს. ბანკი თავის დაქირავებულ პირთაგან მუდმივად მოელის პატიოსან და ობიექტურ ქცევას და ყველა კანონის პრინციპისა და სულისკვეთების დაცვას. ყველა თანამშრომელს ევალება სამუშაო გარემოში დევნის, დისკრიმინაციის (გენდერის, ასაკის, ფიზიკური უნარშეზღუდულობის თუ რელიგიური შეხედულებების) თუ მიუღებელი საქციელის აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

ბანკის ეთიკის კოდექსისა და ქცევის კოდექსის დაცვას ადამიანური რესურსების დეპარტამენტი აკონტროლებს. პერიოდულ აუდიტს, ასევე, ატარებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. მისი მიზანია აღნიშნული პოლიტიკების დარღვევის ან მათგან გადაცდომის შემთხვევების გამოვლენა.

პერსონალის შრომის ორგანიზების სისტემა ეფუძნება საქართველოს შრომით კანონმდებლობას, კანონს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა მარეგულირებელ აქტებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად სფეროებს:

- საორგანიზაციო სტრუქტურის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების დაგეგმვა;
- თანამშრომელთა შერჩევა და თანამდებობებზე განაწილება;
- პერსონალის ტრენინგი და განვითარება;
- უფლებამოსილებათა მართვა და თანამშრომელთა მოტივაცია, სამუშაოს ანაზღაურება;
- კორპორაციული კულტურის ფორმირება და თანამშრომელთა სოციალური მხარდაჭერა.

წახალისების ახალი გამჭვირვალე და მოქნილი სისტემა ითვალისწინებს კვარტლური წამახალისებელი პრემიების გაცემას ბანკის ერთიანი ამოცანების დაძლევის პროცესში პერსონალის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. პრემია დამოკიდებულია წმინდა მოგების თვალსაზრისით გეგმების შესრულებაზე. 2018 წლის განმავლობაში პრემიები გაიცა ყველა კვარტალში, რაც ბანკის ფინანსურ შედეგებს შეესაბამებოდა.

ბანკის შიდა პოლიტიკის შესაბამისად, თანამშრომლებზე ფინანსური დახმარება გაიცემა ფეხმძიმობის, მშობიარობისა და ბავშვზე ზრუნვისათვის.

2018 წელს ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის მონაწილეობით, ბანკის საცალო ქსელის ოპერატორები და საოპერაციო ნაღდი ფულის სერვისების თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები მომსახურების ხარისხის ამაღლებასა და გაყიდვების უნარების განვითარებაში.

ბანკის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საგანმანათლებლო ღონისძიებაში, ფორუმსა და კონფერენციაში, რომლებიც სხვადასხვა კომპანიის, მათ შორის, სებ-ისა და დამფუძნებელი ბანკის ორგანიზებით მოეწყო.

კორპორაციული პასუხისმგებლობა

ბანკს ჯერჯერობით მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ღონისძიება არ ჩაუტარებია. თუმცა, წინა წლებში მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სოციალურ პროექტში, მათ შორის, 2015 წლის თბილისის წყალდიდობით დაზარალებულთა დახმარების პროექტში.

2018 წლის განმავლობაში ბანკმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი პირების მიერ დაორგანიზებულ ერთჯერად ღონისძიებებში:

- ასოციაცია „კათარზისი“ - არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ეხმარება - აპრილსა და დეკემბერში, რამდენიმე დღის განმავლობაში უფასო სადილის დაფინანსება (თბილისი და ზესტაფონი);
- ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონის ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემის დაფინანსება.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული დღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვმოქმედებდით ბანკისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობით ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ბანკის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ბანკის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ბანკის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე, შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ბანკი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ პროცედურები შევარჩიეთ და შევასრულეთ ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვის, ანალიზისა და დოკუმენტაციის გაცნობის, ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარების გზით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშებისა და შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია.

ჯონ რობინსონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

თბილისი, საქართველო
2019 წლის 1 მარტი

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	24,876	20,335
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	7	26,436	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	1,732	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	401,091	326,416
ინვესტიციები კაპიტალში	10	54	54
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	11	16,857	16,823
ძირითადი საშუალებები	12	13,247	12,041
არამატერიალური აქტივები	13	3,751	3,745
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		624	-
სხვა აქტივები	14	1,797	1,647
სულ აქტივები		**490,465**	**427,661**
ვალდებულებები:			
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	15	274,260	263,034
კლიენტების დეპოზიტები	16	86,477	61,683
სხვა ვალდებულებები*	18	2,122	2,419
მოგების გადასახადის ვალდებულება		-	1,313
ანარიცხები	17	273	179
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	26	2,529	1,750
სუბორდინირებული სესხი	19	26,860	26,013
სულ ვალდებულებები		**392,521**	**356,391**
კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	62,000	48,000
გადაფასების რეზერვი		1,614	406
გაუნაწილებელი მოგება		34,330	22,864
სულ კაპიტალი		**97,944**	**71,270**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**490,465**	**427,661**

* ბანკმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ასახვის ფორმა შეცვალა 2018 წლის 1 იანვარს ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების გატარების შედეგად. დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში №3.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	21	36,249	32,227
საპროცენტო ხარჯი	21	(12,077)	(8,344)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დანაკარგების ხარჯამდე		**24,172**	**23,883**
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების ხარჯის აღდგენა	22	857	(1,300)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**25,029**	**22,583**
საკომისიო შემოსავლები	23	1,618	4,356
საკომისიო ხარჯები	23	(861)	(2,510)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	24	1,103	1,105
გაუფასურების დანაკარგები საპროცენტო სარგებლის არმქონე აქტივებზე	22	(42)	-
ანარიცხების აღდგენა/(ანარიცხები)	17	75	(33)
სხვა შემოსავალი		196	26
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		**2,089**	**2,944**
საოპერაციო შემოსავალი		**27,118**	**25,527**
საოპერაციო ხარჯები	25	(12,703)	(11,914)
მოგება მოგების გადასახადამდე		**14,415**	**13,613**
მოგების გადასახადის ხარჯი	26	(1,859)	(1,756)
პერიოდის მოგება		**12,556**	**11,857**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემდგომში მოგება-ზარალში არარეკლასიფიცირებული ერთეულები:			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	12	1,438	-
ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი		(216)	-
სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე		**1,222**	**-**
სულ სრული შემოსავალი		**13,778**	**11,857**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017		**48,000**	**410**	**11,003**	**59,413**
პერიოდის მოგება		-	-	11,857	11,857
გადაფასების რეზერვის გამოთავისუფლება გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო		-	(4)	4	-
31 დეკემბერი, 2017		**48,000**	**406**	**22,864**	**71,270**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას, გადასახადის გარეშე		-	-	(1,104)	(1,104)
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)		**48,000**	**406**	**21,760**	**70,166**
სააქციო კაპიტალის გაზრდა	20	14,000	-	-	14,000
პერიოდის მოგება		-	-	12,556	12,556
გადაფასების რეზერვის გამოთავისუფლება გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო		-	(14)	14	-
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	1,222	-	1,222
31 დეკემბერი, 2018		**62,000**	**1,614**	**34,330**	**97,944**

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება მოგების გადასახადამდე		14,415	13,613
არაფულადი ერთეულების კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მატარებელ აქტივებზე	22	(857)	1,300
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის გარეშე არსებულ აქტივებზე	22	42	-
რეზერვი სხვა ოპერაციებზე	17	(75)	33
ცვეთა და ამორტიზაცია	25	1,113	976
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი/(მოგება)	24	(477)	87
ცვლილება დარიცხულ პროცენტში, წმინდა		4,958	2,893
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**19,119**	**18,902**
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება			
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
ფულის სავალდებულო რეზერვი სებ-ში		18,183	(7,138)
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(108)	(772)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(76,943)	(54,197)
სხვა აქტივები		(1,531)	(109)
საოპერაციო ვალდებულებების (კლება)/ზრდა:			
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		9,684	53,808
კლიენტების დეპოზიტები		25,357	(18,470)
სხვა ვალდებულებები		(475)	192
ოპერაციებში გამოყენებული ნაღდი ფული		**(6,714)**	**(7,784)**
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,725)	(825)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(8,439)**	**(8,609)**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(467)	(671)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		10	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(350)	(838)
სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების შესყიდვა		12	(190)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(795)**	**(1,699)**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		14,000	-
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		**14,000**	**-**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(225)	14
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		**4,541**	**(10,294)**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისი		20,335	**30,629**
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს		24,876	**20,335**

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 6,607 ათასი და 35,638 ათასი ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 5,447 ათასი და 31,965 ათასი ლარი.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

1. ორგანიზაცია

ხალიკ ბანკი საქართველო („ბანკი“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში დარეგისტრირდა 2008 წლის 29 იანვარს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის №0110246 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, ფასიანი ქაღალდებითა და უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №74.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შესაბამისად გააჩნდა რვა და შვიდი ფილიალი საქართველოში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებულ აქციებს ფლობდა შემდეგი აქციონერი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
პირველი დონის აქციონერი:		
სს ხალიკ ბანკი ყაზახეთი	100%	100%
სულ	**100%**	**100%**

სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის“ ძირითადი აქციონერები არიან სს ჰოლდინგი ალმექსი და სს აკუმულირებული საპენსიო ფონდი. სს ხალიკ ბანკი ყაზახეთის საბოლოო მფლობელები არიან ტიმურ კულიბაიევი და დინარა კულიბაიევა.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2019 წლის 1 მარტს დირექტორთა საბჭოს მიერ.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის ანგარიში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და გააგრძელებს მუშაობას ახლო მომავალში.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ ზოგიერთი ქონებისა, რომელიც ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აისახება გადაფასებული ღირებულებით, როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ.

ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონელსა და მომსახურებაში გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომლესაც გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის არსებულ თანმიმდევრულ ტრანზაქციაში პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის, იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას, ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულება გაზომვის ან/და განმარტების მიზნით აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების საზომი იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე დადგენილი ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული დადგენილი ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ქართული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) მიღების ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში №30.

ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი ელემენტები იზომება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური ვალუტა ბანკის აქციონერებისათვის არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ღირებულება დამრგვალებულია ათასობით ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარად არის მითითებული.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, ურთიერთგაქვითოს ზემოხსენებული თანხები და განზრახული აქვს წმინდა ღირებულებით აღრიცხვა ან სურს ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში არ გაიქვითება, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და შესაბამისად განმარტებული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკაში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის ბანკის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც გამოყენებულია ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან". ძირითად საბუღალტრო პოლიტიკებში შეტანილი ცვლილებები აღწერილია შენიშვნაში №3.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

ბანკმა ფასს 9 და ფასს 15-ის გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან. გარდა ამისა, ბანკმა ნაადრევად დაიწყო 2017 წლის ოქტომბერში გამოშვებული „წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით" (შესწორება ფასს 9).

ფასს 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები".*

ბანკმა შეიმუშავა ბასს-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოცემული ფასს 9, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებამ გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების ცვლილებები და ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე აღიარებული თანხების კორექტირების აუცილებლობა.

ფასს 9-ის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ბანკმა გადაწყვიტა, არ გადაეფასებინა შესადარისი რიცხვები. ფასს 9-ზე გადასვლის დღისათვის დაფიქსირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება აისახა მიმდინარე პერიოდის საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და სხვა რეზერვებში. ამდენად, განმარტების მიზნებისათვის, ფასს 7-ით

გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისი შესწორება გამოყენებული იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ზე გადასვლის გამო ბანკმა ცვლილებები შეიტანა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისა და განმარტებების საპრეზენტაციო ფორმაში. ეს ცვლილებები შეეხო მხოლოდ იმ რეზერვებს, რომლებიც 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავებით, სხვა ვალდებულებებისგან გამოცალკევდა.

ფასს 9-ის მიღებამ გამოიწვია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, აგრეთვე ფინანსური აქტივების გაუფასურების პოლიტიკების ცვლილება. ფასს 9-ის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების მარეგულირებელ სხვა სტანდარტებში, მაგალითად, ფასს 7: „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება“.

ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების ეფექტი ძირითადად ვრცელდება შემდეგზე:

- გაუფასურების ახალი მოდელის გამო, ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების დანაკარგების ზრდა/კლება
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებები.

დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში №4.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ნაშთების შედარება ბასს 39-სა ფასს 9-ს შორის

ბანკში ჩატარდა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელებისა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ერთმანეთს არის შედარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ბასს 39-ის მიხედვით შეფასების წინანდელი კატეგორიისა და 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლისას მიღებული შეფასების ახალი კატეგორიის მიხედვით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	20,335	20,332
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	44,955	44,953
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	1,645	1,644
კლიენტებზე გაცემული სესხები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	326,416	325,301
ინვესტიციები კაპიტალში	სავაჭროდ განკუთვნილი	რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში - საკუთარი კაპიტალი	54	54
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	დაფარვის ვადამდე ფლობილი	ამორტიზებული ღირებულება	16,823	16,814
სხვა ფინანსური აქტივები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	630	630
სულ ფინანსური აქტივები			**410,858**	**409,728**
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	263,034	263,034
კლიენტების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	61,683	61,683
სხვა ფინანსური ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	730	730
სუბორდინირებული სესხი	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	26,013	26,013
სულ ფინანსური ვალდებულებები			**351,460**	**351,460**
წმინდა ფინანსური აქტივები			**59,398**	**58,268**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეფასების თავდაპირველი კატეგორიები ბასს 39-ის მიხედვით და შეფასების ახალი კატეგორიები ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ფინანსური აქტივები				
სესხებიდან და მოთხოვნებიდან	**393,981**	**(393,981)**	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	20,335	-	(3)	20,332
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	-	(2)	44,953
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,645	-	(1)	1,644
კლიენტებზე გაცემული სესხები	326,416	-	(1,115)	325,301
სხვა ფინანსური აქტივები	630	-	-	630
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**393,981**	**(1,121)**	**392,860**
გასაყიდად განკუთვნილიდან	54	(54)	-	-
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	54	-	54
სხვა სრულ შემოსავალში რეალურ ღირებულებაში - საკუთარ კაპიტალში	-	54	-	54
დაფარვის ვადამდე ფლობილიდან	16,823	(16,823)	-	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	16,823	(9)	16,814
ამორტიზებულ ღირებულებაში	**-**	**16,823**	**(9)**	**16,814**
ფინანსური ვალდებულებები ბასს 39 საბალანსო ღირებულებიდან	**351,461**	**(351,461)**	-	**-**
გადასახდელები ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ	263,034	-	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	61,684	-	-	61,684
სხვა ფინანსური ვალდებულებები	730	-	-	730
სუბორდინირებული სესხი	26,013	-	-	26,013
ფასს 9 ამორტიზებულ ღირებულებაში	-	**351,461**	-	**351,461**

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი, გადასახადის გარეშე, გაუფასურების დანაკარგების ანარიცხებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. ეფექტი დაკავშირებულია გაუნაწილებელ მოგებასთან. საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებზე ეფექტი არ ფიქსირდება.

გაუნაწილებელი მოგება	
საბოლოო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	**22,864**
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ფასს 9-ის მიხედვით	(1,130)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება გარანტიებსა და ნაკისრ სესხებზე ფასს 9-ის მიხედვით	(169)
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	195
გადაფასებული საწყისი ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი)	**21,760**

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის „ბასს 18 – შემოსავლები“, „ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები“ და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება.

ეს ხუთი ეტაპია:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის საკონტრაქტო ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა სპეციფიური სცენარების დამუშავების თემებს. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა „ფასს 15-ის განმარტება", რომელიც დაკავშირებულია საკონტრაქტო ვალდებულებათა შესრულების დადგენის, ძირითადი და აგენტის ანაზღაურების განსაზღვრის, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენების პროცედურებთან.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და ბანკის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი;
- შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება
- შესწორება ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღება არსებით ზეგავლენას იქონიებს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ აღწერილი ფასს 16-ისა.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ბანკი ვალდებულია, ფასს 16 „იჯარები" 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს. ბანკმა შეაფასა ის სავარაუდო ეფექტი, რასაც ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე იქონიებს. ქვემოთ აღწერილია აღნიშნული შეფასების შედეგები. 2019 წლის 1 იანვარს სტანდარტის ამოქმედების რეალური ეფექტი შეიძლება შეიცვალოს, რადგან:

- ბანკს არ დაუსრულებია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების კონტროლის ტესტირება და შეფასება; და
- თავდაპირველი გამოყენების თარიღის მომცველი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკები შეიცვლება.

ფასს 16-ში მოცემულია მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს საიჯარო გარიგებებისა და იჯარის ბუღალტრული დამუშავების პროცედურების დადგენას მეიჯარეებსა და მოიჯარეებში. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის დამუშავების არსებულ ინსტრუქციებს, მათ შორის „ბასს 17 - იჯარა" და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16 იჯარისა და მომსახურების კონტრაქტებს ერთმანეთისგან განასხვავებს იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა იდენტიფიცირებულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო (არა-საბალანსო) იჯარისა და ფინანსური (საბალანსო) იჯარის განსხვავება მოიჯარის შემთხვევაში უქმდება და ჩანაცვლებულია მოდელით, რომლის მიხედვით, მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი და

შესაბამისი ვალდებულება ყველა იჯარაში გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებისა.

გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი თავდაპირველად აისახება ღირებულებით, შემდეგში კი ღირებულებისა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების გადაფასების ყოველი შემთხვევისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება ჯერ არგადახდილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. შემდგომში საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების, აგრეთვე სხვა ფაქტორებს შორის, იჯარის მოდიფიკაციების ეფექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იცვლება ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან საოპერაციო იჯარის გადახდები, ბასს 17-ის მიხედვით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; ხოლო ფასს 16-ის მოდელის მიხედვით კი, საიჯარო გადახდები დაიყოფა ძირითად თანხად და პროცენტად, რომლებიც, შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება ფულად ნაკადებად ფინანსური და საოპერაციო საქმიანობიდან.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, მეიჯარის მხარის ბუღალტრული აღრიცხვა ფასს 16-ში არსებითად ბასს 17-დან არის გადმოტანილი და მისი მიხედვით, მეიჯარე კვლავაც ვალდებულია, იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად განასხვავოს.

ბანკმა დაასრულა ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური ზეგავლენის საწყისი შეფასება, მაგრამ დეტალური შეფასება ჯერ არ დასრულებულა. თავდაპირველი გამოყენების პერიოდში ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფასს 16-ის რეალური ზეგავლენა დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, ბანკის საიჯარო პორტფელის განვითარებაზე, ბანკის გადაწყვეტილებაზე, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების არჩევანს და იმაზე, თუ რა მასშტაბით გადაწყვეტს იგი პრაქტიკული საშუალებებისა და არასავალდებულო აღიარების უფლების გამოყენებას.

მომავალში ბანკი აღიარებს ფილიალებისა და საოფისე ფართის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ ახალ აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისი ხარჯების ბუნება შეიცვლება, რადგან ფასს 16-ით საოპერაციო იჯარის ხარჯის წრფივი ასახვა იცვლება გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებზე - ცვეთის ხარჯითა და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯის შემოტანით.

ბანკი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებდა, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის დროში განსხვავება იყო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მომავალმა მინიმალურმა საიჯარო გადახდებმა ისეთ საოპერაციო იჯარებზე, რომელთა გაუქმება არ იგეგმება, ფასდათმობების გარეშე, 1,924 ათასი ლარი შეადგინა, რასაც ბანკი, სავარაუდოდ, აღიარებს დამატებით საიჯარო ვალდებულებად, 1,732 ათასი ლარის ღირებულებით.

ბანკი ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას გეგმავს 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექციული მიდგომით. ამდენად, ფასს 16-ის გამოყენების კუმულატიური ეფექტი აღიარდება როგორც 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, შესადარისი ინფორმაციის გადაფასების გარეშე.

ბანკი გეგმავს, უარი თქვას ახალ ფასს-ზე გადასვლისას იჯარის განსაზღვრების გამოყენებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფასს 16-ს გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრამდე გაფორმებულ და ბასს 17 და ფაისკ 4-ით იჯარად იდენტიფიცირებულ კონტრაქტებზე.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარმოდგენისა და განმარტების პრინციპები. ის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა „ზოგად მოდელს“, რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც „ცვლადი ანაზღაურების მიდგომად“ განისაზღვრება. „ზოგადი მოდელი“ მარტივდება „პრემიუმის განაწილების მიდგომის“ გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

„ზოგად მოდელში“ გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ

არასარწმუნოების დირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

სტანდარტის გამოყენება საგარაუდოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს პროცესებსა და სისტემაში და აუცილებელს გახდის ბიზნესის მრავალ ფუნქციას, მათ შორის, ფინანსებს, აქტუარულსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს შორის მეტი კოორდინაციის არსებობას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების მიდგომა ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მოთხოვნების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღად ითვლება რეალური გამოყენების თარიღი, თუ ის წლიური საანგარიშგებო პერიოდი, რომელშიც კომპანია პირველად გამოიყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი არის თავდაპირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დასაწყისი.

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს;. გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).

შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს სტანდარტების წლიური რედაქტირების 2015-2017 წლების ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ოთხ სტანდარტში.

ბასს 12 - მოგების გადასახადი
შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის მოქმედების შედეგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით უნდა აღიაროს, თუ თავდაპირველად სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების აღიარება. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი.

ბასს 23 - სესხის აღების ხარჯები
შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები
ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა გამოიყენოს ეტაპობრივად მიღწეული ბიზნეს-კომბინაციის მოთხოვნები, მათ შორის, რეალური ღირებულებით ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საწარმოში მანამდე ფლობილი წილები. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებულ აუღიარებელ აქტივებს, ვალდებულებებსა და გუდვილს.

ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა

ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს, მაგრამ არ ფლობს ერთობლივ კონტროლს ისეთ ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც არის ბიზნესი და ამ კომპანიამ მოიპოვა ერთობლივი კონტროლი ამგვარ ერთობლივ საქმიანობაზე, კომპანია არ არის ვალდებული, ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილი.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნაადრევი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება

შესწორება განმარტავს, რომ წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებით მიღებული მოგება ან ზარალი) გამოიანგარიშება დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებითა და შეთავაზებული ანაზღაურებისა და ანაზღაურების პროგრამის აქტივების შედარებით პროგრამის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (ან შეკვეცისა თუ გადახდის შემთხვევაში), მაგრამ აქტივის ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული ანაზღაურების პროგრამა პროფიციტურია). ბასს 19 მკაფიოდ ადგენს, რომ ზღვრული ოდენობის ეფექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის შესწორების (ან შეკვეცის თუ გადახდის) შედეგად, განისაზღვრება მეორე ეტაპზე და ჩვეულებრივად აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასებას. კომპანიებს ახლა ევალებათ მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასება დარჩენილი საანგარიშო პერიოდისათვის პროგრამის ცვლილების შემდეგ გადაფასებით მიღებული ახალი დაშვებების გათვალისწინებით. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, შესწორება მკაფიოდ ამბობს, რომ პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება ბასს 19.99-ით გადაფასებული წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (და ასევე წმინდა დადგენილ ვალდებულებაზე (აქტივზე) შენატანებისა და ბენეფიტის გადახდების ეფექტის გათვალისწინებით).

შესწორებები გამოიყენება პროსპექტიულად და ვრცელდება მხოლოდ იმ შესწორებულ, შეკვეცილ ან გადახდილ პროგრამებზე, რომლებიც განხორციელდა ბასს 19-ის პირველი გამოყენების წლიური პერიოდის დაწყების შემდეგ.

ბასს 19-ის შესწორებები ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, თუმცა, კომპანიის შეხედულებისამებრ, მათი გამოყენება შეიძლება ნაადრევადაც.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორებები)

აღნიშნული შესწორება ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღიარდება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა მეკავშირე პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში არადაკავშირებული ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს არსებით ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
  - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ სტანდარტის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკის პრინციპები:

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება შემდეგ ერთეულებს:

- შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. მათ შემთხვევაში ბანკი კრედიტზე შესწორებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ იყო შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდგომ გაუფასურდა. მათ შემთხვევაში ბანკი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას ბანკი მხედველობაში იღებს მოსალოდნელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით, გარდა სესხის დანაკარგებისა. გამოთვლაში შედის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ასევე ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა თუ დისკონტებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება

დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და/ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლების აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის საკომისიო შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად გადავადდება და აღიარდება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

როდესაც სავარაუდოა, რომ სავალო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სავალო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სავალო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სავალო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სავალო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სავალო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სავალო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აისახება, პირდაპირ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

თუ ტრანზაქციის ფასი თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებისგან განსხვავდება, ბანკი სხვაობას აღრიცხავს შემდეგი წესით:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისათვის ან ეფუძნება შეფასების ისეთ მეთოდს, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში

სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი).

- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშობა იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული; რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში; ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისათვის, ბანკს შეუძლია განახორციელოს რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ყოველი ინვესტიციისათვის ცალკე. ბანკმა გადაწყვიტა, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს „გაერთიანებულ ბილინგ-ცენტრში“ ფლობილი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

საწყისი აღიარებისას ბანკს შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება ზარალში, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ასახვით ბათილდება ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაშიბანკის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
ფული და ფულის ექვივალენტები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

სავალდებულო ნაშთი სებ-ში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები კაპიტალში	სხვა ბიზეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

<u>ბიზნეს-მოდელის შეფასება</u>

ბანკი აფასებს ბიზნეს-მოდელის მიზანს, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა, რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და აქტივების გაყიდვის გზით ფულადი ნაკადების მიღებაზე;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი ბანკის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს-მოდელზე (და ამ ბიზნეს-მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

<u>შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროში ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, კომპენსაცია სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ბანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს,

რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს; და
- პირობებს, რომლებიც ზღუდავს ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული შეუზღუდავი ნაშთებისგან და მაღალლიკვიდური ფინანსური აქტივებისგან სამ თვემდე ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებზეც მოქმედებს რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი და რომელთაც ბანკი იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

სავალდებულო ნაშთი სებ-ში

სებ-ში განთავსებული სავალდებულო ნაშთები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომლის გამოყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად დაუშვებელია. ამდენად, ეს ნაშთი არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის.

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსის სახით, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით გასცემს ფულს კონტრაგენტ ბანკებზე. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში. ეს ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები კაპიტალში

ბანკმა არჩია, არასავაჭროდ განკუთვნილი კაპიტალში ინვესტიციის რეალური ღირებულება წარმოადგინოს სხვა სრულ შემოსავალში. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად თითო ინსტრუმენტისათვის თავდაპირველი აღიარებისას და შეუქცევად ხასიათს ატარებს.

კაპიტალის ინსტრუმენტებით მიღებული მოგება და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში არასოდეს რეკლასიფიცირდება და გაუფასურება ამავე ანგარიშში არ აისახება.

დივიდენდები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ეს დივიდენდები მკაფიოდ არ წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილს, რა შემთხვევაშიც მათი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჯამური მოგება და ზარალი ინვესტიციის რეალიზაციისას გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა ბანკის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციის შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია საღირებო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ქვემოთ).

გაუფასურება

ბანკი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (მოიხსენიება როგორც 1-ელი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (მოიხსენიება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრის შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები</u>

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები</u>

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის ბანკი ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში. ასეთ აქტივებზე დადებითი ცვლილება გაუფასურების მოგებას წარმოშობს.

<u>ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება</u>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ბანკი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადაუხდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ბანკი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ბანკის დონეზეა შემუშავებული, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

<u>საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა</u>

ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბანკი გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

30 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკი თვლის, რომ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას და აქტივი გადადის გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ გაუფასურების დანაკარგების რეზერვი აღირიცხება როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ

აღინიშნებოდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

<u>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში</u>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში მეთოდით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის შეფასების რეზერვის აღიარება არ ხდება, რადგან საბალანსო ღირებულება მოცემულია რეალური ღირებულებით.
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც უზრუნველყოფა; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც წარმოდგენილ, ისე აუთვისებელ კომპონენტებს, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის კომპონენტზე წარმოდგენილი კომპონენტისგან იზოლირებულად: კომპანია წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა ნაჩვენებია, როგორც წარმოდგენილი კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება წარმოდგენილი კომპონენტის საერთო ოდენობაზე ნაჩვენებია, როგორც უზრუნველყოფა.

<u>ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა</u>

ფინანსური აქტივების მოდიფიცირდება მაშინ, როდესაც გადაიხედება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან იცვლება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში. მოდიფიცირების ზეგავლენა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან/და დროზე მყისიერია ან მოსალოდნელია მომავალში.

ბანკი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ამ თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, მისაღები ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას (ძირი თანხიდან და პროცენტიდან) და სხვა პირობების შეცვლას.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისას ბანკი აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. ბანკის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის დასადგენად, თუ შეცვლილი პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდების კატეგორიას, ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლა, საპროცენტო განაკვეთის შეცვლა, გადახდის ვადის დადგომა, კოვენანტების დაწესება; თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე (მოდიფიკაციაზე), მაშინ:
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, ბანკი თვლის, რომ ახალი შეთანხმება

არსებითად განსხვავდება თავდაპირველი შეთანხმებისგან, რაც იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვი ხელმეორედ გაიზომება, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწვევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გაზომილია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. ბანკი მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, ხომ არ რჩება მსესხებელს ვადაგადაცილებულის სტატუსიახალი პირობების მიხედვით;

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი აფასებს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა ბანკის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ბანკის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურიზაციის ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და, ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის, მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული/შეცვლილი პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიცარსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი, იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიციკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ ბანკი ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი დეფიციტის ანგარიშში.
ბანკი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისაც, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ ბანკი არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ის აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია აქტივისა და თანხების გადახდაზე ვალდებულების ინტერესი. თუ ბანკი არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, იგი კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

ჩამოწერა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება, როდესაც ბანკს არ აქვს იმის გონივრული მოლოდინი, რომ მოხდება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) ანაზღაურება. ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც ბანკს აქვს მოლოდინი, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლის საშუალებითაც მსესხებელი შეძლებს შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოსაწერად განკუთვნილი თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, ბანკის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით გამცემი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფულად-სასესხო გარანტია არის კრედიტის გაცემის დამოწმებული გარანტია წინასწარ განსაზღვრული პირობებით.

ფინანსური გარანტიები და საბაზროზე ნაკლები განაკვეთით სესხის გაცემის გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით. შემდგომ ისინი იზომება ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრული დანაკარგის ანარიცხებსა და თავდაპირველად აღიარებული თანხის (შესაბამის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპებით აღიარებული ჯამური შემოსავლის გამოკლებით) სხვაობას შორის უმეტესით.

ბანკს მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით ასახული სასესხო გარანტიები გაცემული არ აქვს.

სხვა ფულად-სასესხო გარანტიების შემთხვევაში, ბანკი დანაკარგის ანარიცხებს აღიარებს ფასს 9-ის შესაბამისად.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ ისინი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულად არ ითვლება, შემდგომში იზომება შემდეგიდან უმეტესით:

- კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულობის მოცულობა ბასს 37 - რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების მიხედვით; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა (შესაბამის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის თანახმად აღიარებული ჯამური ამორტიზაციის გამოკლებით).

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები“, „დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები", „სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური აქტივები" და "სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ბანკის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, სავაჭროდ განკუთვნილი ინვესტიციები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები და სესხები და მოთხოვნები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს მოკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით და საკრედიტო ინსტიტუტებზე გაცემულ ავანსებს 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით, რომელიც არ არის დატვირთული საკონტრაქტო ვალდებულებებით.

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარეზერვო დეპოზიტს, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი და რომელიც არ გამოიყენება ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. ამდენად, სავალდებულო რეზერვი არ მიეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან (გ) მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

ასეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე და მათი სამართლიანი ღირებულების გაზომვა სარწმუნოდ შეუძლებელია, წარმოდგენილია თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გამოკლებით თითოეული საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს ისეთ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებითა და დაფარვის ფიქსირებული ვადებით, რომელთა ფლობა ბანკს განზრახული აქვს და შეუძლია ვადის ბოლომდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იძულებული იქნება, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების უმნიშვნელოზე მეტი ნაწილი (გამონაკლისი სპეციფიკური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი გასაყიდად არსებულად რეკლასიფიკაცია. გარდა ამისა, შემდეგი ორი ფინანსური წლის განმავლობაში ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივის სახით.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება მოქმედ ბაზარზე (მათ შორის, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელზე დარიცხული პროცენტის აღიარება არსებითი სიდიდისა არ იქნებოდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აისახება,. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად განკუთვნილ ინვესტიციებად მიჩნეული კოტირებული და არაკოტირებული ინვესტიციების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების თვითღირებულების ქვემოთ ხანგრძლივი ან მნიშვნელოვანი ჩამოვარდნა ითვლება გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას ან გადახდისუუნარობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფურად. სესხებისა და მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებელი შეიძლება იყოს ბანკის წარსული გამოცდილება თანხების ამოღების თვალსაზრისით, პორტფელში

ვადაგადაცილებული გადახდების რიცხვის ზრდა, ასევე, ისეთი შესამჩნევი ცვლილებები ქვეყნისა თუ ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში, რაც დაკავშირებულია მოთხოვნების დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება გაუქმებას შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით. აღნიშნული არ ეხება სესხებსა და მოთხოვნებს, რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ გაუფასურების დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ისეთ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა გაუფასურების აღიარების გარეშე.

სესხები კონტრაქტის შეცვლილი პირობებით

თუ ეს შესაძლებელია, ბანკი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია, ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გავრცობასა და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება იანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც ეს გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავაც ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა არსებული მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და ბანკმა უკვე გაყიდა მის ხელთ არსებული მთელი უზრუნველყოფა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და აისახება აღდგენის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის მიერ ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ბანკი სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და, შესაბამისად, აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივისა და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ

შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მთლიანი მოგება-ზარალის ჯამს შორის აღირიცხება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

გამოშვებული სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი, საკონტრაქტო შეთანხმებების არსიდან გამომდინარე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება არის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს სხვა პირისათვის ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების გაცვლას ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არასასურველია ბანკისათვის, ან ისეთი კონტრაქტი, რომელზე ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომელიც არის არაწარმოებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია ან შეიძლება ვალდებული გახდეს, პირს მიაწოდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა ან წარმოებული კონტრაქტი საკუთარ კაპიტალზე, რომელზე ანგარიშსწორება მოხდება ან შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული ოდენობის გადახდის გარდა სხვა გზით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს შეცვლილი პირობების საფუძველზე ხდება ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება.

თუ ბანკმა ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტით არ აღრიცხა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაიანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით და მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, მოდიფიცირებით გამოწვეული მოგების ან ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება ისე, რათა მასში აისახოს მოდიფიცირების მომენტში არსებული საბაზრო პირობები. გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება. თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტები და სუბორდინირებული სესხები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გადასახდელებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტებსა და იმ სუბორდინირებულ სესხებს, რაც წარმოადგენს ბანკის აღებული სესხებით დაფინანსების წყაროებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, პირდაპირი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

სააქციო ინსტრუმენტები

სააქციო ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ მისი პირობები ითვალისწინებს მოიჯარისთვის არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

საოპერაციო იჯარაში გადახდილი თანხების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდზე თანაბრად გადანაწილებული ხარჯის სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით. საიჯარო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი პირობითი საიჯარო თანხების ასახვა ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა მათი გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ იჯარის გარიგების დასადებად გათვალისწინებულია შეღავათები, იგი აისახება როგორც ვალდებულება. შეღავათებით მისაღები მთლიანი სარგებელი აღირიცხება როგორც იჯარის ხარჯის შემცირება წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა მეთოდი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით.

დასაკუთრებული აქტივები

გარკვეულ ვითარებაში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტიანი სესხების უზრუნველყოფის დაკავების შედეგად. დასაკუთრებული აქტივები იზომება, ერთი მხრივ, საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ასევე ადმინისტრაციული მიზნით გამოყენებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების დღეს, გამოკლებულია შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება რეგულარულად, ისე, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი ქონების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში მხოლოდ იმ ოდენობით, რომ მან მოახდინოს მანამდე მოგება-ზარალში აღიარებული გადაფასების კლება იმავე აქტივზე. ასეთ შემთხვევაში ზრდა შედის მოგება-ზარალში მანამდე ხარჯად აღიარებული კლების ოდენობით. ამგვარი ქონების გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულების კლება აღიარდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ მან გადააჭარბოს ამავე აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებულ, უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში არსებულ ნაშთს.

წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მიმდინარე მშენებლობით მოცული ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ანაზღაურება და, ასევე, ბანკის საღრიცხვო პოლიტიკუეის მიხედვით შესაბამის აქტივებზე ხდება სესხის ხარჯების კაპიტალიზაცია. ამგვარი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიაში გადადის მაშინ, როდესაც დასრულდება და მზად იქნება დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, აღირიცხება მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად გამზადების შემდეგ.

გადაფასებული უძრავი ქონების გაუფასურება აღირიცხება მოგება-ზარალში. მისი შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემდეგ, გადაფასების ჭარბი ოდენობა, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

მიწას ცვეთის ხარჯი არ ერიცხება.

ცვეთა აისახება ისე, რომ წრფივი მეთოდით ჩამოიწეროს ღირებულება (გარდა მიწისა და მიმდინარე მშენებლობებისა) და შეფასებული ღირებულება აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით. სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდი, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სააღრიცხვო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	1%-2.17%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-15%
კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობა	10%-33.33%
სატრანსპორტო საშუალებები	10%-33.33%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%-50%
სხვა	15%

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც ბანკს აქვს აქტივის უწყვეტი გამოყენებით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების მოლოდინი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გაყიდვისას ან მისი სასარგებლო მოხმარების ვადის დასრულებისას, გამოითვლება როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო 2-15 წლიანი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სააღრიცხვო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე, ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

<u>არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა</u>. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გაყიდვისას ან მაშინ, როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. აღიარების შეწყვეტით მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც იანგარიშება როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებული წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტის მომენტში.

<u>მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა.</u> ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკი სისტემატურად განიხილავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა, ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც ჯერ გამოსაყენებლად არაა მზად, გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და მაშინ, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების ნიშნები.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე

დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ამ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება ანაზღაურებადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯების აღდგენა განიხილება, როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და, აგრეთვე, იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივი, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ, სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრ მოგებას და არც საბალანსო მოგებას.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვის ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომელთა აღიარება ხდება მოგება-ზარალში ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ

შემთხვევაში, მიმდინარე და გადავადებული გადასახადებიშესაბამისად აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ან პირდაპირ კაპიტალში.

2018 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კომპანიების მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე, ცნობილია, როგორც კომპანიების დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვით დაბეგვრა ხდება არა დასაბეგრი მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების მომენტში.

კომპანიების მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას არ გულისხმობს. მასში დაბეგვრა უბრალოდ გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათ განაწილებამდე; ანუ დაბეგვრის ობიექტი განაწილებული მოგებაა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის განსაზღვრებით, განაწილებული მოგება არის აქციებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება. თუმცა, მოგების განაწილებად ითვლება ზოგიერთი სხვა ტრანზაქციაც, მაგალითად, საერთაშორისო ტრანზაქცია დაკავშირებულ პირებს შორის ან/და გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან საგადასახადო მიზნებისათვის.. გარდა ამისა, გადასახადის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებსა თუ სხვა გადახდებს, თუ ისინი არაა დაკავშირებული პირის ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას და ზედმეტად დიდ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლებში გაუნაწილებელი მოგება 2019 წელს ან შემდგომ წლებში განაწილდა, შესაძლებელია მათზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის დაბრუნება.

დივიდენდების გადახდისგან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მათი გადახდის თარიღის თუ პერიოდის მიუხედავად.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ყველა პირის შემთხვევაში, ფინანსური ინსტიტუტების გარდა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, კანონი თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვარს. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის ვადა 2023 წლის 1 იანვრამდე გადასწია.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (სამართლებრივი ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, ბანკს სავარაუდოდ მოეთხოვება მათი დაფარვა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვებად აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და უზუსტობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამავე ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ბანკი მესამე მხარისგან ნაწილობრივ ან სრულად ამოიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც საჭიროა რეზერვის ფორმირებისთვის, ხდება მოთხოვნის ასახვა აქტივებში. მავდროულად, გადახდა უნდა იყოს სარწმუნო, ხოლო მოთხოვნის შეფასება შესაძლებელი საკმარისი სიზუსტით;

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა.

პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ორგანიზაციის ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

გაცვლითი კურსის სხვაობა ფულად ერთეულებზე აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი / 1 ევრო	3.0701	3.1044

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროების მიხედვით. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებული, ასევე მომავალი ვალდებულებებისთვის.

კაპიტალის რეზერვები

ბანკის ფინანსური მდგომარეობის უწყისში კაპიტალში აღრიცხული რეზერვი (სხვა სრული შემოსავალი) მოიცავს ქონების გადაფასების რეზერვს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი.

5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯა და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების კრიტიკული განსჯა

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განსჯის საგანს, იმ შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, ეხება თუ არა ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ

თანხაზე პროცენტის გადახდას. დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში - 2018 წლის 1 იანვრამდე

ხელმძღვანელობამ განიხილა ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურა, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 16,823 ათას ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები. ქვემოთ წარმოდგენილია მომავალთან და სხვა შეფასების არასარწმუნოობის ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის რეზერვები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასების რეზერვებზე:

- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას ბანკი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეფოლტის ალბათობაზე სენსიტიურობის ანალიზიც.

- **ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე სენსიტიურობის ანალიზიც.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის სესხის გაუფასურების რეზერვები ისე დგება, რომ მოხდეს არა მხოლოდ უკვე გაწეული გაუფასურების ზარალის აღიარება სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში, არამედ ის ზარალიც, რაც ბანკმა შეიძლება მომავალში მიიღოს.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების შეფასებისას, ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა როგორც წარსულში დანაკარგების გამოცდილებას, აგრეთვე, მომავალში პორტფელის ხარისხზე მაკროეკონომიკური სცენარების შეფასებულ ეფექტს. ეს მას საშუალებას აძლევს, ისეთი გარემოებები გაითვალისწინოს, რაც ისტორიულ მონაცემებში არ აისახება. ბანკი სესხების პორტფელს გაუფასურებაზე ამოწმებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა მთლიანმა სესხებმა და მათზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 333,162 ათასი და 6,746 ათასი ლარი, შესაბამისად.

გადაფასებული ღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებები

გარკვეული ძირითადი საშუალებები გადაფასებული ღირებულებით აღირიცხება. ბოლო გადაფასება მოხდა 2018 წლის მაისში. შეფასების ტექნიკა აღწერილია მე-12 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ბანკის ხელმძღვანელობა განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს თითოეული წლიური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან მიმართებაში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, საგარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე, აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვეთისა და ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღრიცხვა

2018 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსით შეიცვალა ბანკის მოგების გადასახადის აღიარებისა და გაზომვის პრინციპები და ბანკის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ასახვის წესი. კომერციული ბანკები არ არიან ვალდებულნი, მოგების გადასახადი გადაიხადონ დასაბეგრ მოგებაზე (თუ, ეს მოგება მიღებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

როდესაც ეს კანონი საბანკო სექტორისათვის 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევა, მას უფრო პირდაპირი ზეგავლენა ექნება გადავადებული გადასახადის გამოთვლაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ან საანგარიშო დღეს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება მოხმარებული ან კიდევ მისი ეფექტი უმნიშვნელო იქნება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა, შესაბამისად, 2,529 ათასი და 1,750 ათასი ლარი.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის მიმდინარეობისას ბანკი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. თუ ამგვარი ტრანზაქციების მოქმედი ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს, ეფუძნება თუ არა ტრანზაქციის ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს. ამისათვის დგინდება, თუ როგორ ხდება ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების შემთხვევაში და კეთდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან

არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 31-ე შენიშვნაში.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნაღდი ფული	5,402	6,635
სებ-ში არსებული ნაშთები	3,611	8,360
მოკორესპონდენტო ანგარიშები და 90 დღემდე დაფარვის ვადიანი დეპოზიტები	15,870	5,340
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(7)	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**24,876**	**20,335**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასდა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ დადგენილი რეიტინგების საფუძველზე.

7. სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხას. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან, სებ-ში განთავსებული ჰქონდეთ პროცენტიანი სავალდებულო რეზერვი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდულ თანხებზე. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ნაშთი პროცენტიანი ფინანსური აქტივია.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	26,438	44,955
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2)	-
სულ სავალდებულო ნაშთი სებ-ში	**26,436**	**44,955**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო ნაშთი სებ-ში არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე. საქართველოს, როგორც ქვეყნის, საკრედიტო რეიტინგია BB სტაბილური პერსპექტივით.

8. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთებში წარმოდგენილი, შესაბამისად, 1,732 ათასი და 1,645 ათასი ლარი განთავსებული იყო დეპოზიტებზე, როგორც შეზღუდული გამოყენების ნაღდი ფული საკრედიტო კომპანიასთან არსებული შეთანხმების საფუძველზე VISA საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
შეზღუდული ფული	1,733	1,645
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(1)	-
სულ მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	**1,732**	**1,645**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	333,162
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(7,323)	(6,746)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**401,091**	**326,416**

კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი აისახება ამორტიზებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები სახეობებად კლასიფიცირდება რამდენიმე ფაქტორის კომბინაციის საფუძველზე (ძირითადად, მსესხებლის შემოსავლის წყარო და სესხის დანიშნულება). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნით აღებული სესხები შესაბამის კატეგორიებში წარმოდგენილია მსესხებლის ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა, შესაბამისად, 3,539 ათასი და 3,144 ათასი ლარის ოდენობით დარიცხულ პროცენტს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები სექტორების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
იურიდიულ პირებზე		
ვაჭრობა და მომსახურება	205,412	171,812
მშენებლობა	34,957	38,440
სოფლის მეურნეობა	16,481	14,147
იჯარა	16,743	7,116
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	2,158	9,389
ენერგეტიკა	4,545	4,817
სხვა	12,300	3,443
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	**292,596**	**249,164**
ფიზიკურ პირებზე		
სამომხმარებლო სესხები	65,200	42,699
იპოთეკური სესხები	50,618	41,299
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**115,818**	**83,998**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**408,414**	**333,162**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების ზარალის რეზერვი	(7,323)	(6,746)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**401,091**	**326,416**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა თავისი კაპიტალის 5%-ზე მეტი ოდენობის სესხები გასცა, შესაბამისად, 22 და 10 კლიენტზე, 167,084 ათასი და 56,197 ათასი ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კომბინირებულად უზრუნველყოფილი სესხები	264,768	232,328
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	108,739	86,120
ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი სესხები	3,658	7,074
გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები	20,597	1,548
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	10,652	6,092
მთლიანი კლიენტებზე გაცემული სესხები	**408,414**	**333,162**
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების ზარალის რეზერვი	(7,323)	(6,746)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**401,091**	**326,416**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების დიდი წილი (მთლიანი პორტფელის 99%) გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა იმ სესხებმა, რომელთა პირობები გადახედილ იქნა, შეადგინა, შესაბამისად, 13,942 ათასი და 12,774 ათასი ლარი..

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ფარდობა მთლიან სესხებთან
ინდივიდუალურად უმნიშვნელო				
ვადაგადაუცილებელი	361,069	(3,476)	357,593	0.96%
ვადაგადაცილებული:	-	-	-	
30 დღემდე	4,627	(167)	4,460	3.61%
31-60 დღე	3,257	(291)	2,966	8.93%
61-90 დღე	1,455	(163)	1,292	11.20%
91-180 დღე	1,326	(178)	1,148	13.42%
180 დღეზე მეტი	4,053	(571)	3,482	14.09%
სულ ჯგუფურად შეფასებული	**375,787**	**(4,846)**	**370,941**	**1.29%**
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი				
ვადაგადაუცილებელი	4,839	(559)	4,280	11.55%
ვადაგადაცილებული:	-	-	-	0.00%
30 დღემდე	434	(165)	269	38.02%
31-60 დღე	12,858	(244)	12,614	1.90%
61-90 დღე	8,854	(194)	8,660	2.19%
91-180 დღე	-	-	-	0.00%
180 დღეზე მეტი	5,642	(1,315)	4,327	23.31%
სულ ინდივიდუალურად შეფასებული სესხები	**32,627**	**(2,477)**	**30,150**	**7.59%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**408,414**	**(7,323)**	**401,091**	**1.79%**

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან
ინდივიდუალურად უმნიშვნელო				
ვადაგადაუცილებელი	257,612	(2,201)	255,411	0.85%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	13,360	(449)	12,911	3.36%
31-60 დღე	1,084	(106)	978	9.78%
61-90 დღე	1,088	(81)	1,007	7.44%
91-180 დღე	595	(99)	496	16.64%
180 დღეზე მეტი	4,921	(707)	4,214	14.37%
სულ ჯგუფურად შეფასებული	**278,660**	**(3,643)**	**275,017**	**1.31%**
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი				
ვადაგადაუცილებელი	40,812	(492)	40,320	1.21%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	6,605	(171)	6,434	2.59%
31-60 დღე	-	-	-	-
61-90 დღე	1,785	(709)	1,076	39.72%
91-180 დღე	2,220	(603)	1,617	27.16%
180 დღეზე მეტი	3,080	(1,128)	1,952	36.62%
სულ ინდივიდუალურად შეფასებული სესხები	**54,502**	**(3,103)**	**51,399**	**5.69%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**333,162**	**(6,746)**	**326,416**	**2.02%**

2018 და 2017 წლებში ბანკმა დაისაკუთრა უზრუნველყოფები. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ აქტივების საბალანსო ღირებულება შევიდა სხვა აქტივებსა და დასაკუთრებულ აქტივებში და შეადგინა, შესაბამისად, 750 ათასი 555 ათასი ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კლიენტების სესხები მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებთან მიმართებაში ეტაპების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად :

	31 დეკემბერი, 2018			1 იანვარი, 2018		
	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები
1-ელი ეტაპი- 12 თვიანი მსდ	**362,630**	**(3,077)**	**359,553**	**311,085**	**(3,414)**	**307,671**
მე-2 ეტაპი - მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკის არმქონე:						
ინდივიდუალურად შეფასებული	*11,410*	*(226)*	*11,184*	-	-	-
ჯგუფურად შეფასებული	*3,149*	*(285)*	*2,864*	*1,562*	*(167)*	*1,395*
	14,559	**(511)**	**14,048**	**1,562**	**(167)**	**1,395**
მე-3 ეტაპი - მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკიანი:						
ინდივიდუალურად შეფასებული	*18,716*	*(2,196)*	*16,520*	*8,931*	*(2,755)*	*6,176*
ჯგუფურად შეფასებული	*12,509*	*(1,539)*	*10,970*	*11,584*	*(1,525)*	*10,059*
	31,225	**(3,735)**	**27,490**	**20,515**	**(4,280)**	**16,235**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**408,414**	**(7,323)**	**401,091**	**333,162**	**(7,861)**	**325,301**

10. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში მოიცავს:

	ფლობილი წილი, %	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ს.ს. „გაერთიანებული კლირინგ-ცენტრი“	6,25%	54	54
სულ ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში		**54**	**54**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა სს „გაერთიანებულ კლირინგ-ცენტრში“ ინვესტიციის რეალური ღირებულება და დაასკვნა, რომ რეალური ღირებულება მიახლოებულია მის თვითღირებულებასთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „გაერთიანებულ კლირინგ-ცენტრში“ ინვესტიცია ასახული იყო თვითღირებულებით.

11. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
სადეპოზიტო სერთიფიკატები	9.05%-11.6%	16,874	9.05%-11.6%	16,823
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი		(17)		-
სულ ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში		**16,857**		**16,823**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 657 ათასი და 657 ათასი ლარი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	შენობები და სხვა უძრავი ქონება	კომპიუტერები და კავშირგაბმულობის მოწყობილობა	ტრანსპორტი	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
თავდაპირველი ღირებულებით/გადაფასებით								
1 იანვარი, 2017	**9,316**	**2,185**	**557**	**828**	**735**	**148**	**258**	**14,027**
შესყიდვა	-	51	-	80	165	181	119	596
ტრანსფერი	-	113	-	-	38	(151)	-	-
31 დეკემბერი, 2017	**9,316**	**2,349**	**557**	**908**	**938**	**178**	**377**	**14,623**
შესყიდვა	-	76	61	64	110	7	219	537
რეალიზაცია	-	-	(32)	-	-	-	(31)	(63)
ტრანსფერი	18	97	-	-	-	(115)	-	-
გადაფასება	1,243	-	-	-	-	-	-	1,243
31 დეკემბერი, 2018	**10,577**	**2,522**	**586**	**972**	**1,048**	**70**	**565**	**16,340**
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი, 2017	**30**	**884**	**175**	**466**	**292**	**-**	**61**	**1,908**
წლის დარიცხვა	123	263	45	80	106	-	57	674
31 დეკემბერი, 2017	**153**	**1,147**	**220**	**546**	**398**	**-**	**118**	**2,582**
წლის დარიცხვა	138	285	45	91	123	-	87	769
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	(32)	-	-	-	(31)	(63)
გაუქმება გადაფასების შედეგად	(195)	-	-	-	-	-	-	(195)
31 დეკემბერი, 2018	**96**	**1,432**	**233**	**637**	**521**	**-**	**174**	**3,093**
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2017	**9,163**	**1,202**	**337**	**362**	**540**	**178**	**259**	**12,041**
31 დეკემბერი, 2018	**10,481**	**1,090**	**353**	**335**	**527**	**70**	**391**	**13,247**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად გაცვეთილმა ძირითადმა საშუალებებმა შეადგინა შესაბამისად, 1,193 ათასი და 1,062 ათასი ლარი.

ბანკის კუთვნილი შენობა-ნაგებობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადაფასების დღეს არსებულ რეალურ ღირებულებას, რასაც აკლდება შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. 2018 წლის მაისში შენობა-ნაგებობები გადაფასდა საბაზრო ღირებულებით.

შეფასება ჩაატარა შემფასებელთა დამოუკიდებელმა კომპანიამ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და აქვს ბოლოდროინდელი გამოცდილება მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასებაში. შედარების პროცესში მათ გამოიყენეს სამი შესადარი ანალოგი (რეგისტრირებული გაყიდვა ან/და გაყიდვის შეთავაზება), რომლის ფარგლებში ფასები კორექტირდა შესაბამისი აქტივებისა და ანალოგების სხვაობების საფუძველზე. აქტივების უმეტესობა შეფასდა საბაზრო მიდგომით/მეთოდით ბაზარზე არსებული სიტუაციის გამო, კერძოდ, იმის გამო, რომ შეფასების დღეს არსებობდა რეგისტრირებული გაყიდვებისა და გაყიდვის შეთავაზებათა საკმარისი რაოდენობა.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ბანკის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა რეალური ღირებულების იერარქიის შესახებ, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შეფასების ტექნიკა	დაკვირვების გარეშე არსებული მონაცემები	სამართლიანი ღირებულება	სამართლიანი ღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს
შენობები რეგიონის მიხედვით:	გაყიდვების შედარების მიდგომა			
- თბილისი – შარტავას ქუჩა				6,930
- თბილისი – კოსტავას ქუჩა		III დონის ფასი კვადრატულ მეტრზე	III დონე	2,700
- ბათუმი – გორგასალის ქუჩა				930
სულ				**10,560**

ბანკის შენობა-ნაგებობები ისტორიული ღირებულებით რომ გაზომილიყო, მათი საბალანსო ღირებულება, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა, შესაბამისად, 8,593 ათასი და 8,713 ათასი ლარი.

13. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
თავდაპირველი ღირებულებით **1 იანვარი, 2017**	**4,681**
შესყიდვა	837
31 დეკემბერი, 2017	**5,518**
შესყიდვა	350
31 დეკემბერი, 2018	**5,868**
დაგროვილი ამორტიზაცია:	
1 იანვარი, 2017	**1,471**
წლის დარიცხვა	302
31 დეკემბერი, 2017	**1,773**
წლის დარიცხვა	344
31 დეკემბერი, 2018	**2,117**
წმინდა საბალანსო ღირებულება **31 დეკემბერი, 2017**	**3,745**
31 დეკემბერი, 2018	**3,751**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამებსა და ლიცენზიებს.

14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები	644	630
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(42)	-
	602	**630**
სხვა არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული აქტივები	750	555
წინასწარ გაწეული ხარჯები	143	179
საგადასახადო ანგარიშსწორება, გარდა მოგების გადასახადისა	33	1
ავანსი ძირითადი საშუალებების შესყიდვაზე	3	71
სხვა	266	211
	1,195	**1,017**
სულ სხვა აქტივები	**1,797**	**1,647**

15. გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის წელი	საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	შეწონილი საშუალო ეფექტური განაკვეთი	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
დეპოზიტები დამფუძნებელი კომპანიიდან	EUR/USD	2019	1.54%	1.54%	35,704	186,434
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	USD	2019-2022	3.94%	3.94%	235,899	76,600
რეზიდენტი კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები	USD	2018	-	-	2,657	-
სულ გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ					**274,260**	**263,034**

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ გადასახდელებში შესული დარიცხული პროცენტი შეადგენს 8,721 ათას და 3,814 ათას ლარს, შესაბამისად.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ (271,602 ათასი და 263,034 ათასი ლარი – 99% და 100%) წარმოდგენილი იყო ერთი ბანკის მიმართ (დამფუძნებელი ბანკი) არსებული ვალდებულებით, რაც მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

16. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მოთხოვნამდე ანგარიშები	50,498	27,539
ვადიანი დეპოზიტები	35,979	34,144

სულ კლიენტების დეპოზიტები	**86,477**	**61,683**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 891 ათასი და 783 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, 33,034 ათასი და 19,446 ათასი ლარის ოდენობით (კლიენტების მთლიანი დეპოზიტების 38% და 32%), ეკუთვნოდა 10 კლიენტს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, 1,071 ათასი და 2,575 ათასი ლარის ოდენობით, წარმოადგენდა ბანკის მიერ გაცემული გარანტიების უზრუნველყოფას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, 3,658 ათასი და 7,956 ათასი ლარის ოდენობით, გამოყენებული იყო კლიენტების სესხების უზრუნველყოფად.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ვაჭრობა და მომსახურება	35,046	21,574
ფიზიკური პირები	30,024	22,898
მშენებლობა	8,665	6,521
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5,815	1,331
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები	4,108	2,322
ენერგეტიკა	96	110
სხვა	2,723	6,927
სულ კლიენტების დეპოზიტები	**86,477**	**61,683**

17. რეზერვები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზერვებში შევიდა ფასს 9-ის შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და ბასს 37-ის შესაბამისი რეზერვები, რომლებიც გარანტიებისა და ნაკისრი სესხებისათვის შეიქმნა.

მოძრაობა რეზერვებში იყო:

	გარანტიები და ნაკისრი სესხები
1 იანვარი, 2017	**146**
წლის განმავლობაში აღიარებული რეზერვები	33
31 დეკემბერი, 2017	**179**
ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი	169
1 იანვარი, 2018	**348**
წლის განმავლობაში აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(75)
31 დეკემბერი, 2018	**273**

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	799	730
სხვა არაფინანსური ვალდებულებები:		
თანამშრომელთა ანაზღაურების რეზერვი	1,314	1,677
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა	9	12
სულ სხვა ვალდებულებები	**2,122**	**2,419**

19. სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი 2018 წ.	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სს "ხალიკ-ბანკი ყაზახეთი"	აშშ დოლარი	2022	6%	6%	26,860	26,013
სულ სუბორდინირებული სესხი					**26,860**	**26,013**

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, ეს სესხი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის დავალიანების დაფარვის შემდეგ.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხში შედის დარიცხული პროცენტი, შესაბამისად, 94 და 91 ათასი ლარის ოდენობით.

	1 იანვარი	ფინანსირებების ფულადი ნაკადები	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	პროცენტის გადახდა წლის განმავლობაში	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება წლის განმავლობაში	31 დეკემბერი
2018 წლის განმავლობაში	26,013	-	1,561	(1,558)	844	26,860
2017 წლის განმავლობაში	26,561	-	1,526	(1,530)	(544)	26,013

20. სააქციო კაპიტალი

2018 წლის 19 მარტს ბანკმა გამოუშვა 14,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული 10,000 ლარის ნომინალური ღირებულებით. აქციები სრულად იქნა შესყიდული დამფუძნებლის მიერ.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის განცხადებული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 62,000 და 48,000 ჩვეულებრივი აქციისაგან, შესაბამისად, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1,000 ლარის ოდენობით. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო კაპიტალი სრულად იქნა გადახდილი.

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დანაკარგებამდე

წმინდა საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი გაუფასურების დანაკარგებამდე მოიცავს:

	2018	2017
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	31,703	28,256
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	1,785	1,737
ფული და ფულის ექვივალენტები	994	674
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	87	87
	34,569	**30,754**
სხვა საპროცენტო შემოსავალი:		
ჯარიმები	1,331	1,081
სხვა	349	392
	1,680	**1,473**
სულ საპროცენტო შემოსავალი	**36,249**	**32,227**
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ხარჯი:		
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(7,914)	(4,553)
კლიენტების დეპოზიტები	(2,621)	(2,266)
სუბორდინირებული სესხი	(1,542)	(1,525)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(12,077)**	**(8,344)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**24,172**	**23,883**

მე-3 ეტაპის კლიენტებზე გაცემული სესხების ნეტო საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილმა საპროცენტო შემოსავალმა 419 ათასი ლარით შეამცირა გროს-საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი (შენიშვნა №22).

22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე და არმქონე აქტივებზე

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე:

	ფული და ფულის ექვივალენტები	საავალდებულო ნაშთი სებ-ში	მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	კლიენტებზე გაცემული სესხები	ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	სულ
31 დეკემბერი, 2016	**-**	**-**	**-**	**5,453**	**-**	**5,453**
გაუფასურების დანაკარგები	-	-	-	1,300	-	1,300
ჩამოწერა	-	-	-	(7)	-	(7)
31 დეკემბერი, 2017	**-**	**-**	**-**	**6,746**	**-**	**6,746**
კორექტირება ფასს 9-ის პირველ გამოყენებაზე	3	2	1	1,115	9	1,130
1 იანვარი, 2018	**3**	**2**	**1**	**7,861**	**9**	**7,876**
გაუფასურების დანაკარგები/(გაუფასურების დანაკარგის აღდგენა)	4	-	-	(869)	8	(857)
საპროცენტო სარგებელი	-	-	-	419	-	419
ჩამოწერა	-	-	-	(88)	-	(88)
31 დეკემბერი, 2018	**7**	**2**	**1**	**7,323**	**17**	**7,350**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის არმქონე აქტივებზე:

	სხვა ფინანსური აქტივები
31 დეკემბერი, 2017	**-**
კორექტირება ფასს 9-ის პირველ გამოყენებაზე	-
1 იანვარი, 2018	**-**
გაუფასურების დანაკარგები	42
31 დეკემბერი, 2018	**42**

23. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
საკომისიო შემოსავლები:		
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	910	3,767
ანგარიშსწორების საკომისიო	288	277
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	265	246
სხვა	155	66
სულ საკომისიო შემოსავლები	**1,618**	**4,356**
საკომისიო ხარჯები:		
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	(660)	(2,325)
ანგარიშსწორების საკომისიო	(145)	(151)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(56)	(34)
სულ საკომისიო ხარჯები	**(861)**	**(2,510)**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში, საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებში შევიდა პლასტიკური ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე დარიცხული მომსახურების გადასახადი. ბანკი შუამავლის როლს ასრულებს რამდენიმე რეზიდენტ კომპანიასა და პლასტიკური ბარათის მომსახურების მომწოდებლებს, „ვიზასა“ და „მასტერკარდს“ შორის. ამ მომსახურებისათვის ბანკი იღებს და იხდის საკომისიო გადასახადს.

24. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2018	2017
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	626	1,192
საკურსო სხვაობა, წმინდა	477	(87)
სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოგება-ზარალში	**1,103**	**1,105**

25. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
ხელფასები და პრემიები	7,907	7,503
ცვეთა და ამორტიზაცია	1,113	976
საოპერაციო იჯარა	649	452
ოპერაციები პლასტიკური ბარათით და ანგარიშსწორების ხარჯები	678	635
საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურება	405	272
კავშირგაბმულობა	232	119
სარეკლამო ხარჯები	222	524
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	142	125
კომუნალური ხარჯები	136	140
პროფესიული მომსახურება	121	149
ძირითადი საშუალებების რემონტი	78	35
საოფისე მარაგები	47	80
დაზღვევის ხარჯები	44	117
სამივლინებო ხარჯები	42	23
წარმომადგენლობითი ხარჯები	30	29
დაცვის ხარჯები	23	49
სხვა ხარჯები	834	686
სულ საოპერაციო ხარჯები	**12,703**	**11,914**

26. მოგების გადასახადი

ბანკი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილ საგადასახადო ბაზისს ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისათვის არსებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან,
დროსა და, ასევე, გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-იან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე.
2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ოპერაციების რეზერვი	198	252
სხვა ვალდებულებები	53	26
სხვა აქტივები	21	(123)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(808)	(545)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(1,993)	(1,360)

წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(2,529)	(1,750)

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	2018	2017
მოგება მოგების გადასახადამდე	**14,415**	**13,613**
გადასახადი კანონით განსაზღვრული განაკვეთით (15%)	2,162	2,042
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	(303)	(286)
მოგების გადასახადის ხარჯი	**1,859**	**1,756**
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	1,100	1,726
მიმდინარე წელს აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	759	30
მოგების გადასახადის ხარჯი	**1,859**	**1,756**

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		
საწყისი ნაშთი	**(1,750)**	**(1,720)**
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	196	-
1 იანვრის მდგომარეობით	**(1,554)**	**(1,720)**
მოგების გადავადებული საგადასახადო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(759)	(30)
მოგების გადავადებული საგადასახადო ხარჯი სხვა სრულ შემოსავალში	(216)	-
საბოლოო ნაშთი	**(2,529)**	**(1,750)**

27. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარესაბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 273 ათასი და 179 ლარი, შესაბამისად.
2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები:		
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	9,193	9,910
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	25,318	25,731
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	**34,511**	**35,641**

საკრედიტო ხაზის ფარგლებში კლიენტისათვის სესხის გაცემას ბანკი ამტკიცებს ინდივიდუალურად. სესხის გაცემა დამოკიდებულია მსესხებლის ფინანსურ მაჩვენებლებზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე.

კაპიტალური ვალდებულებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი კაპიტალური ვალდებულებები.

საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები

საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება ჩვეულებრივ შესაძლებელია ბანკის მხრიდან ფართის მფლობელისათვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინების გაგზავნის ვადა, როგორც წესი, ერთიდან სამ თვემდე მერყეობს და მას საკმაოდ დიდი ჯარიმების გამოწვევა შეუძლია. გაუქმების უფლების გარეშე გაფორმებული იჯარის მინიმალური გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 წელზე ნაკლები	865	608
1-5 წესი	1,972	1,421
5 წელზე მეტი	-	-
სულ	**2,837**	**2,029**

ბანკს საოპერაციო ლიზინგით რამდენიმე ფართი აქვს აღებული. იჯარის ტიპური საწყისი პერიოდი სამიდან ხუთ წლამდე მერყეობს და მასში ჩადებულია შემდგომი განახლების ოფცია. საიჯარო გადასახდელები, საბაზრო ფასების შესაბამისად, ყოველ ორ-სამ წელიწადში იზრდება.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირებისას დროდადრო ჩნდება კლიენტებისა და კონტრაგენტების მოთხოვნები ბანკის მიმართ. ხელმძღვანელობის აზრით, არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და ამგვარად ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესაბამისი ზარალის რეზერვს.

გადასახადები

საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ ბიზნესის საქმიანობის თაობაზე თვითნებური დასკვნების გაკეთების საშიშროება. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები არ მოიწონებენ ბანკის რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კანონი "საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება" 2014 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა. კანონში შევიდა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტაციის განმსაზღვრელი მოთხოვნები. ახალი კანონის მიხედვით საგადასახადო უწყებებს უფლება აქვთ, მეწარმეს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეული ტრანზაქციების ფარგლებში, რომლებიც ასევე მოიცავს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი კომერციულ საფუძველზე არ არის განსაზღვრული. საგადასახადო ორგანოების მიერ ბანკის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ეჭვქვეშ დაყენების შესაძლო შედეგის სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, გაუფასურების რეზერვის შექმნისა და გარიგებების საბაზრო ფასის დადგენისას. ასევე, ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ან რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების შემცირებულად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის განვითარების მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2017 და 2018 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს-ის თანახმად, სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გასხვისებისთვის ბაზარზე კომერციული ოპერაციის შედეგად გარიგების თარიღში.

რეალური ღირებულების რეგულარული შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ითხოვენ ან ნებას რთავენ კომპანიებს რეგულარულად შეაფასონ რეალური ღირებულებები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში რეალური ღირებულებით ფასდება და მესამე დონეს მიეკუთვნება.

ისეთი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აისახება სამართლიანი ღირებულებით (და რომელთა მიმართ არსებობს რეალური ღირებულების განმარტების მოთხოვნა).

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის.

ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და კლიენტების დეპოზიტები

რეალური ღირებულების შეფასება ფულისა და ფულის ექვივალენტების, სებ-ში სავალდებულო რეზერვების, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნებისა და გადასახდელების და კლიენტების დეპოზიტების შემთხვევაში ხდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე საანგარიშგებო თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთების საფუძველზე..

კლიენტებზე გაცემული სესხები

ფიზიკურ პირებზე სესხები გაიცემა როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი განაკვეთით. ვინაიდან ამგვარი სესხებისა და ავანსების აქტიური, მეორადი ბაზარი არ არსებობს, პორტფელის საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ფიქსირებული განაკვეთი - უზრუნველყოფილი სესხების გარკვეული ნაწილი გაიცემა ფიქსირებული განაკვეთით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე საანგარიშგებო თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთების საფუძველზე.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში

სამართლიანი ღირებულების შეფასება ფიქსირებული განაკვეთის მქონე სასესხო ინსტრუმენტებზე ხდება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების საფუძველზე იმ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახასიათებს ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებს მსგავსი საკრედიტო

რისკითა და დარჩენილი ვადით. დისკონტის განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტაზე, ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასების საზოგადოდ გავრცელებული მოდელებით და ეფუძნება მსგავს ინსტრუმენტებზე დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების ფასების გამოყენებით შედგენილი სახსრების მოძრაობის ანალიზს.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ძირითადად, წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებითა და გადასახდელებით. ამდენად, მათი საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიან ღირებულებად.

ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც შედარებულია მათ შესაბამის საბალანსო ღირებულებასთან:

	რეალური ღირებულება იერარქია	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
		საბალანსო	რეალური	საბალანსო	რეალური
ფული და ფულის ექვივალენტები	1-ელი დონე	24,876	24,876	20,335	20,335
სავალდებულო ბალანსი სებ-ში	მე-2 დონე	26,436	26,436	44,955	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	მე-2 დონე	1,732	1,732	1,645	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	401,091	399,326	326,416	327,405
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	მე-2 დონე	16,857	18,861	16,823	18,857
სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	602	602	630	630
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	მე-2 დონე	274,260	270,470	263,034	262,658
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	86,477	86,409	61,683	61,996
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	799	799	730	730
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	26,860	26,860	26,013	26,013

29. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს აქციონერების უკუგების მაქსიმიზაცია. მენეჯმენტსა და აქციონერებს განზრახული აქვთ, გააგრძელონ ბანკის განვითარება. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მოქმედი საწარმოს დაშვება ბანკის შემთხვევაში ადეკვატურია საკმარისი კაპიტალის ადეკვატურობისა და წარსული გამოცდილების გამო, რომელიც მეტყველებს, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები ბიზნესის მიმდინარეობისას ჩვეულებრივ დაფინანსდება.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა სხვა ღონისძიებებთან ერთად მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობის პროცესში დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად ბანკის მიერ სებ-ის აღრიცხვის წესების დაცვით შედგენილი ანგარიშების მეშვეობით.

სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნებით ბანკები ვალდებულნი არიან:
ა) ფლობდნენ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ დონეს შემდეგი გრაფიკით

- 30,000 ათასი ლარი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- 40,000 ათასი ლარი - 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
- 50,000 ათასი ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) შეინარჩუნონ რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან მინიმალურ დადგენილ დონეზე ან მეტზე მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

„კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირება კომერციული ბანკებისათვის“ შესწორების თანახმად, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში, ბანკი ვალდებული იყო, ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებთან ჰქონოდა 9.57%, 11.94% და 18.8%, შესაბამისად.

2017 წლის 18 დეკემბერს სებ-მა მიიღო შესწორება „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირება კომერციული ბანკებისათვის“ (ბრძანება №100/04). კაპიტალის ადეკვატურობის ახალი სქემის მიხედვით კაპიტალის მოთხოვნები იყოფა ჩვეულებრივ პირველადი კაპიტალის I პილარად, პირველად კაპიტალად და მარეგულირებელ კაპიტალად. დამატებითი ბუფერები არსებობს ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის I პილარისა და II პილარის სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მიერ შემოტანილი პილარ 1 და პილარ 2 ბუფერები იყო:

1. I პილარის ბუფერებია:
- კაპიტალის კონსერვაციის (კკ) ბუფერი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- სისტემური რისკის (სრ) ბუფერი ოთხი წლის განმავლობაში დაწესდება სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის
- კონტრციკლური კაპიტალის (კცკ) ბუფერი განსაზღვრულია 0%-ზე.

I პილარის ბუფერების კორექტირება ხდება სებ-ის შეხედულებისამებრ.

2. II პილარის ბუფერები:
- სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის (სკცსრ) ბუფერი, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაშია არაჰეჯირებული უცხოურ ვალუტაში აღებული სესხებისათვის;
- კონცენტრაციის რისკის (კრ) ბუფერი, რომელიც დაწესდება სექტორული და ინდივიდუალური მსესხებლის რისკებისათვის;
- წმინდა სტრესის (წს) ბუფერი, რომელიც დაწესდება ჯგუფის მიერ წარდგენილი სტრესის ტესტირების შედეგების მიხედვით;
- წმინდა ზოგადი რისკის შეფასების პროგრამის ბუფერი, რომელიც სებ-მა უნდა განსაზღვროს და გამოყენებული იქნება ბანკის სპეციფიური რისკების საფუძველზე.

კაპიტალის ადეკვატურობის სქემით დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მოთხოვნები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	I პილარი				II პილარი			31 დეკემბერი, 2018
	მოთხოვნა	I პილარის ბუფერები			II პილარის ბუფერები			სულ მინიმალური მოთხოვნები
		CC	SR	CCC	CICR	CR	NS	GRAPE	
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	1.94 %	0.21 %	0.00%	0.42%	9.57%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	2.60 %	0.28 %	0.00%	0.56%	11.94%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	3.47 %	1.41 %	0.00%	2.80%	18.18%

კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	I პილარი				II პილარი			31 დეკემბერი, 2017
	მოთხოვნა	I პილარის ბუფერები			II პილარის ბუფერები			სულ მინიმალური მოთხოვნები
		CC	SR	CCC	CICR	CR	NS	GRAPE	
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	2.10%	0.00%	0.00%	0.00%	9.10%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	2.81%	0.00%	0.00%	0.00%	11.31%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	3.75%	0.00%	0.00%	0.00%	14.25%

გარდა ამისა, განახლებული მეთოდით, შემოტანილი იქნა გადახდისა და შემოსავლის ფარდობისა და სესხისა და ღირებულების ფარდობის ზღვრული მაჩვენებლები. იმ პოზიციებისათვის, რომლებიც ამ ორი კოეფიციენტის წინასწარ განსაზღვრულ ლიმიტებში არ ჯდება, დადგინდა უფრო მაღალი რისკი, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს შეწონვა.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამავე თარიღისათვის მოქმედი სებ-ის აღრიცხვის წესებისა და კაპიტალის ადეკვატურობის სქემის ფარგლებში მომზადებული ანგარიშების მიხედვით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სააქციო კაპიტალი	62,000	48,000
გადაფასების რეზერვი	1,614	406
გაუნაწილებელი მოგება	22,765	13,982
გამოქვითვები ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალიდან	(5,365)	(4,151)
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალი	**81,014**	**58,237**
პირველადი კაპიტალი	**81,014**	**58,237**
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი	16,060	20,738
სესხზე დანაკარგების საერთო რეზერვები (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	5,751	4,983
სულ საზედამხედველო კაპიტალი	**102,825**	**83,958**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**510,466**	**421,310**
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.14%	19.93%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	15.87%	13.82%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.14%	19.93%

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებისას მიზნებისთვის ბანკმა გაითვალისწინა მიღებული სუბორდინირებული დეპოზიტი, რომელიც შეზღუდულია პირველადი კაპიტალის 100%-მდე. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ვალდებულების გადახდა სუბორდინირებულია ბანკის ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების გადახდასთან.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის დადგენის მიზნით, სრული საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლაში შეიტანა საერთო რეზერვები, რომლებიც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ით შემოიფარგლება.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ბანკმა სრულად დააკმაყოფილა გარედან დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნები.

30. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის ფარგლები, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. მისი მეშვეობით ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ბანკს ახასიათებს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

საკრედიტო რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დაწესებულ ფარგლებში. რისკის მართვის განყოფილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრედიტო რისკის მართვასა და კონტროლში. ეს განყოფილება პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის გამოვლენასა და შეფასებაზე, კონტროლის განხორციელებასა და მონიტორინგზე. რისკის მართვის განყოფილება პირდაპირ მონაწილეობს საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შიდა წესების, რეგულაციებისა და საკრედიტო პროგრამების განხილვაში. ამასთან, განყოფილება ბანკს აწვდის დამოუკიდებელ რეკომენდაციებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად, ახორციელებს საკრედიტო რისკის კონტროლსა და მონიტორინგს, ხელმძღვანელობას უმზადებს შესაბამის მოხსენებებს და უზრუნველყოფს დაკრედიტების პროცესის შესაბამისობას გარე კანონებთან/წესებთან ისევე, როგორც შიდა მოთხოვნებსა და პროცედურებთან. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს რისკის მოცულობის ლიმიტების დაწესებით ერთ მსესხებელზე/კონტრაგენტზე ან მსესხებელთა ჯგუფზე და დარგობრივ (გეოგრაფიულ) სეგმენტზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ზღვარი დარგების მიხედვით მტკიცდება და კონტროლდება აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. საკრედიტო რისკის ზღვარს საკრედიტო პროგრამებთან მიმართებაში (მცირე და საშუალო ზომის საწარმოები) დირექტორთა საბჭო ამტკიცებს. რისკდამოკიდებულება თითოეულ მსესხებელთან, მოიცავს საბალანსო და გარესაბალანსო რისკდამოკიდებულებას, რომელიც განიხილება საკრედიტო კომიტეტისა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. რეალური რისკდამოკიდებულება ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

საჭიროების დადგომისას და გარანტიების გაცემის შემთხვევაში, ბანკი იღებს უზრუნველყოფასა და კორპორაციულ და პირად გარანტიებს.

კრედიტის გაცემის ვალდებულებას წარმოადგენს გარანტიები ან აკრედიტივები. გარესაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც დანაკარგების ალბათობა, გამომდინარე კონტრაგენტის უუნარობიდან, შეასრულოს სახელშეკრულებო პირობები. რაც შეეხება საკრედიტო ვალდებულების საკრედიტო რისკს, ბანკი პოტენციურად დგას მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობის თანხის დაკარგვის საშიშროების წინაშე. თუმცა, დანაკარგის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე, რადგან აკრედიტის გაზრდის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი და გამომდინარეობს კლიენტების მიერ სპეციფიური საკრედიტო მოთხოვნების დაცვიდან. ბანკი აკონტროლებს გარესაბალანსო საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ძირითადად აქვთ უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკების კატეგორიები

ბანკი თითოეულ სარისკო პოზიციას საკრედიტო რისკის კატეგორიას აკუთვნებს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც განისაზღვრება დეფოლტის რისკის პროგნოზირებისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული საკრედიტო შეფასებების გაკეთების მიზნით. საკრედიტო რისკის კატეგორიები განისაზღვრება დეფოლტის რისკის ამსახველი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით და დამოკიდებულია გამოვლენილი რისკის მოცულობასა და მსესხებლის სახეობაზე.

ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა მუდმივ მონიტორინგს ექვემდებარება და იწვევს მის გადატანას საკრედიტო რისკის სხვა კატეგორიაში.

ბანკში გამოიყენება ავტომატიზებული პროგრამა „რისკის ანალიტიკოსი“, რომელიც კორპორაციულ მსესხებლებზე მუშაობს და შიდა რეიტინგის მოდელების ორ შესაძლო მიდგომას გულისხმობს. ესენია „ფუნდამენტური ანალიზი“ და „შეფასების ფურცელი“. ორივე მიდგომა კოეფიციენტებისა და ფინანსური მაჩვენებლების რთულ ანალიზს ემსახურება.

მთავარი სხვაობა ორ აღნიშნულ მიდგომას შორის სისტემის მიერ მოდელის ცვლადი მონაცემების გამოთვლისა და შეფასების მინიჭების მეთოდია. მეორე მხრივ, თუმცა მეთოდოლოგიები განსხვავდება, ორივე სისტემა ერთსა და იმავე ტექნოლოგიურ პლატფორმაზე მუშაობს. გარდა ამისა, თითოეული შიდა სარეიტინგო მოდელი, მოდელის მიუხედავად, იძლევა მსესხებლის რეიტინგსა და დეფოლტის ალბათობას. „შიდა სარეიტინგო მოდელის ავტორი“ შიდა სარეიტინგო მოდელების შექმნასა და პროცესზე მორგებას ორივე მიდგომის გამოყენებით უზრუნველყოფს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბანკში გამოიყენება მცირე და საშუალო მსესხებლების შეფასების კიდევ ერთი, შიდა შეფასების ფურცლის სისტემა. შეფასების ფურცელი მსესხებლის ფინანსური მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებს ეფუძნება. შედეგად, შიდა შეფასების ფურცლის სისტემა მსესხებლებს შიდასაბანკო რეიტინგს ანიჭებს.

სესხის გაცემისას მას, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ენიჭება რისკის ქულა, რომელიც მოგვიანებით აისახება რეიტინგებში. სარეიტინგო კატეგორიებში რეიტინგების გადანაწილება სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების ზეგავლენა, ა.შ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია სესხის გაცემისას მინიჭებული რეიტინგები.

რეიტინგი	აღწერა
1	**მაღალი ხარისხის სესხი, დაბალი რისკი:**
2+	
2	მსესხებელი უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გადახდის უნარი ძალზე ძლიერია. საქმიანობაზე გარე უარყოფითი ფაქტორები თითქმის არ მოქმედებს.
3+	
3	
3+	
3	
3-	**დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხი, დაბალი რისკი:**
4+	
4	მსესხებელი მოთხოვნების უმეტესობას აკმაყოფილებს. გადახდის უნარი ძლიერია. სუსტად არის დამოკიდებული გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე.
4-	
5+	**დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხი, საშუალო რისკი:**
5	
5-	მოკლევადიან პერსპექტივაში მსესხებელი მცირე მოწყვლადობას ავლენს. თუმცა, უფრო მაღალია სენსიტიურობა ბიზნესის, ფინანსურ და ეკონომიკურ სფეროებში უარყოფითი ცვლილებების ეფექტის მიმართ.
6+	**დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხი, საშუალოზე მაღალი რისკი:**
6	მოწყვლადია და არის უარყოფითი ხასიათის, ბიზნესის, ფინანსური და ეკონომიკური გარემოებების მიმართ. თუმცა, ამჟამად ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა არსებობს.
6-	
7+	**დეფოლტის მაღალი რისკი**:
7	
7-	ფინანსური ვალდებულებების შესრულება შესაძლებელია ხელსაყრელ ბიზნესის, ფინანსური და ეკონომიკურ პირობებში.
8	**დეფოლტი:**
9	
10	კლიენტის გადახდისუნარიანობა დაბალია. კლიენტის საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე.

რეიტინგის ცვლილება

კატეგორიის ცვლილება რამდენიმე რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორზეა დამოკიდებული. ესენია ფინანსური პირობები, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, კონკურენტული პოზიცია ბაზარზე, მიმწოდებლების/მყიდველების ზეგავლენა, მფლობელის ზეგავლენა, მართვის ხარისხი, არახელსაყრელი მოვლენების რისკი, ა.შ.

საკრედიტო რისკის მეთოდოლოგია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებებს, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე და შესაბამისი დანაკარგების კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ბანკი საკრედიტო რისკს ზომავს „დეფოლტის ალბათობით“ (PD), „დეფოლტის რისკის პოზიციით“ (EAD) და „დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით“ (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გასაზომად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

ფასს 9-ის შესაბამისად, ბანკში გამოიყენება გაუფასურების სამეტაპიანი მოდელი, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკის მატარებელი თავდაპირველი შეფასებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე და მისი საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს.
- თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (SICR) გამოვლენის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 ეტაპზე, მაგრამ საკრედიტო რისკის მატარებლად ჯერ არ ითვლება.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკის მქონეა, ის შემდეგ გადადის მე-3 ეტაპზე.
- 1-ელი ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ეზომება არსებობის მანძილზე იმ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ოდენობით, რომლებიც მომდევნო 12 თვეში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით იქნება გამოწვეული. მე-2 და მე-3 ეტაპის ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები იზომება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის დანაკარგების საფუძველზე.
- ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო დანკარგების გაზომვის საზოგადო კონცეფციის შესაბამისად, საპროგნოზო ინფორმაცია მხედველობაში არ მიიღება.
- საკრედიტო რისკის მატარებელი შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები ის ფინანსური აქტივებია, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას უკვე საკრედიტო რისკის მატარებელია. მათი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ყოველთვის არსებობის მანძილზე იზომება (მე-3 ეტაპი).

ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვს აღიარებს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით არ აისახება:

- მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები
- ინვესტიციები სასესხო ფასიან ქაღალდებში
- სხვა მოთხოვნები
- სასესხო გარანტიები და
- გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები რეზერვის საშუალებით უნდა შეადგენდეს შემდეგ ოდენობას:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ), ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ისეთი მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ანგარიშგების დღიდან 12 თვის განმავლობაში (1-ელი ეტაპი); ან

- მსდ მთელი არსებობის მანძილზე, ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ყველა შესაძლო მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე (მე-2 და მე-3 ეტაპები).

მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის რეზერვი საჭიროა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მსდ შეადგენს 12 თვიანი მსდ-ის ტოლ თანხას.

აუთვისებელი სასესხო გარანტიებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტების შემთხვევაში, მსდ იზომება კრედიტის კონვერსიის 100%-იანი ფაქტორის საფუძველზე.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მოთხოვნებს, ბანკთაშორის დეპოზიტებსა და საკორესპონდენტო ანგარიშებს, აგრეთვე სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებს გაუფასურება ერიცხება 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე. დეფოლტის ალბათობა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები კლიენტებისათვის მიიღება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მოწოდებული საკრედიტო რეიტინგის ინფორმაციიდან.

სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ფასდება ინდივიდუალურად, კლიენტის სესხზე დანაკარგის რეზერვის განაკვეთით. თუ კლიენტს ბანკში სესხი არ ჰქონია, მაშინ გამოიყენება კლიენტის საკრედიტო რეიტინგი და დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგის შესაბამისი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ფასდება მოთხოვნის გამოვლენილი რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი. ბოლო ეტაპზე, PD, LGD და რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი ერთმანეთზე მრავლდება და მიიღება მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი.

კლიენტებზე გაცემული სესხები

მსესხებლების საკრედიტო რისკის გამოვლენის შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა ფასს 9-ის შესაბამისი მეთოდოლოგია.

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, სესხების იმგვარი პორტფელით აფასებს, რომელიც მსგავსი საკრედიტო რისკის მაჩვენებლებით ხასიათდება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის გამოვლენებად ითვლება ის მსესხებლები/მსესხებელთა ჯგუფები, რომელთა რისკის გამოვლენა საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს. გარდა ამისა, მათში დაფიქსირებული უნდა იყოს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნები.

ისეთი რისკის გამოვლენის დასადგენად, რომლის საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა ან რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამომწვევი მოვლენა, ანალიზდება ინფორმაცია მსესხებლების ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკების, ვადაგადაცილების სტატუსის, რესტრუქტურიზაციის, საკრედიტო რეიტინგებისა და უზრუნველყოფის რეალური ღირებულების თაობაზე.

მსდ ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკის გამოვლინებაზე, რომლებიც საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის ნიშნებით ხასიათდება, ფასდება ინდივიდუალურად. სდ, რომელიც საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის ნიშნებით არ ხასიათდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკის გამოვლინებაზე ფასდება ჯგუფურად.

მსდ-ის შეფასება ინდივიდუალურად

ინდივიდუალურად შეფასებული სესხების შემთხვევაში, სდგ ფასდება კონტრაქტით ბანკის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მომავალი ეკონომიკური სცენარების სიმრავლის შეწონვით მისაღები ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება გადახდები და სესხის უზრუნველყოფად ფლობილი აქტივების უზრუნველყოფის რეალიზაცია.

უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულება ზოგადად ფასდება ამოღების პერიოდად მხედველობაში ორი წლის, ხოლო შეფასების ზღვრულ მაჩვენებლად 25%-ის მიღებით. ზოგადი მიდგომა შეიძლება ინდივიდუალურად შეიცვალოს, თუ სხვა გარემოებებმა უჩვენა, რომ ამოღების პერიოდი ან შეფასების ზღვრული მაჩვენებელი არარეალისტურია.

მსდ-ის შეფასება ჯგუფურად

მსდ-ის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ცვლადების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით.

ჯგუფური შეფასება ტარდება მსესხებლის და არა კონტრაქტის დონეზე.

სეგმენტაცია

ჯგუფურად შეფასებული სესხები სეგმენტებად იყოფა საკრედიტო რისკის შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- სეგმენტი
- ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა
- რესტრუქტურიზაცია
- უზრუნველყოფა

ის პორტფელი, რომელზეც მსდ-ის შეფასება ხდება, იყოფა 4 სეგმენტად: კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესი და უზრუნველყოფილი საცალო და არაუზრუნველყოფილი საცალო.

თითოეული სეგმენტი შემდეგ იყოფა 5 კატეგორიად, რომელთაგან თითოეული მსგავსი საკრედიტო რისკის თვისებებით ხასიათდება, როგორიცაა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა და რესტრუქტურიზაცია.

სეგმენტაციის ზემოთ აღწერილი წესების მიხედვით, ჯგუფურად შეფასებული პორტფელი ჯგუფდება 20 მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების კატეგორიად.

დეფოლტის განსაზღვრება

შეფასების დასადგენად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება დეფოლტის განსაზღვრებას, რომელიც მსდ-ის ოდენობის შეფასებაშია ინტეგრირებული. დეფოლტის მოვლენად ბანკი მიიჩნევს შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფურად შეფასებულ სესხებში მსესხებელმა ბანკის მიმართ მატერიალურ საკრედიტო ვალდებულებაზე ვადას გადააცილა 90-ზე მეტი დღით
- მსესხებლის მატერიალური საკრედიტო ვალდებულება დაექვემდებარა რესტრუქტურიზაციას, ხოლო აქტივების კატეგორია, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების კლასიფიკაციის რეგულაციის მიხედვით, არის „საყურადღებო სესხი“, „საშუალოზე უარესი სესხი“, „საეჭვო სესხი“, „დანაკარგიანი სესხი“
- მსესხებლის მიერ ბანკისათვის საკრედიტო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელი არ არის, მისი ვალები ჩამოიწერა ან გაიყიდა დიდი ფასდათმობით, ხოლო მსესხებელზე მიმდინარეობს გაკოტრების პროცესი.

იმის განსაზღვრისას, სავარაუდოა თუ არა მსესხებლის მხრიდან საკრედიტო ვალდებულების დაფარვა, ბანკი მხედველობაში იღებს როგორც ხარისხობრივ, აგრეთვე რაოდენობრივ ინდიკატორებს. დეფოლტის შესაფასებლად ბანკი იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს, რომლებიც ან ბანკის შიგნით არის შემუშავებული, ან გარე წყაროებიდან მიიღება. შეფასებული ინფორმაცია ასევე დამოკიდებულია რისკის გამოვლენის სიდიდეზეც. ანალიზში მნიშვნელოვან მონაცემებს წარმოადგენს ხარისხობრივი ინდიკატორები, როგორიცაა შიდა საკრედიტო რეიტინგის უდაბლესი კატეგორია და გარედან მიღებული ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური სიტუაციის შესაძლო გაუარესების თაობაზე. ეს ინდიკატორები გამოიყენება მსდ-ის ინდივიდუალურად შესაფასებელი სესხების დასადგენად, თუ მსესხებლის რისკის გამოვლენა მნიშვნელოვნად მაღალ ზღვრულ მაჩვენებელს აღემატება.

საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდა

თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის აღმოსაჩენად, ბანკი მონიტორინგს ახორციელებს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებსაც გაუფასურება ერიცხება. თუ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა, ბანკი დანაკარგის რეზერვს აფასებს მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის და არა 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე.

იმის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას. მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის მნიშვნელოვანი გაუარესება, რაც იწვევს დეფოლტის ალბათობის 10%-ზე მეტით ზრდას და შიდა რეიტინგი არის 6- ან უარესი, აგრეთვე მნიშვნელოვანი კლება უზრუნველყოფის ფასში, შეიძლება ჩაითვალოს საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის ხარისხობრივ მაჩვენებლად. სწორედ ეს ინდიკატორები გამოიყენება ინდივიდუალურად შესაფასებელი მსდ-ის მქონე სესხების გამოსავლენად, თუ მსესხებლის რისკი ზღვრულ მაჩვენებელს აღემატება.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ დანაკარგის რეზერვი განიხილება მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის მიხედვით.

დეფოლტის ალბათობის მოდელი

თითოეული ჯგუფისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის განსასაზღვრად, ბანკი იყენებს მიგრაციის მატრიცების მეთოდოლოგიას, რომელიც ისტორიულ მონაცემებსა და გადაუხდელობის გამოცდილებაზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე სარწმუნოდ ზომავს იმ სესხების ოდენობას, რომლებიც დროთა განმავლობაში დეფოლტს განიცდის საბალანსო უწყისის თარიღამდე დამდგარი მოვლენების გამო. ჰომოგენური ჯგუფის დაკვირვების პერიოდად აღებულია ერთი წელი 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე. დაკვირვების პერიოდის განმავლობაში გენერირდა ერთ თვიანი მიგრაციის მატრიცები. პორტფელის ზრდის ეფექტის გამოსარიცხად 2016 წლის ივნისის შემდეგ გაცემული სესხები სტატისტიკურ ანალიზში არ შევიდა.

მიგრაციის მატრიცები გამოიყენება თითოეული ჯგუფურად შესაფასებელი ჯგუფის 12 თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად. ამის გათვალისწინებით, ხდება ზღვრული დეფოლტის ალბათობების გამოთვლა პორტფელის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე წელიწადზე. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად დეფოლტად განისაზღვრა 90 დღიანი ვადაგადაცილება. მსესხებელი, რომელმაც ერთხელ მაინც განიცადა დეფოლტი დაკვირვების პერიოდის განმავლობაში, დეფოლტიანად ითვლება დაკვირვების პერიოდის დარჩენილ ვადაშიც.

დროის მომენტში დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას ამუშავებს სხვადასხვა მაკროსცენარის მეშვეობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი ზრდა იწვევს მთლიანი მსდ-ის 4.5%-იან ზრდას, რაც შეადგენს 327 ათას ლარს. ხოლო თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი კლება იწვევს მთლიანი მსდ-ის 6.6%-იან კლებას, რაც შეადგენს 483 ათას ლარს.

LGD მოდელი

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია LGD (დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები), ანუ დეფოლტის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის შეფასებული ოდენობა. მის შესაფასებლად დეფოლტგანცდილი რისკგამოვლინებები სეგმენტების მიხედვით მცირდება უზრუნველყოფად გამოყენებული დეპოზიტებით, 2 წლიანი ამოღების პერიოდის უზრუნველყოფის დისკონტირებული სალიკვიდაციო ღირებულებითა და 25%-იანი შეფასების ზღვრული მაჩვენებლით. LGD მოდელები არაუზრუნველყოფილი აქტივებისათვის მხედველობაში იღებს დეფოლტგანცდილი აქტივების ამოღების განაკვეთს. LGD იზომება სეგმენტურად და არა მსესხებლის დონეზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 17%-იან ზრდას, რაც შეადგენს 1,244 ათას ლარს, ხოლო შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 14%-იან კლებას, რაც შეადგენს 1,025 ათას ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამოღების პერიოდის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 6%-იან ზრდას, რაც შეადგენს 439 ათას ლარს, ხოლო ამოღების პერიოდის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 5%-იან კლებას, რაც შეადგენს 366 ათას ლარს.

EAD მოდელი

EAD წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ბანკი მას ანგარიშობს კონტრაგენტის მიმდინარე რისკის გამოვლენისა და მიმდინარე თანხის კონტრაქტით პოტენციურად ნებადართული ცვლილებების საფუძველზე, ამორტიზაციის ჩათვლით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ბანკი მსდ-ის გამოთვლებში იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიკურ მონაცემებსა და ეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც მონეტარული სამსახურები აქვეყნებენ. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მსდ-ის გამოთვლებში გამოიყენება. 12 თვიანი მსდ (1-ელი ეტაპის სესხები) ფასდება მხოლოდ თორმეტთვიანი დეფოლტის ალბათობით. არსებობის მანძილზე მსდ (მე-2 და მე-3 ეტაპების სესხები) ფასდება ყველა წლიური ზღვრული დეფოლტის ალბათობებით სესხის ვადის გასვლამდე.

ფასს 9-ის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია.

ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით ბანკმა შეაფასა ურთიერთქმედება მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და საკრედიტო რისკსა და დეფოლტის ალბათობას შორის. ინდივიდუალურად შეფასებული სესხების მომავალ ეკონომიკურ სცენარში შედის სამი მაკროეკონომიკური ინდიკატორი - მშპ-ის ზრდა, ლარი/აშშ დოლარი გაცვლითი კურსი და უძრავი ქონების ფასები. ჯგუფურად შეფასებული პორტფელის შემთხვევაში, ბანკს შეუძლია შეაფასოს, თუ რა ზეგავლენა აქვს მსდ-ზე მხოლოდ მშპ-ის ზრდას, რადგან სათანადო და არგუმენტირებული ინფორმაცია არ არსებობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ 2019-2023 წლების საქართველოს ეკონომიკურ სცენარებში შესული ინდიკატორები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს მსდ-ზე.

	2019	2020	2021	2022	2023
მშპ-ის ზრდის დონე					
საბაზისო სცენარი	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
აღმავალი სცენარი	6.50%	5.50%	5.00%	5.00%	5.00%
დაღმავალი სცენარი	2.00%	3.00%	4.00%	4.00%	4.00%
ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	0%	0%	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	3%	2%	2%	0%	0%
დაღმავალი სცენარი	-15%	-10%	5%	0%	0%
უძრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	2.90%	3.00%	3.00%	0.00%	0.00%
აღმავალი სცენარი	3.60%	3.30%	3.00%	0.00%	0.00%
დაღმავალი სცენარი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

პროგნოზირებული ურთიერთობა ეკონომიკურ ინდიკატორებსა და დეფოლტსა და დანაკარგის განაკვეთებს შორის სესხის პორტფელებში შემუშავდა ბოლო 5 წლის მონაცემების საფუძველზე.

ბანკმა ჩაატარა სენსიტიურობის ანალიზი, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ შეიცვლება სესხის პორტფელის მსდ მათ გამოთვლაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების ცვლილებების შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი მსდ, თუ თითოეული გამოყენებული დაშვება შეიცვლება მშპ-ის ზრდის განაკვეთის 5%-იანი ზრდის ან კლების და უძრავი ქონების ფასების 10%-იანი ცვლილების პირობებში. საილუსტრაციოდ, ცვლილებები იზოლირებულად არის ნაჩვენები და გამოყენებულია თითოეულ ალბათობის მიხედვით შეწონილ სცენარზე, რომლებსაც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება ეფუძნება.

მაკროეკონომიკური ცვლადი:	ცვლილება	საშუალო დეფოლტის ალბათობა	საშუალო LGD	ზეგავლენა მსდ-ზე
მშპ-ის ზრდის განაკვეთი	5%	13.5%	-	-1,157
	-5%	18.0%	-	950
უძრავი ქონების ფასები	10%	-	8.4%	-2,625
	-10%	-	18.0%	3,671

მსდ-ის გამოთვლა

როდესაც ზღვრული PD და LGD დგინდება თითოეული სეგმენტისათვის, ხდება სესხზე დანაკარგის რეზერვის გამოთვლა. ის დამოკიდებულია ჯგუფების რისკის მახასიათებლებზე: 12 თვიანი მსდ გამოითვლება 1-ელი ეტაპის ჯგუფებისთვის (31 დღეზე ნაკლები გადაცილება) და არსებობის მანძილზე მსდ მე-2 ან მე-3 ეტაპის ჯგუფებისათვის (30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება ან რესტრუქტურირებული სესხი). დანაკარგის რეზერვის გამოთვლის შედეგი ბანკს საშუალებას აძლევს, მიიღოს ჯგუფური შეფასების 20 კატეგორიიდან თითოეულის საშუალო გაუფასურების განაკვეთი, რომლებიც გამოიყენება სესხზე დანაკარგის რეზერვის ფორმირებისათვის მთლიანი მოდელის ხელახლა გამოთვლამდე. გაუფასურების მოდელის გადათვლა 2018 წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა, ბოლოს - 2018 წლის დეკემბერში, უახლესი ინფორმაციის საფუძველზე.

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით:

	მთლიანი სესხები	1-ელი ეტაპის 12 თვიანი მსდ	მე-2 ეტაპის არსებობის მანძილზე მსდ - არა საკრედიტო რისკიანი	მე-2 ეტაპის არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკიანი	სულ მსდ	წმინდა სესხები	მსდ რეზერვი მთლიან სესხებთან %
კორპორაციული სესხები							
5	1,040	(8)	-	-	(8)	1,032	0.77%
5-	18,986	(143)	-	-	(143)	18,843	0.75%
6+	22,480	(169)	-	-	(169)	22,311	0.75%
6	121,315	(799)	(218)	(604)	(1,621)	119,694	1.34%
6-	52,482	(315)	-	(1,272)	(1,587)	50,895	3.02%
7+	1,182	(9)	-	-	(9)	1,173	0.76%
7-	678	(5)	-	-	(5)	673	0.74%
9	4,545	(34)	-	-	(34)	4,511	0.75%
ურეიტინგო	538	(4)	-	-	(4)	534	0.74%
სულ კორპორაციული სესხები	**223,246**	**(1,486)**	**(218)**	**(1,876)**	**(3,580)**	**219,666**	**1.60%**
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები							
5	44,369	(17)	-	-	(17)	1,768	1.0%
5-	23,829	(19)	-	(28)	(47)	2,132	2.1%
6+	156	(106)	-	(376)	(482)	12,059	3.8%
6	314	(410)	(58)	(246)	(714)	43,655	1.6%
6-	12,541	(238)	(33)	(111)	(382)	23,447	1.6%
7+	15,771	(4)	-	(23)	(27)	1,188	2.2%
7-	1,215	-	-	(17)	(17)	139	11.0%
9	2,179	(3)	-	-	(3)	311	1.0%
ურეიტინგო	1,785	(135)	(72)	(162)	(369)	15,402	2.3%
სულ მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	**102,159**	**(932)**	**(163)**	**(963)**	**(2,058)**	**100,101**	**2.01%**
საცალო სესხები							
ურეიტინგო	83,009	(659)	(130)	(896)	(1,685)	81,324	2.03%
სულ საცალო სესხები	**83,009**	**(659)**	**(130)**	**(896)**	**(1,685)**	**81,324**	**2.03%**
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**408,414**	**(3,077)**	**(511)**	**(3,735)**	**(7,323)**	**401,091**	**1.79%**

ბანკის სარეიტინგო მეთოდოლოგიის მიხედვით, კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებში შედის ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების სესხები.

ბანკი საცალო სესხებზე, სადაც ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები შედის, შიდა საკრედიტო რისკის რეიტინგს არ იყენებს.

რესტრუქტურიზებული სესხები

კლიენტებზე გაცემულ სესხებზე პირობების ცვლილება, როგორც წესი, ხდება კლიენტებთან ურთიერთობის განვითარების პროცესის ფარგლებში ან მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგად შესაძლოა გაგრძელდეს სესხის გადახდის ვადა ან შეიცვალოს გადახდის გეგმა, რომლის მიხედვითაც ბანკი შეღავათიან საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს იმ მსესხებლებს, რომლებიც ნამდვილად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამის შედეგად, აქტივი კვლავაც ვადაგადაცილებული რჩება და ინდივიდუალურად გაუფასურებულია, თუ ხელმეორე მოლაპარაკების შედეგად დადგენილი საპროცენტო განაკვეთისა და ძირითადი თანხის გადახდა ნაკლებია აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაზე. სხვა შემთხვევაში, მოლაპარაკებების შედეგად იდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც ახალ სესხად განიხილება.
ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, კლასების მიხედვით, რომელთა პირობები შეიცვალა:

ფინანსური აქტივის კლასი	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	13,942	12,774
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2,186)	(2,409)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს ისეთი 1-ლი ეტაპის სესხები, რომელთა რესტრუქტურიზაციაც მოხდა მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ მე-2 ან მე-3 ეტაპზე;

კლიენტებზე გაცემული სესხების მოძრაობა ეტაპების მიხედვით

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს, მოძრაობა კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში იყო:

	2018			
	1-ელი ეტაპი: 12 თვიანი მსდ	მე-2 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის არმქონე	მე-3 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის მქონე	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2017	311,085	1,560	20,515	333,160
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	-	-	-	-
მთლიანი საბალანსო ღირებულება 1 იანვარი, 2018	**311,085**	**1,560**	**20,515**	**333,160**
ცვლილება მთლიან საბალანსო ღირებულებაში:				
–გადავიდა 1-ელ ეტაპზე	734	(734)	-	-
–გადავიდა მე-2 ეტაპზე	(25,053)	25,365	(312)	-
–გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(13,782)	13,782	-
ახალი წარმოშობილი სესხები	210,953	2,663	5,413	219,029
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	311	2	639	952
გადახდილი სესხები	(139,423)	(872)	(9,404)	(149,699)
ჩამოწერა	-	-	(88)	(88)
გაცვლითი კურსის ცვლილება	4,023	357	680	5,060
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2018	**362,630**	**14,559**	**31,225**	**408,414**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს, მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვში იყო:

	2018			
	1-ელი ეტაპი: 12 თვიანი მსდ	მე-2 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის არმქონე	მე-3 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის მქონე	სულ
დანაკარგის რეზერვი 31 დეკემბერი, 2017	2,749	72	3,925	6,746
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	665	95	355	1,115
დანაკარგის რეზერვი 1 იანვარი, 2018	**3,414**	**167**	**4,280**	**7,861**
ცვლილება დანაკარგის რეზერვში:				
–გადავიდა 1-ელ ეტაპზე	92	(92)	-	-
–გადავიდა მე-2 ეტაპზე	(337)	379	(42)	-
–გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(296)	296	-
ახალი წარმოშობილი სესხები	1,768	154	605	2,527
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	80	-	67	147
გადახდილი სესხები	(1,892)	(41)	(1,775)	(3,708)
ცვლილება რისკის პარამეტრებში	(80)	237	(91)	66
ჩამოწერა	-	-	(88)	(88)
პროცენტი	-	-	419	419
სხვა მოძრაობა	32	3	64	99
დანაკარგის რეზერვი 31 დეკემბერი, 2018	**3,077**	**511**	**3,735**	**7,323**

საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია - 2018 წლის 1 იანვრამდე

2018 წლის 1 იანვრამდე ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნებოდა ბასს 39-ს.

მსესხებლების მიმართ საკრედიტო რისკდამოკიდებულების შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა ფასს-ების შესაბამისი მეთოდოლოგია.

გაუფასურებულ სესხებზე მიღებული ზარალი აღიარდება მაშინვე, როგორც კი გაჩნდება ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხი ან სესხების პორტფელი გაუფასურდა. გაუფასურების ანარიცხები, რომელიც ითვლება ინდივიდუალურ სესხებზე ან მათ ჯგუფებზე, აღირიცხება ბალანსში გაუფასურებული სესხების საბალანსო ღირებულებაში. ისეთი ზარალი, რომელიც შეიძლება, მომავალში განვითარებული მოვლენების შედეგად წარმოიშვას, არ აღიარდება.

ბანკი სესხების მთლიან პორტფელს ჰყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო მსესხებლებად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება მსესხებლები, რომელთა ვალდებულებაც 500,000 აშშ დოლარს აჭარბებს. ასეთი მსესხებლების დეფოლტის ალბათობა ფასდება ბანკის სპეციფიური მეთოდოლოგიის მიხედვით. გაუფასურების ნიშნების არარსებობისას ინდივიდუალურად შეფასებული სესხი ფასდება იმ განაკვეთით, რომელიც ეფუძნება მსესხებელთა იმავე კატეგორიის კოლექტიურ შეფასებას.

ინდივიდუალური შეფასების მეთოდოლოგია

იმის ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, გაუფასურდა თუ არა სესხი, გამოიყენება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ინფორმაცია მსესხებლის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკდამოკიდებულებების, ასევე, მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდისუუნარობის დონეებისა და ტენდენციების, მოწოდებული უზრუნველყოფის (უძრავი ქონებისა და დეპოზიტების) სამართლიანი ღირებულების შესახებ. ეს და სხვა ფაქტორები, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე, ერთად აღებული, წარმოადგენს იმის მნიშვნელოვან ობიექტურ მტკიცებულებას, რომ ფინანსურ აქტივს ან ფინანსური აქტივების ჯგუფს გაუფასურების დანაკარგი დაერიცხა.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან მსესხებლებზე გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება ინდივიდუალურ სესხებზე სამომავლო დისკონტირებულ ფულად ნაკადებს, გადახდებისა და უზრუნველყოფის სახით ფლობილი აქტივების რეალიზაციის გათვალისწინებით.

გაუფასურების რეზერვის დათვლის მიზნით ბანკი აფასებს უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულებას გასაყიდი პერიოდისა და საბაზრო ღირებულებასთან სხვაობის გათვალისწინებით.

პორტფელის ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია

გაუფასურება ჯგუფურად ფასდება იმ ზარალის დასაფარად, რომელიც ბანკმა გასწია, მაგრამ ჯერ არ დაუკავშირებია ინდივიდუალურად შესაფასებელ სესხებთან ან სესხების ჰომოგენურ ჯგუფებთან, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად არ ითვლება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხები, რომლებზეც არ არსებობს კონკრეტულად იდენტიფიცირებული გაუფასურების მტკიცებულება ინდივიდუალურ საფუძველზე, გაუფასურების შესაფასებლად ჯგუფდება საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ამგვარი შეფასება ასახავს გაუფასურების დანაკარგებს, რომლებიც ჯგუფმა განიცადა ბალანსის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და რომელთაც ჯგუფი ვერ ავლენს და სარწმუნოდ ვერ აფასებს ინდივიდუალური სესხების საფუძველზე. ჯგუფში ინდივიდუალურ სესხებზე დანაკარგების თაობაზე ინფორმაციის გაჩენის პარალელურად ეს სესხები ჯგუფიდან ამოიღება და ფასდება ინდივიდუალურად.

ინდივიდუალურად უმნიშვნელოდ ჩათვლილი სესხების ჰომოგენური ჯგუფების კოლექტიური გაუფასურების დანაკარგების დასადგენად სტატისტიკური მეთოდები გამოიყენება. ჯგუფური შეფასება ტარდება არა კონტრაქტის, არამედ მსესხებლის დონეზე.

ჯგუფური შეფასებისთვის შერჩეული პორტფელი იყოფა კორპორაციულ, მცირე და საშუალო საწარმოების, უზრუნველყოფილ საცალო და არაუზრუნველყოფილ საცალო სეგმენტებად.

შესაბამისი ემპირიული ინფორმაციის არსებობისას ჯგუფი იყენებს მიგრაციის მატრიცების მეთოდოლოგიას, რომლითაც ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისა და დეფოლტისა და გადახდისუუნარობის გამოცდილების კომბინაციით სარწმუნოდ იზომება სესხების ის ოდენობა, რომლებიც დროთა განმავლობაში დეფოლტად ჩაითვლება საბალანსო უწყისის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად, მაგრამ მოცემულ მომენტში ინდივიდუალურად ვერ ფასდება.

თითოეულ სეგმენტზე დაკვირვების პერიოდი განისაზღვრა 1 წლით 2016 წლის ნოემბრიდან. დაკვირვების პერიოდის განმავლობაში, ბანკმა შეიმუშავა ერთობიანი მატრიცები თითოეული სესხის თვის ბოლოს არსებული მდგომარეობისა და რისკდამოკიდებულების მეშვეობით. პორტფელის ზრდის ეფექტის გამორიცხვის მიზნით, 2017 წლის ივნისის შემდგომ გაცემული სესხები სტატისტიკურ ანალიზში არ შევიდა.

მიგრაციის მატრიცის შედეგები გამოიყენება თითოეული სეგმენტისთვის დეფოლტის 12-თვიანი ალბათობის გამოსათვლელად. დეფოლტი განისაზღვრა, როგორც ყოველ სეგმენტში 90 დღიანი ვადაგადაცილება.

გადეფოლტებული ოდენობა მცირდება სესხის ამოღებადი თანხით, რომელიც განისაზღვრა უზრუნველყოფად გამოყენებული ქონების დისკონტირებული სალიკვდაციო ღირებულებით.

თითოეული პორტფელის შიდა დანაკარგები ფასდება სტატისტიკური მოდელებით, რომლებიც ისტორიულ მონაცემებს ეფუძნება. მონაცემები პერიოდულად ახლდება პორტფელისა და ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით. თუ ეკონომიკური, მარეგულირებელი გარემოსა და ქცევითი ვითარების ცვლილებებიდან წარმოქმნილი უახლესი ტენდენციები სტატისტიკურ მოდელში არ აისახება, ამ ფაქტორების გათვალისწინება ხდება ამ სტატისტიკური მოდელებიდან მიღებული გაუფასურების რეზერვის კორექტირებით საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით.

უზრუნველყოფისა და სხვა საკრედიტო ფაქტორების ანალიზი

ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის მოცულობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. უზრუნველყოფის სახეობების მისაღებლობა და შეფასების პარამეტრები დგინდება ინსტრუქციის შესაბამისად.

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული სესხებისათვის: უძრავი ქონება, გარანტიები, სატრანსპორტო საშუალებები და დანადგარები;
- საცალო სესხებისათვის: საცხოვრებელი ფართის გირავნობა, გარანტიები, სატრანსპორტო საშუალებები და დანადგარები.

ხელმძღვანელობა აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას საბაზისო შეთანხმების შესაბამისად და აკვირდება მიღებული უზრუნველყოფის

საბაზრო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგის რეზერვების ადეკვატურობის მიმოხილვისას. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებული უზრუნველყოფების საბაზრო ღირებულება იყო, შესაბამისად, 789,073 ათასი და 630,407 ათასი ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სესხის პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფის სახეობების მიხედვით:

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
კომბინირებული	264,553	(4,743)	259,810	595,402
უძრავი ქონება	108,702	(1,780)	106,922	190,241
ნაღდი ფული	3,878	(28)	3,850	3,898
გარანტიები	20,595	(281)	20,314	55,126
უზრუნველყოფის გარეშე	10,686	(491)	10,195	-
სულ	**408,414**	**(7,323)**	**401,091**	**844,667**

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
კომბინირებული	232,328	(4,918)	227,410	445,891
უძრავი ქონება	86,120	(1,448)	84,672	212,355
ნაღდი ფული	7,074	(40)	7,034	7,883
გარანტიები	1,548	(61)	1,487	2,236
უზრუნველყოფის გარეშე	6,092	(279)	5,813	-
თოტალ	**333,162**	**(6,746)**	**326,416**	**668,365**

ბანკის პოლიტიკით, უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების თვალსაზრისით, ამგვარი სესხები გაიცემა სესხის ღირებულებასთან ფარდობის საშუალოდ 70%-იანი მაჩვენებლით (სესხის გაცემის დღეს), ანუ ყველაზე დაბალი ღირებულებით, რომლითაც შეიძლება მისი რეალიზება და გამოყენება მსდ-ის გამოთვლებში.

სესხის ღირებულებასთან ფარდობა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	49,235	(997)	48,238
51-70%	35,329	(423)	34,906
71-90%	47,073	(836)	46,237
91-100%	31,058	(318)	30,740
100% მეტი	245,719	(4,749)	240,970
სულ	**408,414**	**(7,323)**	**401,091**

სესხის ღირებულებასთან ფარდობა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	28,270	(581)	27,690
51-70%	17,732	(230)	17,502
71-90%	56,689	(680)	56,008
91-100%	21,957	(266)	21,691
100% მეტი	208,514	(4,990)	203,523
სულ	**333,162**	**(6,746)**	**326,416**

ხელმძღვანელობის შეფასებით, სესხის გაცემის თარიღში უზრუნველყოფის რეალური ღირებულება სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებების ტოლია. უზრუნველყოფის რეალური ღირებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა.

ქვემოთ მოცემულია სესხის პორტფელის ანალიზი სესხის ღირებულებისა და უზრუნველყოფის რეალური ღირებულებების ფარდობის მიხედვით:

სესხის ღირებულებაზე ფარდობაზე დაფუძნებული რეალური ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	79,921	(1,383)	78,538
51-70%	59,892	(1,000)	58,892
71-90%	162,913	(3,023)	159,890
91-100%	60,805	(803)	60,002
100% მეტი	44,883	(1,114)	43,769
სულ	**408,414**	**(7,323)**	**401,091**

სესხის ღირებულებასთან ფარდობა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	46,607	(820)	45,787
51-70%	70,951	(813)	70,138
71-90%	71,070	(1,888)	69,182
91-100%	103,955	(1,691)	102,265
100% მეტი	40,579	(1,534)	39,045
სულ	**333,162**	**(6,746)**	**326,416**

მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება

ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ცვალებადია და განპირობებულია როგორც ინდივიდუალური რისკებით, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ზოგადი რისკებითაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარესაბალანსო ფინანსური აქტივების მაქსიმალურ საკრედიტო რისკდამოკიდებულებას. ბალანსის უწყისში ასახული ფინანსური აქტივების მაქსიმალური რისკდამოკიდებულება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე ან უზრუნველყოფამდე. პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება წარმოდგენილია ინსტრუმენტების საკონტრაქტო ღირებულებითიმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა, საპასუხო მოთხოვნები ან გარანტია გაუფასურდა და პირობითი ვალდებულებება ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება.

31 დეკემბერი, 2018	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება	წმინდა რისკდამოკიდებულება
ფული და ფულის ქვივალენტები სალაროში არსებული ფულის გარდა	19,481	19,474
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	26,438	26,436
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,733	1,732
კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	401,091
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,874	16,857
სხვა ფინანსური აქტივები	644	602
გარანტიები და აკრედიტივები	9,193	8,991

31 დეკემბერი, 2017	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება	წმინდა რისკდამოკიდებულება
ფული და ფულის ქვივალენტები სალაროში არსებული ფულის გარდა	13,700	13,700
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,645	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	333,162	326,416
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,823	16,823
სხვა ფინანსური აქტივები	630	630
გარანტიები და აკრედიტივები	9,910	9,731

გარესაბალანსო რისკი

გარესაბალანსო რისკების სამართავად გამოიყენება რისკის მართვის არსებითად ისეთივე პოლიტიკა, როგორიც საბალანსო რისკების შემთხვევაში. სასესხო ვალდებულების შემთხვევაში, კლიენტებსა და კონტრაგენტებზე გავრცელდება კრედიტის მართვის ისეთივე პოლიტიკა, როგორიც სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. ბანკმა უზრუნველყოფა შეიძლება მოითხოვოს კონტრაგენტის ფინანსური სიძლიერისა და გარიგების ხასიათის მიხედვით.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს კანონმდებლობასა და მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებულ რისკებს და აფასებს მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კონცენტრირებული იყო საქართველოში.

აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერ 2018 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	23,200	1,676	-	24,876
ავალდებულო რეზერვი სებ-ში	26,436	-	-	26,436
მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ	-	1,732	-	1,732
კლიენტებზე გაცემული სესხები	399,320	1,376	395	401,091
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,857	-	-	16,857
სხვა ფინანსური აქტივები	602	-	-	602
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**466,469**	**4,784**	**395**	**471,648**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	2,657	271,603	-	274,260
კლიენტების დეპოზიტები	72,788	9,145	4,544	86,477
სხვა ფინანსური ვალდებულებები	799	-	-	799
სუბორდინირებული სესხი	-	26,860	-	26,860
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**76,244**	**307,608**	**4,544**	**388,396**
წმინდა პოზიცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**390,225**	**(302,824)**	**(4,149)**	**83,252**

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერ 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	19,102	1,233	-	20,335
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	-	-	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	1,645	-	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	325,661	755	-	326,416
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,823	-	-	16,823
სხვა ფინანსური აქტივები	630	-	-	630
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	**407,225**	**3,633**	**-**	**410,858**
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	263,034	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	48,952	11,545	1,186	61,683
სხვა ფინანსური ვალდებულებები	730	-	-	730
სუბორდინირებული სესხი	-	26,013	-	26,013
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	**49,682**	**300,592**	**1,186**	**351,460**
წმინდა პოზიცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე	**357,543**	**(296,959)**	**(1,186)**	**59,398**

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

ფინანსური აქტივები ხარისხდება საერთაშორისო სააგენტო "ფიჩის" მიერ მინიჭებული მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით. AAA მაქსიმალური რეიტინგია. საინვესტიციო რანგის ფინანსური აქტივების რეიტინგი მერყეობს AAA - BBB ფარგლებში. ამ უკანასკნელზე ნაკლები რეიტინგის მქონე ფინანსური აქტივები ითვლება სპეკულაციურად.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

31 დეკემბერი, 2018	AAA	AA	A	BBB	<BBB	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	-	-	-	-	24,816	60	**24,876**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	-	-	-	26,436	-	**26,436**
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	1,732	-	-	-	**1,732**
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	7,659	393,432	**401,091**
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	54	**54**
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	16,857	-	**16,857**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	602	**602**
31 დეკემბერი, 2017	**AA**	**A**	**AA-**	**BBB**	**<BBB**	**შეუფასებელი**	**სულ**
ფული და ფულის ექვივალენტები		-	-	-	20,230	105	**20,335**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში		-	-	-	44,955	-	**44,955**
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	1,64 5	-	-	-	**1,645**
კლიენტებზე გაცემული სესხები		-	-	-	-	326,416	**326,416**
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-	-	54	**54**
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში		-	-	-	16,823	-	**16,823**
სხვა ფინანსური აქტივები		-	-	-	-	630	**630**

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივების დახარისხება ხდება საერთაშორისო სააგენტოების, "ფიჩი", "სტანდარდ & ფუარზი" და "მუდისი" მიერ მინიჭებული მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით.

საბანკო ინდუსტრიას ზოგადად ახასიათებს საკრედიტო რისკი კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების გამო. კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში რისკდამოკიდებულება კონცენტრირებულია საქართველოს ფარგლებში. რისკდამოკიდებულება რეგულარულ მონიტორინგს ექვემდებარება რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

საქართველოს საკრედიტო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების თანახმად შეესაბამება – BB-ს.

ბანკი ახორციელებს მრავალ გარიგებას, სადაც კონტრაგენტები არ არიან შეფასებულნი საერთაშორისო შეფასების სააგენტოების მიერ. ბანკმა შეიმუშავა შეფასების შიდა მოდელი, რის მიხედვითაც იგი განსაზღვრავს კონტრაგენტის რეიტინგს. მსესხებელთა შეფასების მიზნით ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის დადგენის მეთოდოლოგია. ამ მეთოდის საშუალებით მსესხებელს რეიტინგი ენიჭება ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობის, აუდირებული ფინანსური ანგარიშების, მმართველობის ხარისხის, კონკურენტუნარიანობის, საბაზრო წილის, დაკავშირებული მხარეებისა და სხვა ინდიკატორების მიხედვით.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, როცა მათი ვადა ამოიწურება.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე და განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდურობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისათვის.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებისგან მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადებსა და ბანკის ოპერაციებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივ-პასივების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორატი აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ წილზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდების მოთხოვნია მისი მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობის რისკის გასაკონტროლებლად, ლიკვიდობის ჯამური დეფიციტისა (სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის) და მთლიანი აქტივების ფარდობაზე ბანკი აწესებს ზღვარს. აღნიშნული ზღვრის დარღვევის შემთხვევაში კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას კორექციული ზომების შემოღების შესახებ.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადამდე დარჩენილი პერიოდი, რომელიც გამოიანგარიშება ფინანსური ვალდებულებების დაუდისკონტირებელი ფულადი სახსრების (სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი) იმ უახლოესი თარიღით, როდესაც ბანკი ვალდებულია დაფაროს ვალდებულება; და

(ბ) ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრული დაფარვის ვადამდე დარჩენილი პერიოდი, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე კონტრაქტით გათვალისწინებულ დაფარვის ვადაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკი ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა დროს ვარაუდობს.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადებს:

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	12,623	-	-	-	-	-	12,623
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	26,436	-	-	-	-	-	26,436
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	902	754	1,075	2,777	11,349	-	16,857
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,545	5,380	53,125	80,079	255,962	-	401,091
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	**46,506**	**6,134**	**54,200**	**82,856**	**267,311**	**-**	**457,007**
ფული და ფულის ექვივალენტები	12,253	-	-	-	-	-	12,253
მოთხოვნები ფინანსური ინსტრიტუტების მიმართ	-	-	-	-	1,732	-	1,732
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	54	54
სხვა ფინანსური აქტივები	602	-	-	-	-	-	602
სულ უპროცენტო ფინანსური აქტივები	**12,855**	**-**	**-**	**-**	1,732	**54**	**14,641**
სულ ფინანსური აქტივები	**59,361**	**6,134**	**54,200**	**82,856**	**269,043**	**54**	**471,648**
ფინანსური ვალდებულებები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7,266	18,143	21,509	227,342	-	-	274,260
კლიენტების დეპოზიტები	24,454	5,636	16,207	7,920	-	-	54,217
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	26,860	-	-	26,860
სულ პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	**31,720**	**23,779**	**37,716**	**262,122**	**-**	**-**	**355,337**
კლიენტების დეპოზიტები	32,260	-	-	-	-	-	32,260
სხვა ფინანსური ვალდებულებები	799	-	-	-	-	-	799
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები	**33,059**	-	-	-	-	-	**33,059**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**64,779**	**23,779**	**37,716**	**262,122**	**-**	**-**	**388,396**
საპროცენტო პოზიცია	14,786	(17,645)	16,484	(179,266)	267,311	-	
ჯამური საპროცენტო პოზიცია	**14,786**	**(2,859)**	**13,625**	**(165,641)**	**101,670**	**101,670**	
ლიკვიდობის დეფიციტი	(5,418)	(17,645)	(16,484)	(179,266)	269,043	54	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(5,418)	**(23,063)**	**(6,579)**	**(185,845)**	**83,198**	**83,252**	

ცხრილში კლიენტების მოთხოვნამდე დეპოზიტები ნაჩვენებია 1 თვემდე ვადაში. ბანკის გამოცდილების მიხედვით, კლიენტები წლის განმავლობაში ბანკში ინარჩუნებენ 28,83 ლარს საშუალოდ. ამდენად, უარყოფითი ლიკვიდობის დეფიციტი სახელშეკრულებო ვადიანობაზე 1 წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება და დადებითი ხდება ქცევითი ვადიანობის გათვალისწინებით.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	8,360	-	-	-	-	-	8,360

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაბრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	-	-	-	-	-	44,955
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	108	507	42	5,302	10,864	-	16,823
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,930	12,663	70,760	134,687	95,376	-	326,416
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	**66,353**	**13,170**	**70,802**	**139,989**	**106,240**	**-**	**396,554**
ფული და ფულის ექვივალენტები	11,975	-	-	-	-	-	11,975
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	-	-	1,645	-	1,645
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	54	54
სხვა ფინანსური აქტივები	630	-	-	-	-	-	630
სულ უპროცენტო ფინანსური აქტივები	**12,605**	**-**	**-**	**-**	**1,645**	**54**	**14,304**
სულ ფინანსური აქტივები	**78,958**	**13,170**	**70,802**	**139,989**	**107,885**	**54**	**410,858**
ფინანსური ვალდებულებები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7,821	18,264	160,349	76,600	-	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	9,062	3,940	16,521	4,621	-	-	34,144
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	26,013	-	26,013
სულ პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	**16,883**	**22,204**	**176,870**	**81,221**	**26,013**	**-**	**323,191**
კლიენტების დეპოზიტები	27,539	-	-	-	-	-	27,539
სხვა ფინანსური ვალდებულებები	730	-	-	-	-	-	730
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები	28,269	-	-	-	-	-	28,269
სულ ფინანსური ვალდებულებები	**45,152**	**22,204**	**176,870**	**81,221**	**26,013**	**-**	**351,460**
საპროცენტო პოზიცია	33,806	(9,034)	(106,068)	58,768	81,872	54	
ჯამური საპროცენტო პოზიცია	**33,806**	**24,772**	**(81,296)**	**(22,528)**	**59,344**	**59,358**	
ლიკვიდობის დეფიციტი	49,470	(9,034)	(106,068)	58,768	80,227	-	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	**49,470**	**40,436**	**(65,632)**	**(6,864)**	**73,363**	**73,363**	

შემდეგი ცხრილები დეტალურად წარმოადგენს ბანკის დარჩენილ საკონტრაქტო ვალდებულებებს გადახდის წინასწარ შეთანხმებული პერიოდით. ცხრილი შედგა არადისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების საფუძველზე ბანკის მიერ მათი დაფარვის ყველაზე ადრეული თარიღის გათვალისწინებით. ცხრილი მოიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხის ფულადი სახსრების მოძრაობას. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო შემოსავლები ემყარება ცვლად საპროცენტო განაკვეთს, არადისკონტირებული თანხები გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მრუდებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადა ემყარება ყველაზე ადრეულ თარიღს, როდესაც ბანკს შეიძლება მოუწიოს თანხის დაფარვა.

კლიენტების მოთხოვნამდე დეპოზიტები შედის 1 თვემდე ლიკვიდობის კატეგორიაში, რადგან კონტრაქტის მიხედვით, საანგარიშო დღეს კლიენტის მოთხოვნით შეიძლება გატანილ იქნეს ნებისმიერი თანხა. ბანკის მთავარი დეპოზიტარები არიან ის მსესხებლები, რომლებიც, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულნი არიან, ბანკში იქონიონ მოქმედი ანგარიშები და შეინარჩუნონ გარკვეული ბრუნვა. ამდენად,

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიმდინარე ანგარიშებიდან საგარაუდო გადინება მნიშვნელოვნად განსხვავდება საკონტრაქტო ლიკვიდობისგან.

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი სულ
ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	2.46%	4,612	18,212	21,682	246,993	-	291,499
კლიენტების დეპოზიტები	4.25%	25,244	6,020	15,626	8,534	-	55,424
სუბორდინირებული სესხი	6.00%	44	260	1,210	30,981	-	32,495
სულ ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებები		**29,900**	**24,492**	**38,518**	**286,508**	**-**	**379,418**
უპროცენტო ინსტრუმენტები							
კლიენტების დეპოზიტები		32,260	-	-	-	-	32,260
სხვა ფინანსური ვალდებულებები		799	-	-	-	-	799
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები		**33,059**	**-**	**-**	**-**	**-**	**33,059**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**62,959**	**24,492**	**38,518**	**286,508**	**-**	**412,477**

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის 31 დეკემბერი სულ
ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	2.46%	7,824	18,314	162,356	83,662	-	272,156
კლიენტების დეპოზიტები	5.12%	9,066	3,960	17,144	5,186	-	35,356
სუბორდინირებული სესხი	6.00%					26,013	26,013
სულ ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებები		**16,890**	**22,274**	**179,500**	**88,848**	**26,013**	**333,525**
უპროცენტო ინსტრუმენტები							
კლიენტების დეპოზიტები		27,538	-	-	-	-	27,538
სხვა ფინანსური ვალდებულებები		730	-	-	-	-	730
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები		**28,268**	**-**	**-**	**-**	**-**	**28,268**
სულ ფინანსური ვალდებულებები		**45,158**	**22,274**	**179,500**	**88,848**	**26,013**	**361,793**

ზემოთ მოცემულ ცხრილში ვადიანობა საკონტრაქტო პირობებს შეესაბამება. თუმცა, არსებული კანონმდებლობით, ფიზიკურ პირს უფლება აქვს, ვადამდე ადრე გაწყვიტოს საანაბრე ხელშეკრულება.

ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის (არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში) მოცემული თანხები შეიცვლება, თუ ცვლადი განაკვეთი განსხვავდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთისგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ ბანკის მოგებაზე ან კაპიტალზე ან მის მიერ მიზნების მიღწევის უნარზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა რისკებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებში და იმ რისკებში, რომლებსაც ის

ექვემდებარება, ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. სევე, არ შეცვლილა რისკების მართვისა და გაზომვის მეთოდები.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ბანკის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის შენარჩუნებით, რაც უზრუნველყოფს ბანკის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ფინანსური ზედამხედველობის დეპარტამენტი აწარმოებს ბანკის მიმდინარე ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგს, აფასებს მის მგრძნობიარობას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და ამ განაკვეთის ცვლილების ზეგავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასების გზით ბანკი მართავს სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის მდგომარეობის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძნობიარობას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს საპროცენტო პოზიციაზე ზღვარის დაწესება და მისი მონიტორინგი. ბანკის საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით, საპროცენტო პოზიციაზე ზღვარი წესდება იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთებში 2%-იანი ცვლილებით გამოწვეული დანაკარგი არ უნდა აჭარბებდეს წლიურ ბიუჯეტში მოცემული წმინდა საპროცენტო შემოსავლის 10%-ს.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისადებ ცვლილებებზე" დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია ანგარიშებში რისკების თაობაზე, რომლებსაც ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წ. 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს:

	2018 წ. 31 დეკემბერს		2017 წ. 31 დეკემბერს	
	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%
არაწარმოებული ფინანსური აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები	252	(252)	167	(167)
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	529	(529)	899	(899)
კლიენტებზე გაცემული სესხები	8,022	(8,022)	6,530	(6,530)
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	337	(337)	335	(335)
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები:				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(5,485)	5,485	(5,261)	5,261
კლიენტების დეპოზიტები	(1,083)	1,083	(683)	683
სუბორდინირებული სესხი	(537)	537	(520)	520
წმინდა ზეგავლენა მოგებაზე მოგების გადასახადამდე	**2,035**	**(2,035)**	**1,467**	**(1,467)**

გავლენა აქციონერთა კაპიტალზე:

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	2018 წ. 31 დეკემბერს		2017 წ. 31 დეკემბერს	
	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%
არაწარმოებული ფინანსური აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები	215	(215)	142	(142)
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	449	(449)	764	(764)
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,819	(6,819)	5,549	(5,549)
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	287	(287)	286	(286)
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები:				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(4,662)	4,662	(4,472)	4,472
კლიენტების დეპოზიტები	(920)	920	(580)	580
სუბორდინირებული სესხი	(457)	457	(442)	442
წმინდა ზეგავლენა კაპიტალზე	**1,730**	**(1,730)**	**1,247**	**(1,247)**

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძველზე ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ბანკს აძლევს საშუალებას, მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. სახაზინო განყოფილება ახორციელებს ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს, რათა სებ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნეს.

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.0701 ლარი	სხვა ვალუტა	31 დეკემბერი, 2018 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	6,661	6,217	10,788	1,210	24,876
მინიმალური სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	22,392	4,044	-	26,436
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	1,732	-	-	1,732
კლიენტებზე გაცემული სესხები	91,621	290,769	18,701	-	401,091
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,857	-	-	-	16,857
სხვა ფინანსური აქტივები	258	344	-	-	602
სულ ფინანსური აქტივები	**115,451**	**321,454**	**33,533**	**1,210**	**471,648**
ფინანსური ვალდებულებები					
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	248,143	26,117	-	274,260
კლიენტების დეპოზიტები	32,282	46,760	7,355	80	86,477
სუბორდინირებული სესხები	-	26,860	-	-	26,860
სხვა ფინანსური ვალდებულებები	298	417	84	-	799
სულ ფინანსური ვალდებულებები	**32,580**	**322,180**	**33,556**	**80**	**388,396**
ღია საბალანსო პოზიცია	**82,871**	**(726)**	**(23)**	**1,130**	

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	31 დეკემბერი, 2017 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	11,206	8,023	955	151	20,335
მინიმალური სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	44,501	454	-	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	1,645	-	-	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	59,848	266,225	343	-	326,416
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,823	-	-	-	16,823
სხვა ფინანსური აქტივები	296	334	-	-	630

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	31 დეკემბერი, 2017 სულ
სულ ფინანსური აქტივები	**88,227**	**320,728**	**1,752**	**151**	**410,858**
ფინანსური ვალდებულებები					
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	263,034	0	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	26,599	33,342	1,657	85	61,683
სუბორდინირებული სესხები	-	26,013	-	-	26,013
სხვა ფინანსური ვალდებულებები	472	195	63	-	730
სულ ფინანსური ვალდებულებები	**27,071**	**322,584**	**1,720**	**85**	**351,460**
ღია საბალანსო პოზიცია	**61,156**	**(1,856)**	**32**	**66**	

მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ. შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობიარობას აშშ დოლარის ლართან კურსის 25%-იან ზრდასა და შემცირებასთან მიმართებაში. 25% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების მიმდინარე ნაწილს და აკორექტირებს მათს გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 25%-იანი ცვლილებით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
	GEL/USD 25%	GEL/USD (25%)	GEL/USD 25%	GEL/USD (25%)
გავლენა მოგება-ზარალზე	182	(182)	(464)	464
გავლენა კაპიტალზე	154	(154)	(395)	395

	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
	GEL/EUR 25%	GEL/EUR (25%)	GEL/EUR 10%	GEL/EUR (10%)
გავლენა მოგება-ზარალზე	6	(6)	8	(8)
გავლენა კაპიტალზე	5	(5)	6	(6)

<u>მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები</u>. ზემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ძირითად დაშვებებში მომხდარი ცვლილებების შედეგებს, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. სხვადასხვა დონის მიმართ საინვესტიციო ბაზრის მოძრაობის პარალელურად, მმართველობითი ზომები შეიძლება მოცავდეს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებას და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას. ამის შედეგად, დაშვებებში ცვლილებებს შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ ვითარებაში აქტივებისა და ვალდებულებების გაზომვის განსხვავებულმა მეთოდებმა შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს ჰიპოთეტიური საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ბანკზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ბანკი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტებისა და მარჟების, ასევე, უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნაღდებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ბანკი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს, მართოს აღნიშნული რისკები და აკონტროლოს გარემო პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. მართვის მექანიზმები მოიცავს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების ეფექტიან პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

31. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები ბანკსა და მის შვილობილ სტრუქტურებს შორის, რომლებიც, ამავდროულად, არიან ბანკთან დაკავშირებული მხარეები, ექვემდებარება ელიმინაციას და ისინი წინამდებარე შენიშვნაში განმარტებული არ არის. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	1,629	24,876	1,185	20,335
- დამფუძნებელი	1,615		1,127	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	14		58	
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,177	401,091	922	333,162
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	825		749	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	352		174	
კლიენტებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების რეზერვი	10	7,323	6	6,746
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	6		5	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	4		1	
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	271,603	274,260	263,034	263,034
- დამფუძნებელი	271,603		263,034	
კლიენტების დეპოზიტები	3,113	86,477	2,692	61,683
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	204		305	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	2,909		2,387	
სუბორდინირებული სესხები	26,860	26,860	26,013	26,013
- დამფუძნებელი	26,860		26,013	

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	2018		2017	
	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	1,255	7,907	1,191	7,503
სულ	**1,255**	**7,907**	**1,191**	**7,503**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2018		2017	
	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	94	36,249	67	32,227
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა (დამფუძნებლის ან ბანკის)	77		61	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	17		6	
საპროცენტო ხარჯი	9,536	12,077	6,144	8,344
- დამფუძნებელი	9,454		6,065	
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	5		5	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	77		74	
საკომისიო ხარჯები	129	861	48	2,510
- დამფუძნებელი	129		48	
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის ოპერაციებზე	29	1,103	5	1,105
- დამფუძნებელი	29		5	
საოპერაციო ხარჯები	1,261	12,703	1,197	11,916
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	1,261		1,197	

32. შემდგომი მოვლენები

წლის ბოლოს შემდეგ არ მომხდარა რაიმე ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვდა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ან ნაჩვენები რიცხვების კორექტირებას.

სააქციო საზოგადოება
ხალიკ ბანკი
საქართველო

ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
მდგომარეობით

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით შინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

მმართველობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:
- მიმოხილვა 2
- ფინანსური შედეგების მიმოხილვა 2
- რისკის მართვა 3-5
- ძირითადი რისკები და არასარწმუნოებები 6
- ადამიანური რესურსების მართვა 7
- კორპორაციული პასუხისმგებლობა 8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 9-11

შინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 12
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 13
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიში 14
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 15

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

1. ორგანიზაცია 16
2. მომზადების საფუძველი 16
3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება 17
4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა 24
5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯა და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები 41
6. ფული და ფულის ექვივალენტები 44
7. სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში 44
8. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ 44
9. კლიენტებზე გაცემული სესხები 45
10. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 48
11. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში 48
12. ძირითადი საშუალებები 49
13. არამატერიალური აქტივები 50
14. სხვა აქტივები 51
15. გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ 51
16. კლიენტების დეპოზიტები 51
17. რეზერვები 52
18. სხვა ვალდებულებები 53
19. სუბორდინირებული სესხი 53
20. სააქციო კაპიტალი 53
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დანაკარგებამდე 54
22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე და არმქონე აქტივებზე 54
23. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები 55
24. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე 55
25. საოპერაციო ხარჯები 56
26. მოგების გადასახადი 56
27. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 57
28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 59
29. კაპიტალის რისკის მართვა 60
30. რისკის მართვის პოლიტიკა 63
31. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 86
32. შემდგომი მოვლენები 87

დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი") ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე, პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ბანკის მიერ მოქმედი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობის ანგარიშგებაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის განმარტებაზე; და
- ფინანსური ანგარიშგების შესატყვისი მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 1 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

მმართველობითი ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკ საქართველო“ („ბანკი“) არის სს „ხალიკ ბანკ ყაზახეთის“ საკუთრებაში არსებული მისსიეე შვილობილი კომპანია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2008 წლიდან ოპერირებს.

2009 წელს ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა საბანკო პროდუქტების გასაყიდად ყველა აუცილებელი პირობის შექმნა, კერძოდ, საბანკო ინფრასტრუქტურის მოწყობა, კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და საოპერაციო საქმიანობის ფორმალიზება.

2010 წლიდან მოყოლებული ბანკი აქტიური ოპერაციებითაა დაკავებული და საფონდო ბაზარზე ახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და ბანკთაშორის ტრანზაქციებს. 2010 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ბანკი ჩაერთო სესხების გაცემის აქტიურ პროცესში, რაც დღემდე წარმატებით მიმდინარეობს.

ბანკს აქვს რვა კარგად მოწყობილი წარმომადგენლობითი ოფისი (ფილიალი), აგრეთვე ბანკომატებისა და გადახდის ტერმინალების ქსელი. რვიდან ორი ფილიალი განთავსებულია ქვეყნის დედაქალაქის გარეთ (ბათუმსა და ქუთაისში), დარჩენილი ექვსი ფილიალი კი ფუნქციონირებს დედაქალაქში.

ბანკის მიზანია, წარმატებული საქმიანობა გააგრძელოს ყველა საბაზრო სეგმენტში, მათ შორის, საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესის, კორპორაციული ბიზნესის სეგმენტებში. ამ მიზნით, ბანკი კლიენტებს სთავაზობს მომსახურებათა ფართო სპექტრს - საკრედიტო პროდუქტებს, სახელფასო პროგრამებს, მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი ანაბრების დიდ არჩევანს, ბარათებს, დისტანციურ საბანკო სერვისებსა და დოკუმენტურ ოპერაციებს. ბანკს მნიშვნელოვანი ინვესტიციები აქვს ჩადებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საგადახდო სისტემების განვითარებაში და წარმატებას აღწევს ბაზარზე ინოვაციური საბანკო პროდუქტების თვალსაზრისით. ბანკს აქვს კარგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობები, რომელთა მეშვეობით გადახდის ტრანზაქციების განხორციელება მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა შესაძლებელი. ბანკი ჩართულია SWIFT და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემებში.

ახლო მომავალში ბანკი გეგმავს ფინანსური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და კლიენტებისათვის ახალი, ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას. გარდა ამისა, ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ კომპონენტად, საბანკო პროდუქტების შემუშავებასთან ერთად, განიხილება პროდუქტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ბანკის ფილიალების ქსელისა და დისტანციური მომსახურების არხების განვითარების გზით.

ბანკის სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მოითხოვს ამ სტრატეგიის ბანკის შიდა ზედამხედველობის ქსელის მიხედვით გამართვას. ბანკში ფუნქციონირებს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის მძლავრი სისტემები, რაც მას საშუალებას აძლევს, სტრატეგიის განხორციელების პარალელურად, დაადგინოს რისკის დასაშვები ოდენობები და მყისიერად გამოავლინოს, შეაფასოს, მართოს და ანგარიშებში ეფექტურად ასახოს სხვადასხვა დროს არსებული რისკები.

ინფორმაცია აქციათა შესყიდვის თაობაზე

2018 წლის 19 მარტს ბანკმა გამოუშვა ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი (14,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული - 1,000 ლარის ნომინალური ღირებულებით). ბანკს გამოსყიდული აქციები არ ჰქონდა. ამჟამად ბანკს გამოშვებული აქვს ერთი კლასის ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც სრულადაა გადახდილი. პრივილეგირებული აქციები ბანკს არ აქვს. ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები აღწერილია ბანკის წესდებაში. გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ხმის უფლება შეზღუდული არ არის და თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმა გააჩნია. წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალის მოძრაობა აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაში.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

გრძელვადიან თანამშრომლობასა და უმაღლესი ხარისხის ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე გათვლის შედეგად ბანკი კორპორაციულ სეგმენტში მყარად იკავებს ადგილს. სებ-ის მიერ გამოცემული კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ანგარიშის მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი მთლიანი აქტივებისა და საბანკო სექტორში წილის მიხედვით მეათე ადგილზეა.

2018 წელს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „ფიტჩ რეიტინგმა“ („ფიტჩი“) ბანკს მიაკუთვნა „ემინენტის დეფოლტის გრძელვადიანი რეიტინგი“ („ედრ“) BB-, რაც შეესაბამება სტაბილურიდან დადებითისკენ გადახრილ პერსპექტივას და ბანკის საქმიანობის სწრაფ ზრდასა და გაუმჯობესებულ მედეგობას ასახავს. ამავე სააგენტომ ბანკის სიცოცხლისუნარიანობის რეიტინგი („სრ“) შეაფასა რეიტინგით b+, რადგან, მისი აზრით, ბანკი საკმარისად დამოუკიდებელია დამფუძნებელი ბანკისგან კრედიტების ინიცირებისა და დამტკიცების თვალსაზრისით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთ-ერთი ძირეული ფინანსური მაჩვენებელი, ბანკის კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE) მცირედით შემცირდა წინა წელთან შედარებით. 18.08%-დან იგი 14.22%-მდე ჩამოვიდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საპროცენტო მარჟის შემცირებითა და 2018 წლის მარტში კაპიტალის ინექციით.

სხვა ძირეული მაჩვენებლები, როგორებიცაა სესხზე დანაკარგის კოეფიციენტი (LLR) (1.54%), საოპერაციო ხარჯების ფარდობა შემოსავალთან (48%) და დაქირავებულ პირთა ბრუნვა (პერსონალის კარგვა) (9.6%) წინა წელთან შედარებით მცირედით შეიცვალა (2017: 2%, 44% და 8.3% შესაბამისად). ბანკმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაიწყო 2014 წლის იელისში ბასსს-ის მიერ გამოშვებული ფასს 9-ის გამოყენება, რამაც გამოიწვია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ECL) გაზრდა 17%-ით. ფასს 9-ის პირველადი გამოყენება განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

აღსანიშნავია, რომ ბანკის სესხზე დანაკარგის კოეფიციენტი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს მთელ საბანკო სექტორში. 90 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული უმოქმედო სესხების მაჩვენებელი გაუმჯობესდა და 2017 წლის ბოლოს დაფიქსირებული 3.2%-დან 2.7%-მდე შემცირდა.

სხვა მაჩვენებლებში ცვლილებები უმნიშვნელოა. ბანკის დეპოზიტარებისა და დაქირავებულ პირთა რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაიზარდა და გახდა 14,520 (2017: 13,954) და 225 (2017: 194) შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს სრულად აქვს შესრულებული სებ-ის მოთხოვნები. კერძოდ:

- პირველადი კაპიტალი - 81,014 ათასი ლარი, მოთხოვნილი 48,873 ათასი ლარის ნაცვლად.
- მთლიანი პირველადი კაპიტალი - 81,014 ათასი ლარი, მოთხოვნილი 60,969 ათასი ლარის ნაცვლად.
- მთლიანი საწესდებო კაპიტალი - 102,824 ათასი ლარი, მოთოვნილი 92,782 ათასი ლარის ნაცვლად.

სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

რისკის მართვა

რისკის მართვის ღონისძიებები იმართება რისკის მართვის გაერთიანებული სისტემის ფარგლებში. რისკის მართვის პროცესში ყველა მმართველობითი რგოლის მონაწილეობა, კომპეტენციათა მკაფიო გამიჯვნა და სხვადასხვა პირს შორის კომუნიკაციის ეფექტურობა ხელს უწყობს ბანკის სტრატეგიული და რისკის მართვის ამოცანების ცხადად ჩამოყალიბებასა და დასაშვები რისკის მაჩვენებლების დაცვასა და რისკის გონივრულად მართვას.

ბანკის მმართველობის სტრუქტურა უზრუნველყოფს ზედამხედველობისა და ანგარიშვალდებულების ადეკვატური დონის არსებობასა და მოვალეობათა მკაფიო განაწილებას. ზოგადი პასუხისმგებლობა დასახულ ამოცანებთან შესაბამისობასთან აკისრია სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო დირექტორთა საბჭო („საბჭო“) ზედამხედველობას უწევს და ხელმძღვანელობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.

ბანკში მოქმედებს რისკის მართვის შემდეგი მთავარი ორგანოები: სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო, აუდიტის კომიტეტი, ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტი და საკრედიტო კომიტეტები:

- ბანკის აქტივების, ვალდებულებებისა და რისკის მართვის ღონისძიებებზე, პოლიტიკასა და პროცედურებზე ზოგადი პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორთა საბჭოს. იგი განსაზღვრავს ბანკის ძირეულ ფასეულობებს, აწესებს ბანკის სტრატეგიას და აკონტროლებს მის განხორციელებას რისკის მართვისა და შიდა კონტროლის ძლიერი და ეფექტური სისტემების მექანიზმების საშუალებით. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დირექტორთა საბჭოს რისკის მართვასთან დაკავშირებული ცალკეული ფუნქციები დელეგირებული აქვს ბანკის შიგნით მოქმედ გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოებზე.
დირექტორთა საბჭოში ხუთი დირექტორი შედის, რომელთაგან თითოეული აღმასრულებელი დირექტორია. დირექტორთა საბჭოს წევრები შეირჩევიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. თითოეულ წევრს საბჭოში მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია აკისრია.

- აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობს და აკონტროლებს შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემებს ფინანსური ანგარიშგების პროცესის თვალსაზრისით. ის პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის ძირეული პოლიტიკების განხორციელებაზე და ხელს უწყობს შიდა და გარე აუდიტორებს მათს საქმიანობაში.
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი („ავკო“) უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი მმართველობითი ინფორმაციის სისტემების ფუნქციონირებას და ზედამხედველობს ბანკში ფინანსური რისკის მართვის პროცესს. ავკოს ერთ-ერთი მიზანია ლიკვიდობის უზრუნველყოფა საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის სპრედის მართვის პროცესში. მხედველობაში მიიღება, აგრეთვე, ინვესტიციები და საოპერაციო რისკი. ავკოს სხდომა სულ მცირე თვეში ერთხელ ტარდება და მასზე ხდება ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ყოველთვიური ანგარიშის შემოწმება. დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ავკო დროდადრო ამოწმებს მოქმედ პოლიტიკებს და ფინანსური რისკის მართვის პროცესში დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს.
- ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი წარმართავს რისკის მართვის ღონისძიებებს და აკონტროლებს რისკის მნიშვნელოვან ტენდენციებს. ამ პროცესის მიზანია რისკის პროფილის შენარჩუნება დასაშვები რისკების ფარგლებში. მმართველი საბჭოს საოპერაციო რისკის კომიტეტი იღებს საოპერაციო რისკის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და კორპორაციული მართვის პროცესების რეგულარულ აუდიტზე, საოპერაციო და სხვა რისკების დონის შემცირების, ბანკის შიდა კონტროლის სისტემების აუდიტირებისა და დეპარტამენტებისა და განყოფილებების მხრივ გადაცდომებისა თუ შეცდომების აღმოჩენის მიზნით. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ყველა შეფასების შედეგებს განიხილავს ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად და დასკვნებსა და რეკომენდაციებს აწვდის ბანკის აუდიტის კომიტეტს. იგი ბანკის მმართველი საბჭოსგან დამოუკიდებელია. დეპარტამენტის უფროსს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია ბანკის აუდიტის კომიტეტის წინაშე.
- ხაზინის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვასა და მის მთლიან ფინანსურ სტრუქტურაზე. სწორედ მას ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა ბანკის კუთვნილი სახსრებისა და ლიკვიდობის რისკის მართვაზე.
- ბანკში მოქმედებს სამი საკრედიტო კომიტეტი (ერთობლივად „საკრედიტო კომიტეტები“), რომელთაგან თითოეული ზედამხედველობს და მართავს საკრედიტო რისკებს საცალო, მცირე/საშუალო ბიზნესის („მსბ“) და კორპორაციულ სესხებთან მიმართებით. ეს სამი კომიტეტია: მსხვილი კრედიტების კომიტეტი, მცირე/საშუალო კრედიტების კომიტეტი და საცალო კრედიტების კომიტეტი. თითოეულ კომიტეტში შედის სულ მცირე ერთი დირექტორი და საკრედიტო რისკების დეპარტამენტის უფროსი ან დირექტორი - რისკების ზედამხედველი. მოცემული ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელი ბანკის დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან/და შესაბამისი კომიტეტის მიერ.

ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები შემუშავებულია ბანკის დონეზე, უმაღლესი ხელმძღვანელობის დახმარებით და განმარტავს, თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების სისტემატურად გამოვლენა, შეფასება, რაოდენობრივად გამოსახვა, მართვა და კონტროლი.

ბანკის ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი (სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკების ჩათვლით) და საოპერაციო რისკი. ქვემოთ მოცემულია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკებისა და პროცედურების აღწერა აღნიშნულ რისკებთან მიმართებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის ეფექტურად მართვის მიზნით ბანკმა რამდენიმე კონკრეტული ზომა მიიღო, როგორც ორგანიზაციის სტრუქტურის, აგრეთვე ბიზნეს-პროცესის მართვის თვალსაზრისით, რაც განმარტებულია რისკის მართვის პოლიტიკასა და ცალკეული დეპარტამენტების საქმიანობის გზამკვლევებში. ბანკში ყველა საკრედიტო პროდუქტი აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ბანკში მოქმედებს საკრედიტო რისკის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დროულად გამოვლენასა და მართვაზე. დეპარტამენტის ფუნქციები აგრეთვე, მოიცავს მთლიანად ბანკის რისკის პოლიტიკის განსაზღვრას, მისი შესრულების უზრუნველყოფას, სესხის პორტფელის ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, აგრეთვე, ბანკის რისკის შეზღუდვის ნორმებისა და სექტორული ლიმიტების მონიტორინგს.

ბანკის პოლიტიკის მიხედვით, სისტემატურად სრულდება შემდეგი პროცედურები:

პორტფელი იყოფა სეგმენტებად. თითოეულ სეგმენტში დგინდება მსესხებლის საშუალო დეფოლტის ალბათობა. თითოეული სეგმენტის 99%-იანი სანდოობით შესაძლოო დანაკარგების განსაზღვრის მიზნით, ხდება მსესხებლის დეფოლტის კორელაცია სეგმენტებში. ეს უკანასკნელი დგინდება სავარაუდო დანაკარგების განაწილების ფუნქციით, ვაზიჩეკის პორტფელის განაწილების მოდელის საფუძველზე, რომელშიც ერთი სისტემატური ფაქტორია გათვალისწინებული. პორტფელის სეგმენტებად დაყოფის პრინციპად აღებულია სეგმენტში მსესხებლის დეფოლტის მაქსიმალური ჰომოგენურობა.

საკრედიტო მიმართულება იყოფა კორპორაციულ, მსბ და საცალო ბიზნესების დეპარტამენტებად. დაყოფის კრიტერიუმებად აღებულია საკრედიტო ლიმიტის მოცულობა, კლიენტის სიდიდე და შემოსავლის წყარო. კლიენტების სეგმენტირების პროცესს წარმართავენ სპეციალური თანამშრომლები, რომელთა მიზანია სეგმენტის მოთხოვნებსა და კლიენტის პროფილს შორის მაქსიმალური შესაბამისობის დაცვა. კორპორაციულ სექტორში გაყიდვებისა და ანალიზის ფუნქციები ერთმანეთისგან განცალკევებულია.

პოტენციური კლიენტების საკრედიტო ლიმიტები მტკიცდება მხოლოდ მათი გადახდისუუნარობის საფუძველზე.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად, სესხზე ყველა განაცხადს განიხილავს საკრედიტო რისკის განყოფილება, რომელიც შემდეგ რეკომენდაციას წარუდგენს საკრედიტო კომიტეტს.

ფინანსური რისკები

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკაში გათვალისწინებულია რისკის პროფილე, ოპერაციების მასშტაბი და ბანკის განვითარების გეგმები. ფინანსური რისკების (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდობის, ა.შ.) პოლიტიკების მიხედვით ფინანსური რისკის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოა ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი. აღნიშნული პოლიტიკის მთავარი ამოცანებია სხვადასხვა საბაზრო პირობებში წარმოშობილი დანაკარგების შემცირება და ლიკვიდობის უსაფრთხო დონეზე შესანარჩუნებლად საკმარისი სახსრების უზრუნველყოფა. რისკის მართვის ერთერთი მთავარი მექანიზმია ფინანსური კონტრაგენტის მიერ დაწესებული ლიმიტები - ინსტიტუტები, ქვეყნები, სავალუტო პოზიცია და ღირებულება რისკქვეშ (VAR), ვალუტის გადაფასება, ლიკვიდობისა და პროცენტული დეფიციტი, რაც განსაზღვრავს ბანკისათვის მისაღები რისკის დონეს. აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტს ყოველთვიურად მიეწოდება ანგარიშები დადგენილი ლიმიტების გამოყენების თაობაზე. მათი დარღვევის შემთხვევაში ძალაში ამოქმედდება რისკის შემცირების ღონისძიებები.

საბაზრო რისკი იმართება ბანკის შესაბამისი პოლიტიკებით, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებს. საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკები დამფუძნებელი ბანკისა და მარეგულირებელი ორგანოს პოლიტიკებისა და მოთხოვნების შესაბამისად დგება.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკის ადრეული ნიშნების გამოვლენისას რისკის მართვაში პირველ რიგში ხაზინა ერთვება, ხოლო ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი რისკების მონიტორინგსა და ლიმიტების კონტროლზეა პასუხისმგებელი. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ყოველთვიურად წარადგენს ანგარიშს, რომელშიც სავალუტო პოზიციები და ლიმიტებია მოცემული. მათი დარღვევის შემთხვევაში, კომიტეტი განიხილავს და მხედველობაში იღებს რისკის შემცირების სხვადასხვაგვარ მიდგომებს.

სავალუტო რისკის მართვის მიზნით განისაზღვრება შემდეგი ლიმიტები: თითოეულ ვალუტაში ლიმიტები დგინდება ღია სავალუტო პოზიციაზე; მაქსიმალური სავალუტო დანაკარგის ლიმიტი თვეში (სტოპ-ლოსი), და ლიმიტი რისკქვეშ ღირებულებაზე (VAR).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი საპროცენტო განაკვეთს გეპ-ანალიზის მეშვეობით აფასებს. გარდა ამისა, გეპ-ანალიზითვე დგინდება ლიმიტი დაგეგმილ წმინდა საპროცენტო შემოსავალთან მიმართებითაც. ეს ინფორმაცია ყოველთვიურად გადაეცემა ალკოს, რომელიც ლიმიტებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ ადგენს.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკის მართვა (სრმ) ბანკის ყოველდღიური ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი რეგულარულად აკონტროლებს საოპერაციო რისკებს მათი თავიდან არიდების მიზნით ან იმისათვის, რათა მიიღოს ზომები, რეკომენდაციების შესაბამისად, მათი ჰეჯირების ან რისკის დონის შემცირების მიზნით. პროდუქტები და პოლიტიკები რეგულარულად ფასდება და ანალიზდება რისკზე, რის შედეგადაც ახლდება და კორექტირდება არსებული რეკომენდაციები, ხოლო ზოგჯერ ინერგება ახალი რეკომენდაციები და პოლიტიკები.

საოპერაციო რისკების მართვის მიზნით, წელიწადში ერთხელ დგინდება ბანკისათვის მისაღები წლიური დონეები. ეს ხდება წმინდა დანაკარგების სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად. გარდა ამისა, ყოველ წელს თითოეული დეპარტამენტისათვის მზადდება საოპერაციო რისკის მატრიცა. პროგრამული უზრუნველყოფის მატრიცას ინფორმაციის დაცვის კომიტეტი აფასებს და ამტკიცებს. დამატებით, რისკის

კონტროლის ეფექტურობისა და პოტენციური პრობლემების დასადგენად გამოიყენება შემდეგი საშუალებები: საოპერაციო დანაკარგის მონაცემთა ბაზები, ახალი პროდუქტების/პროცესების რისკის შეფასება, რისკის კონტროლის თვით-შეფასება, ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ტესტირება და ა.შ.

ძირითადი რისკები და არასარწმუნოებები

რისკის მართვა ბანკის სტრატეგიის ხერხემალია. მის ეფექტურად განსახორციელებლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რისკებისა და არასარწმუნოებების ადრეულ გამოვლენას. ბანკის მაჩვენებლებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შემდეგმა ძირითადმა რისკებმა:

1 ბანკზე მოქმედი რეგულირების რისკი

ფინანსური ინსტიტუტები მკაცრად რეგულირდება და, ამდენად, მათზე რეგულირების რისკი მოქმედებს. დაფინანსებისა და სხვა გარიგებების პირობები და რეგულაციები კაპიტალის ადეკვატურობისა და სხვა გარკვეული კოეფიციენტების დაკმაყოფილებას მოითხოვს. ადგილობრივმა მარეგულირებელმა, სებმა შემოიტანა კაპიტალის ადეკვატურობის სქემა, რომლითაც მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნა პირველი და მეორე პილარების ბუფერებზე იყოფა. ბუფერები თანდათანობით, ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში შემოდის. გარდა ამისა, სებ-ს შეუძლია გონიერების მოთხოვნები მთელ სექტორს ან მის ცალკეულ ინსტიტუტებს გაუზარდოს. ამდენად, ბანკის რენტაბელობა და ფინანსური მაჩვენებლები რეგულირების დამატებითმა ტვირთმა, მათ შორის, კაპიტალის მაღალმა მოთხოვნამ, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს.

რისკის შემცირება
ფინანსური რისკების სამართავად ბანკს გააჩნია ფინანსური რისკებისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი, რომელიც პირდაპირ დირექტორთა საბჭოს წინაშეა ანგარიშვალდებული და ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება რეგულირების მოთხოვნების დაკმაყოფილების კუთხით. სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების შესრულება ყოველთვიურ მონიტორინგს ექვემდებარება, რაზედაც ბანკი ამზადებს ანგარიშს სებ-ის ბუღალტრული აღრიცხვის წესების შესაბამისად.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ბანკის კაპიტალიზაცია შეადგენდა 15.87% და 15.87%-ს პირველად და მთლიან პირველად კაპიტალზე სებ-ის მიერ მოთხოვნილი 9.57% და 11.94%-ის საპირისპიროდ. ეს მონაცემები შესაბამის მარეგულირებელ მინიმუმებს ბევრად აღემატება.

გარდა ამისა, ბანკი რეგულარულად ასაჯაროვებს მესამე პილარის განმარტების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც სებ-ის მმართველობის №92/04 ბრძანებით („მესამე პილარის განმარტების მოთხოვნები კომერციული ბანკებისათვის“) განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მზადდება.

სებ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების შესრულება ყოველთვიურად კონტროლდება სებ-ის ბუღალტრული აღრიცხვის წესების შესაბამისად მომზადებული დამოუკიდებელი ანგარიშების მეშვეობით.

2 ბანკს ეკისრება კონცენტრაციის რისკი და საკრედიტო რისკი

ბანკს მსხვილი ინდივიდუალური სესხები აქვს გაცემული მსესხებლებზე, რომელთა პოტენციურ დეფოლტს შეუძლია საკრედიტო დანაკარგების და მაღალი გაუფასურების ხარჯის გაზრდა გამოიწვიოს. ათი უმსხვილესი მსესხებლისგან მომდინარე რისკი 14%-ს შეადგენს. სეგე, არსებობს გარკვეული ეკონომიკური სექტორების ციკლური ხასიათიდან მომდინარე ზეგავლენა. ამის გამო, ერთი მსხვილი მსესხებლის ან მცირე მსესხებლების დიდი კონცენტრაციის დეფოლტს შეუძლია მაღალი საკრედიტო რისკისა და გაუფასურების ხარჯების გამოწვევა. 20 უმსხვილესი მსესხებლისგან მომდინარე რისკი სესხების მთლიანი პორტფელის 38%-ს ეკისრება.

რისკის შემცირება
ბანკის კლიენტების საკრედიტო ხარისხის შესაძლო ცვლილებებისა და პოტენციური ზარალის ადრეული იდენტიფიკაცია და საკრედიტო რისკის შესამცირებლად აღმკვეთი ზომების დაგეგმვის მიზნით, საკრედიტო კომიტეტები მუდმივად ატარებენ კრედიტუნარიანობის ხარისხის შემოწმებას.

ბანკი საკრედიტო რისკებს აგრეთვე მართავს დარგობრივი ლიმიტების დაწესებით, მსესხებლის/მსესხებლების ჯგუფის რისკის პოზიციის განსაზღვრით, ვადაგადაცილებული სესხების მუდმივი მონიტორინგითა და იმგვარი რეზერვების შექმნით, რომლებიც ბანკს საშუალებას მისცემს, პოტენციურ ზარალს გაუმკლავდეს. ბანკს აგრეთვე გააჩნია ბიზნეს-სესხების საკრედიტო რეიტინგის სისტემა, რაც კონტრაგენტის დეფოლტის დონის წინასწარ დადგენას უზრუნველყოფს.

3 ლიკვიდობის რისკი ბანკის ოპერაციების თანმდევი ფაქტორია

ლიკვიდობის რისკი საზოგადოდ საბანკო ოპერაციების მახასიათებელია და მის დონეზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. მათ შორისაა დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტი დამოკიდებულება ან მასთან წვდომის დახშობა.

რისკის შემცირება
ლიკვიდობის რისკის შეფასების მიზნით, ფინანსური რისკისა და პორტფელის ანალიზის დეპარტამენტი ზომავს და აანალიზებს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან დეფიციტებზე შიდა პოლიტიკით დაწესებული ლიმიტების გამოყენების დონეს და, მათი დარღვევის შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობებს ავკოს, რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტილებას იღებს საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველყოფაზე. ლიმიტები განისაზღვრება პერიოდების მიხედვით, ლიკვიდობის ჯამურ დეფიციტების მთლიან აქტივებთან ფარდობასთან მიმართებით. ლიკვიდობის კრიზისის სამართავად შემუშავებულია სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია კონკრეტული ქმედებები სხვადასხვა კრიზისის შემთხვევაში.

2018 წლის განმავლობაში ბანკს დაკმაყოფილებული ჰქონდა დასაშვები რისკის ყველა ლიმიტი, აგრეთვე, სებ-ის მიერ განსაზღვრული მინიმალური ლიკვიდობის მოთხოვნა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზოგადი ლიკვიდობის კოეფიციენტი იყო 151%.

ადამიანური რესურსების მართვა

ბანკის მენეჯმენტი მაღალი ეთიკური სტანდარტებით, ფასეულობებითა და ადამიანის უფლებებით ხელმძღვანელობს და თავის თანამშრომლებს ხელს უწყობს ერთიმეორისა და კლიენტების, პარტნიორებისა და საზოგადოების მიმართ სანდო და პასუხისმგებლიანი მიდგომით მოქმედებაში. ბანკში მოქმედებს რამდენიმე შიდა პოლიტიკა და პროცედურა, რომელთა აღსრულება ყურადღებით კონტროლდება.

ეთიკისა და ქცევის კოდექსები - არეგულირებს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს და აწესებს ურთიერთობათა ნორმებსა და პრინციპებს. ბანკი თავის დაქირავებულ პირთაგან მუდმივად მოელის პატიოსან და ობიექტურ ქცევას და ყველა კანონის პრინციპისა და სულისკვეთების დაცვას. ყველა თანამშრომელს ევალება სამუშაო გარემოში დევნის, დისკრიმინაციის (გენდერის, ასაკის, ფიზიკური უნარშეზღუდულობის თუ რელიგიური შეხედულებების) თუ მიუღებელი საქციელის აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

ბანკის ეთიკის კოდექსისა და ქცევის კოდექსის დაცვას ადამიანური რესურსების დეპარტამენტი აკონტროლებს. პერიოდულ აუდიტს, ასევე, ატარებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. მისი მიზანია აღნიშნული პოლიტიკების დარღვევის ან მათგან გადაცდომის შემთხვევების გამოვლენა.

პერსონალის შრომის ორგანიზების სისტემა ეფუძნება საქართველოს შრომით კანონმდებლობას, კანონს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა მარეგულირებელ აქტებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად სფეროებს:

- საორგანიზაციო სტრუქტურის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების დაგეგმვა;
- თანამშრომელთა შერჩევა და თანამდებობებზე განაწილება;
- პერსონალის ტრენინგი და განვითარება;
- უფლებამოსილებათა მართვა და თანამშრომელთა მოტივაცია, სამუშაოს ანაზღაურება;
- კორპორაციული კულტურის ფორმირება და თანამშრომელთა სოციალური მხარდაჭერა.

წახალისების ახალი გამჭვირვალე და მოქნილი სისტემა ითვალისწინებს კვარტლური წამახალისებელი პრემიების გაცემას ბანკის ერთიანი ამოცანების დაძლევის პროცესში პერსონალის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. პრემია დამოკიდებულია წმინდა მოგების თვალსაზრისით გეგმების შესრულებაზე. 2018 წლის განმავლობაში პრემიები გაიცა ყველა კვარტალში, რაც ბანკის ფინანსურ შედეგებს შეესაბამებოდა.

ბანკის შიდა პოლიტიკის შესაბამისად, თანამშრომლებზე ფინანსური დახმარება გაიცემა ფეხმძიმობის, მშობიარობისა და ბავშვზე ზრუნვისათვის.

2018 წელს ბანკის სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის მონაწილეობით, ბანკის საცალო ქსელის ოპერატორები და საოპერაციო ნაღდი ფულის სერვისების თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები მომსახურების ხარისხის ამაღლებასა და გაყიდვების უნარების განვითარებაში.

ბანკის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საგანმანათლებლო ღონისძიებაში, ფორუმსა და კონფერენციაში, რომლებიც სხვადასხვა კომპანიის, მათ შორის, სებ-ისა და დამფუძნებელი ბანკის ორგანიზებით მოეწყო.

კორპორაციული პასუხისმგებლობა

ბანკს ჯერჯერობით მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ღონისძიება არ ჩაუტარებია. თუმცა, წინა წლებში მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სოციალურ პროექტში, მათ შორის, 2015 წლის თბილისის წყალდიდობით დაზარალებულთა დახმარების პროექტში.

2018 წლის განმავლობაში ბანკმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი პირების მიერ დაორგანიზებულ ერთჯერად ღონისძიებებში:

- ასოციაცია „კათარზისი“ - არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს ეხმარება - აპრილსა და დეკემბერში, რამდენიმე დღის განმავლობაში უფასო სადილის დაფინანსება (თბილისი და ზესტაფონი);
- ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონის ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემის დაფინანსება.

ხელმძღვანელობის სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული დღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშებს და ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვმოქმედებდით ბანკისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე, აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას მმართველობით ანგარიშში, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში იმის დადგენას, არის თუ არა სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად არსებითად მცდარი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ბანკის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ბანკის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ბანკის მართვასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან, ზედამხედველობა გაუწიონ ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე, შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ იდენტიფიცირებას ვუკეთებთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარ განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების შესაფერისობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის უნარი, უწყვეტად გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ბანკი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებაში, შესაბამისი ტრანზაქციებსა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის გასარკვევად, თუ რამდენად არის მმართველობის ანგარიში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

ჩვენ პროცედურები შევარჩიეთ და შევასრულეთ ჩვენი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვის, ანალიზისა და დოკუმენტაციის გაცნობის, ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარების გზით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადაანგარიშებისა და შედარების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისია.

ჯონ რობინსონი
შპს დელოიტი და ტუშის სახელით

თბილისი, საქართველო
2019 წლის 1 მარტი

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	24,876	20,335
სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში	7	26,436	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	1,732	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	401,091	326,416
ინვესტიციები კაპიტალში	10	54	54
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	11	16,857	16,823
ძირითადი საშუალებები	12	13,247	12,041
არამატერიალური აქტივები	13	3,751	3,745
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		624	-
სხვა აქტივები	14	1,797	1,647
სულ აქტივები		490,465	427,661
ვალდებულებები:			
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	15	274,260	263,034
კლიენტების დეპოზიტები	16	86,477	61,683
სხვა ვალდებულებები*	18	2,122	2,419
მოგების გადასახადის ვალდებულება		-	1,313
ანარიცხები	17	273	179
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	26	2,529	1,750
სუბორდინირებული სესხი	19	26,860	26,013
სულ ვალდებულებები		392,521	356,391
კაპიტალი:			
სააქციო კაპიტალი	20	62,000	48,000
გადაფასების რეზერვი		1,614	406
გაუნაწილებელი მოგება		34,330	22,864
სულ კაპიტალი		97,944	71,270
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		490,465	427,661

* ბანკმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ასახვის ფორმა შეცვალა 2018 წლის 1 იანვარს ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების გატარების შედეგად. დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშნაში №3.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	21	36,249	32,227
საპროცენტო ხარჯი	21	(12,077)	(8,344)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დანაკარგების ხარჯამდე		24,172	23,883
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების ხარჯის აღდგენა	22	857	(1,300)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		25,029	22,583
საკომისიო შემოსავლები	23	1,618	4,356
საკომისიო ხარჯები	23	(861)	(2,510)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	24	1,103	1,105
გაუფასურების დანაკარგები საპროცენტო სარგებლის არმქონე აქტივებზე	22	(42)	-
ანარიცხების აღდგენა/(ანარიცხები)	17	75	(33)
სხვა შემოსავალი		196	26
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		2,089	2,944
საოპერაციო შემოსავალი		27,118	25,527
საოპერაციო ხარჯები	25	(12,703)	(11,914)
მოგება მოგების გადასახადამდე		14,415	13,613
მოგების გადასახადის ხარჯი	26	(1,859)	(1,756)
პერიოდის მოგება		12,556	11,857
სხვა სრული შემოსავალი:			
შემდგომში მოგება-ზარალში არარეკლასიფიცირებული ერთეულები:			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	12	1,438	-
ძირითადი საშუალებების გადაფასებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი		(216)	-
სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე		1,222	-
სულ სრული შემოსავალი		13,778	11,857

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

კაპიტალში ცვლილებების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017		48,000	410	11,003	59,413
პერიოდის მოგება		-	-	11,857	11,857
გადაფასების რეზერვის გამოთავისუფლება გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო		-	(4)	4	-
31 დეკემბერი, 2017		48,000	406	22,864	71,270
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას, გადასახადის გარეშე		-	-	(1,104)	(1,104)
1 იანვარი, 2018 (გადაფასებული)		48,000	406	21,760	70,166
სააქციო კაპიტალის გაზრდა	20	14,000	-	-	14,000
პერიოდის მოგება		-	-	12,556	12,556
გადაფასების რეზერვის გამოთავისუფლება გადაფასებული აქტივების ცვეთის გამო		-	(14)	14	-
სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	1,222	-	1,222
31 დეკემბერი, 2018		62,000	1,614	34,330	97,944

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

დახურული სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება მოგების გადასახადამდე		14,415	13,613
არაფულადი ერთეულების კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მატარებელ აქტივებზე	22	(857)	1,300
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის გარეშე არსებულ აქტივებზე	22	42	-
რეზერვი სხვა ოპერაციებზე	17	(75)	33
ცვეთა და ამორტიზაცია	25	1,113	976
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი/(მოგება)	24	(477)	87
ცვლილება დარიცხულ პროცენტში, წმინდა		4,958	2,893
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		19,119	18,902
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება			
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
ფულის სავალდებულო რეზერვი სებ-ში		18,183	(7,138)
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(108)	(772)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(76,943)	(54,197)
სხვა აქტივები		(1,531)	(109)
საოპერაციო ვალდებულებების (კლება)/ზრდა:			
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		9,684	53,808
კლიენტების დეპოზიტები		25,357	(18,470)
სხვა ვალდებულებები		(475)	192
ოპერაციებში გამოყენებული ნაღდი ფული		(6,714)	(7,784)
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,725)	(825)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(8,439)	(8,609)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(467)	(671)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		10	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(350)	(838)
საეალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების შესყიდვა		12	(190)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(795)	(1,699)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება		14,000	-
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან		14,000	-
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(225)	14
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში		4,541	(10,294)
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისი		20,335	30,629
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს		24,876	20,335

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 6,607 ათასი და 35,638 ათასი ლარი. 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 5,447 ათასი და 31,965 ათასი ლარი.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

თამარ გოდერძიშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

გულნარა მარშანიშვილი
მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 1 მარტი
თბილისი, საქართველო

16-87 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

1. ორგანიზაცია

ხალიკ ბანკი საქართველო („ბანკი") არის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში დარეგისტრირდა 2008 წლის 29 იანვარს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ"). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის №0110246 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, ფასიანი ქაღალდებითა და უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №74.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შესაბამისად გააჩნდა რვა და შვიდი ფილიალი საქართველოში.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებულ აქციებს ფლობდა შემდეგი აქციონერი:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
პირველი დონის აქციონერი:		
სს ხალიკ ბანკი ყაზახეთი	100%	100%
სულ	100%	100%

სს „ხალიკ ბანკი ყაზახეთის" ძირითადი აქციონერები არიან სს ჰოლდინგი ალმექსი და სს აკუმულირებული საპენსიო ფონდი. სს ხალიკ ბანკი ყაზახეთის საბოლოო მფლობელები არიან ტიმურ კულიბაიევი და დინარა კულიბაიევა.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2019 წლის 1 მარტს დირექტორთა საბჭოს მიერ.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის ანგარიში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და გააგრძელებს მუშაობას ახლო მომავალში.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ ზოგიერთი ქონებისა, რომელიც ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აისახება გადაფასებული ღირებულებით, როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ.

ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონელსა და მომსახურებაში გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომლესაც გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის არსებულ თანმიმდევრულ ტრანზაქციაში პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისთვის, იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას, ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულება გაზომვის ან/და განმარტების მიზნით აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულების საზომი იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად სამართლიანი ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე დადგენილი ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული დადგენილი ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ქართული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) მიღების ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში №30.

ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებში შეტანილი ელემენტები იზომება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური ვალუტა ბანკის აქციონერებისათვის არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ღირებულება დამრგვალებულია ათასობით ლარამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვაგვარად არის მითითებული.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება წმინდა ღირებულებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, ურთიერთგაქვითოს ზემოხსენებული თანხები და განზრახული აქვს წმინდა ღირებულებით აღრიცხვა ან სურს ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში არ გაიქვითება, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და შესაბამისად განმარტებული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკაში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის ბანკის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც გამოყენებულია ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" და ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან". ძირითად საბუღალტრო პოლიტიკებში შეტანილი ცვლილებები აღწერილია შენიშვნაში №3.

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები

ბანკმა ფასს 9 და ფასს 15-ის გამოყენება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრიდან. გარდა ამისა, ბანკმა ნაადრევად დაიწყო 2017 წლის ოქტომბერში გამოშვებული „წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით" (შესწორება ფასს 9).

ფასს 9 *"ფინანსური ინსტრუმენტები".*

ბანკმა შეიმუშავა ბასს-ის მიერ 2014 წლის ივლისში გამოცემული ფასს 9, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებამ გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების ცვლილებები და ფინანსურ ანგარიშგებაში მანამდე აღიარებული თანხების კორექტირების აუცილებლობა.

ფასს 9-ის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ბანკმა გადაწყვიტა, არ გადაეფასებინა შესადარისი რიცხვები. ფასს 9-ზე გადასვლის დღისათვის დაფიქსირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება აისახა მიმდინარე პერიოდის საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და სხვა რეზერვებში. ამდენად, განმარტების მიზნებისათვის, ფასს 7-ით

გათვალისწინებული განმარტებების შესაბამისი შესწორება გამოყენებული იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდზე, გარდა ქვემოთ აღწერილი შემთხვევებისა.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს 9-ზე გადასვლის გამო ბანკმა ცვლილებები შეიტანა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისა და განმარტებების საპრეზენტაციო ფორმაში. ეს ცვლილებები შეეხო მხოლოდ იმ რეზერვებს, რომლებიც 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავებით, სხვა ვალდებულებებისგან გამოცალკევდა.

ფასს 9-ის მიღებამ გამოიწვია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების, კლასიფიკაციისა და შეფასების, აგრეთვე ფინანსური აქტივების გაუფასურების პოლიტიკების ცვლილება. ფასს 9-ის ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების მარეგულირებელ სხვა სტანდარტებში, მაგალითად, ფასს 7: „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება“.

ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების ეფექტი ძირითადად ვრცელდება შემდეგზე:

- გაუფასურების ახალი მოდელის გამო, ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების დანაკარგების ზრდა/კლება
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებები.

დამატებითი ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკების თაობაზე იხილეთ შენიშვნაში №4.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის ნაშთების შედარება ბასს 39-სა ფასს 9-ს შორის

ბანკში ჩატარდა ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელებისა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების დეტალური ანალიზი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ერთმანეთს არის შედარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ბასს 39-ის მიხედვით შეფასების წინანდელი კატეგორიისა და 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ზე გადასვლისას მიღებული შეფასების ახალი კატეგორიის მიხედვით:

	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	20,335	20,332
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	44,955	44,953
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	1,645	1,644
კლიენტებზე გაცემული სესხები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	326,416	325,301
ინვესტიციები კაპიტალში		რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში - საკუთარი კაპიტალი	54	54
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სავაჭროდ განკუთვნილი დაფარვის ვადამდე ფლობილი	ამორტიზებული ღირებულება	16,823	16,814
სხვა ფინანსური აქტივები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	630	630
სულ ფინანსური აქტივები			410,858	409,728
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	263,034	263,034
კლიენტების დეპოზიტები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	61,683	61,683
სხვა ფინანსური ვალდებულებები	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	730	730
სუბორდინირებული სესხი	ამორტიზებული ღირებულება	ამორტიზებული ღირებულება	26,013	26,013
სულ ფინანსური ვალდებულებები			351,460	351,460
წმინდა ფინანსური აქტივები			59,398	58,268

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეფასების თავდაპირველი კატეგორიები ბასს 39-ის მიხედვით და შეფასების ახალი კატეგორიები ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეკლასიფიკაცია	გადაფასება	საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ფინანსური აქტივები				
სესხებიდან და მოთხოვნებიდან	393,981	(393,981)	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	20,335	-	(3)	20,332
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	-	(2)	44,953
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,645	-	(1)	1,644
კლიენტებზე გაცემული სესხები	326,416	-	(1,115)	325,301
სხვა ფინანსური აქტივები	630	-	-	630
ამორტიზებულ ღირებულებაში	-	393,981	(1,121)	392,860
გასაყიდად განკუთვნილიდან	54	(54)	-	-
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	54	-	54
სხვა სრულ შემოსავალში რეალურ ღირებულებაში - საკუთარ კაპიტალში	-	54	-	54
დაფარვის ვადამდე ფლობილიდან	16,823	(16,823)	-	-
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	-	16,823	(9)	16,814
ამორტიზებულ ღირებულებაში	-	16,823	(9)	16,814
ფინანსური ვალდებულებები				
ბასს 39 საბალანსო ღირებულებიდან	351,461	(351,461)	-	-
გადასახდელები ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ	263,034	-	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	61,684	-	-	61,684
სხვა ფინანსური ვალდებულებები	730	-	-	730
სუბორდინირებული სესხი	26,013	-	-	26,013
ფასს 9 ამორტიზებულ ღირებულებაში	-	351,461	-	351,461

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი, გადასახადის გარეშე, გაუფასურების დანაკარგების ანარიცხებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე. ეფექტი დაკავშირებულია გაუნაწილებელ მოგებასთან. საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებზე ეფექტი არ ფიქსირდება.

გაუნაწილებელი მოგება	
საბოლოო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი)	22,864
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ფასს 9-ის მიხედვით	(1,130)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება გარანტიებსა და ნაკისრ სესხებზე ფასს 9-ის მიხედვით	(169)
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	195
გადაფასებული საწყისი ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი)	21,760

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის „ბასს 18 – შემოსავლები“, „ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები“ და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება.

ეს ხუთი ეტაპია:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, პირი შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის საკონტრაქტო ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო კონსტრუქციული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა სპეციფიური სცენარების დამუშავების თემებს. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

2016 წლის აპრილში სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა „ფასს 15-ის განმარტება", რომელიც დაკავშირებულია საკონტრაქტო ვალდებულებათა შესრულების დადგენის, ძირითადი და აგენტის ანაზღაურების განსაზღვრის, აგრეთვე ლიცენზირების გამოყენების პროცედურებთან.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და ბანკის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 16 - იჯარა;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- შესწორება ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი;
- შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება
- შესწორება ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება;

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების მიღება არსებით ზეგავლენას იქონიებს მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ქვემოთ აღწერილი ფასს 16-ისა.

შესწორება ფასს 16 - იჯარა

ბანკი ვალდებულია, ფასს 16 „იჯარები" 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენოს. ბანკმა შეაფასა ის სავარაუდო ეფექტი, რასაც ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე იქონიებს. ქვემოთ აღწერილია აღნიშნული შეფასების შედეგები. 2019 წლის 1 იანვარს სტანდარტის ამოქმედების რეალური ეფექტი შეიძლება შეიცვალოს, რადგან:

- ბანკს არ დაუსრულებია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების კონტროლის ტესტირება და შეფასება; და
- თავდაპირველი გამოყენების თარიღის მომცველი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე ბუღალტრული აღრიცხვის ახალი პოლიტიკები შეიცვლება.

ფასს 16-ში მოცემულია მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს საიჯარო გარიგებებისა და იჯარის ბუღალტრული დამუშავების პროცედურების დადგენას მეიჯარეებსა და მოიჯარეებში. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 16 ჩაანაცვლებს იჯარის დამუშავების არსებულ ინსტრუქციებს, მათ შორის „ბასს 17 - იჯარა" და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16 იჯარისა და მომსახურების კონტრაქტებს ერთმანეთისგან განასხვავებს იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა იდენტიფიცირებულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო (არა-საბალანსო) იჯარისა და ფინანსური (საბალანსო) იჯარის განსხვავება მოიჯარის შემთხვევაში უქმდება და ჩანაცვლებულია მოდელით, რომლის მიხედვით, მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი და

შესაბამისი ვალდებულება ყველა იჯარაში გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივებისა.

გამოყენების უფლებით ფლობილი აქტივი თავდაპირველად აისახება ღირებულებით, შემდეგში კი ღირებულებისა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების დანაკარგების სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების გადაფასების ყოველი შემთხვევისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება ჯერ არგადახდილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. შემდგომში საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების, აგრეთვე სხვა ფაქტორებს შორის, იჯარის მოდიფიკაციების ეფექტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, იცვლება ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან საოპერაციო იჯარის გადახდები, ბასს 17-ის მიხედვით, წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; ხოლო ფასს 16-ის მოდელის მიხედვით კი, საიჯარო გადახდები დაიყოფა ძირითად თანხად და პროცენტად, რომლებიც, შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება ფულად ნაკადებად ფინანსური და საოპერაციო საქმიანობიდან.

მოიჯარის აღრიცხვისგან განსხვავებით, მეიჯარის მხარის ბუღალტრული აღრიცხვა ფასს 16-ში არსებითად ბასს 17-დან არის გადმოტანილი და მისი მიხედვით, მეიჯარე კვლავაც ვალდებულია, იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად განასხვავოს.

ბანკმა დაასრულა ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური ზეგავლენის საწყისი შეფასება, მაგრამ დეტალური შეფასება ჯერ არ დასრულებულა. თავდაპირველი გამოყენების პერიოდში ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფასს 16-ის რეალური ზეგავლენა დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, ბანკის საიჯარო პორტფელის განვითარებაზე, ბანკის გადაწყვეტილებაზე, გამოიყენებს თუ არა იჯარის განახლების არჩევანს და იმაზე, თუ რა მასშტაბით გადაწყვეტს იგი პრაქტიკული საშუალებებისა და არასავალდებულო აღიარების უფლების გამოყენებას.

მომავალში ბანკი აღიარებს ფილიალებისა და საოფისე ფართის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ ახალ აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისი ხარჯების ბუნება შეიცვლება, რადგან ფასს 16-ით საოპერაციო იჯარის ხარჯის წრფივი ასახვა იცვლება გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებზე - ცვეთის ხარჯითა და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯის შემოტანით.

ბანკი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებდა, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის დროში განსხვავება იყო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მომავალმა მინიმალურმა საიჯარო გადახდებმა ისეთ საოპერაციო იჯარებზე, რომელთა გაუქმება არ იგეგმება, ფასდათმობების გარეშე, 1,924 ათასი ლარი შეადგინა, რასაც ბანკი, სავარაუდოდ, აღიარებს დამატებით საიჯარო ვალდებულებად, 1,732 ათასი ლარის ღირებულებით.

ბანკი ფასს 16-ის თავდაპირველ გამოყენებას გეგმავს 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექციული მიდგომით. ამდენად, ფასს 16-ის გამოყენების კუმულატიური ეფექტი აღიარდება როგორც 2019 წლის 1 იანვარს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, შესადარისი ინფორმაციის გადაფასების გარეშე.

ბანკი გეგმავს, უარი თქვას ახალ ფასს-ზე გადასვლისას იჯარის განსაზღვრების გამოყენებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფასს 16-ს გამოიყენებს 2019 წლის 1 იანვრამდე გაფორმებულ და ბასს 17 და ფაისკ 4-ით იჯარად იდენტიფიცირებულ კონტრაქტებზე.

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ახალი სტანდარტით დგინდება სადაზღვევო კონტრაქტების აღიარების, გაზომვის, წარმოდგენისა და განმარტების პრინციპები. ის ფასს 4-ს - სადაზღვევო კონტრაქტებს ჩაანაცვლებს.

სტანდარტი იძლევა „ზოგად მოდელს", რომელიც მოდიფიცირდება ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებისათვის, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას ითვალისწინებს, რაც „ცვლადი ანაზღაურების მიდგომად" განისაზღვრება. „ზოგადი მოდელი" მარტივდება „პრემიუმის განაწილების მიდგომის" გამოყენებით დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებათა შეფასების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

„ზოგად მოდელში" გამოყენებულია მიმდინარე დაშვებები სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასთან, დროსა და არასარწმუნოებასთან დაკავშირებით. მოდელი მკაფიოდ ზომავს ამ

არასარწმუნოების ღირებულებას; მოდელი ეფუძნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთებსა და პოლისის მფლობელის ოფციონებისა და გარანტიების ზეგავლენას.

სტანდარტის გამოყენება სავარაუდოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს პროცესებსა და სისტემაში და აუცილებელს გახდის ბიზნესის მრავალ ფუნქციას, მათ შორის, ფინანსებს, აქტუარულსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს შორის მეტი კოორდინაციის არსებობას.

ახალი სტანდარტი ძალაში შევა 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენების უფლება დაშვებულია. კომპანიამ ფასს 17 რეტროსპექტიულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია. ასეთ დროს გამოყენებული იქნება რეალური ღირებულების მიდგომა ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მოთხოვნების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღად ითვლება რეალური გამოყენების თარიღი, თუ ის წლიური საანგარიშგებო პერიოდი, რომელშიც კომპანია პირველად გამოიყენებს სტანდარტს და გადასვლის თარიღი არის თავდაპირველი გამოყენების თარიღის უშუალოდ წინმსწრები პერიოდის დასაწყისი.

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები

შესწორებები განმარტავს, რომ ფასს 9, მისი გაუფასურების მოთხოვნების ჩათვლით, ეხება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებულ გრძელვადიან წილებს;. გარდა ამისა, ფასს 9-ის გრძელვადიან წილებზე გამოყენების დროს, პირი მხედველობაში არ იღებს ბასს 28-ით მოთხოვნილ, საბალანსო ღირებულების კორექტირებას (ანუ გრძელვადიანი წილების საბალანსო ღირებულების იმ კორექტირებას, რომელიც წარმოიშვა ბასს 28-ის შესაბამისად ინვესტირების ობიექტის ზარალის განაწილების ან გაუფასურების შეფასების შედეგად).

შესწორება ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. მოცემულია სპეციფიური გარდამავალი დებულებები იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა შესწორებათა თავდაპირველი გამოყენება ფასს 9-ის პირველ გამოყენებას.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ეარაუდობს, რომ ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს სტანდარტების წლიური რედაქტირების 2015-2017 წლების ციკლი

წლიური რედაქტირების ციკლი მოიცავს შესწორებებს ოთხ სტანდარტში.

ბასს 12 - მოგების გადასახადი
შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის მოქმედების შედეგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმის მიხედვით უნდა აღიაროს, თუ თავდაპირველად სად მოხდა გასანაწილებელი მოგების მომტანი ტრანზაქციების აღიარება. აღნიშნული ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმის მიუხედავად, მოქმედებს თუ არა განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებაზე გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი.

ბასს 23 - სესხის აღების ხარჯები
შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ფასს 3 - ბიზნეს-კომბინაციები
ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან უნდა გამოიყენოს ეტაპობრივად მიღწეული ბიზნეს-კომბინაციის მოთხოვნები, მათ შორის, რეალური ღირებულებით ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საწარმოში მანამდე ფლობილი წილები. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებულ აუღიარებელ აქტივებს, ვალდებულებებსა და გუდვილს.

ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა
ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანია მონაწილეობს, მაგრამ არ ფლობს ერთობლივ კონტროლს ისეთ ერთობლივ საქმიანობაზე, რომელიც არის ბიზნესი და ამ კომპანიამ მოიპოვა ერთობლივი კონტროლი ამგვარ ერთობლივ საქმიანობაზე, კომპანია არ არის ვალდებული, ხელახლა შეაფასოს ერთობლივ საქმიანობაში მანამდე ფლობილი წილი.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ნაადრევი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორება ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება

შესწორება განმარტავს, რომ წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულება (ან ანგარიშსწორებით მიღებული მოგება ან ზარალი) გამოიანგარიშება დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) შეფასებით, განახლებული დაშვებების გამოყენებითა და შეთავაზებული ანაზღაურებისა და ანაზღაურების პროგრამის აქტივების შედარებით პროგრამის ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ (ან შეკვეცისა თუ გადახდის შემთხვევაში), მაგრამ აქტივის ზღვრული ოდენობის გაუთვალისწინებლად (ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც განსაზღვრული ანაზღაურების პროგრამა პროფიციტურია). ბასს 19 მკაფიოდ ადგენს, რომ ზღვრული ოდენობის ეფექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროგრამის შესწორების (ან შეკვეცის თუ გადახდის) შედეგად, განისაზღვრება მეორე ეტაპზე და ჩვეულებრივად აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ასევე შეიცვალა პარაგრაფები, რომლებიც უკავშირდება მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასებას. კომპანიებს ახლა ევალებათ მიმდინარე მომსახურების ღირებულებისა და წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) წმინდა პროცენტის შეფასება დარჩენილი საანგარიშო პერიოდისათვის პროგრამის ცვლილების შემდეგ გადაფასებით მიღებული ახალი დაშვებების გათვალისწინებით. წმინდა პროცენტის შემთხვევაში, შესწორება მკაფიოდ ამბობს, რომ პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში წმინდა პროცენტი გამოითვლება ბასს 19.99-ით გადაფასებული წმინდა დადგენილი ანაზღაურების ვალდებულების (აქტივის) გამრავლებით გადაფასებაში გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთზე (და ასევე წმინდა დადგენილ ვალდებულებაზე (აქტივზე) შენატანებისა და ბენეფიტის გადახდების ეფექტის გათვალისწინებით).

შესწორებები გამოიყენება პროსპექტიულად და ვრცელდება მხოლოდ იმ შესწორებულ, შეკვეცილ ან გადახდილ პროგრამებზე, რომლებიც განხორციელდა ბასს 19-ის პირველი გამოყენების წლიური პერიოდის დაწყების შემდეგ.

ბასს 19-ის შესწორებები ვრცელდება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, თუმცა, კომპანიის შეხედულებისამებრ, მათი გამოყენება შეიძლება ნაადრევადაც.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ სტანდარტის გამოყენება მომავალში ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორებები)

აღნიშნული შესწორება ეხება ისეთ ვითარებას, როდესაც ინვესტორსა და მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოს შორის ხდება აქტივების ყიდვა-გაყიდვა ან გადაცემა. კერძოდ, შესწორება ამბობს, რომ ისეთი შვილობილი კომპანიის კონტროლის დაკარგვიდან წარმოშობილი მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოსთან, რომელიც აღირიცხება კაპიტალის მეთოდით, აღიარდება დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში სხვა ინვესტორების წილების ფარგლებში. მსგავსად, ყოფილ შვილობილ საწარმოში (რომელიც გახდა მეკავშირე პირი ან ერთობლივი საწარმო და ახლა წრფივი მეთოდით აღირიცხება) შენარჩუნებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება თავდაპირველი დამფუძნებელი კომპანიის მოგება-ზარალში მხოლოდ ამ მეკავშირე პირსა თუ ერთობლივ საწარმოში არადაკავშირებული ინვესტორების წილების ფარგლებში.

შესწორების ძალაში შესვლის თარიღი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს არსებით ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - *მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება*

ფაისკ 23 განმარტავს, თუ როგორ უნდა დაადგინოს კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული არასარწმუნოება. ინტერპრეტაცია კომპანიას ავალდებულებს, რომ მან:

- დაადგინოს, არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები ინდივიდუალურად ფასდება თუ ჯგუფურად; და
- შეაფასოს, რამდენად სავარაუდოა, საგადასახადო ორგანო დაეთანხმოს კომპანიის მიერ მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან შემოთავაზებული არასარწმუნო საგადასახადო დამუშავების ფორმას:
  - თანხმობის შემთხვევაში, კომპანიამ ბუღალტრული საგადასახადო პოზიცია დაადგინოს მოგების გადასახადის დეკლარაციებში გამოყენებული ან ნავარაუდევი ბუღალტრული დამუშავების შესაბამისად.
  - უარის შემთხვევაში, კომპანიამ არასარწმუნოების ეფექტი უნდა ასახოს ბუღალტრული საგადასახადო პოზიციის დადგენაში.

ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. კომპანიებს შეუძლიათ შესწორება გამოიყენონ მთლიანად რეტროსპექტიულად ან ნაწილობრივ რეტროსპექტიული მიდგომით შედარებითი მონაცემების გადაფასების გარეშე.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ სტანდარტის გამოყენება ზეგავლენას იქონიებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკის პრინციპები:

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშში აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება შემდეგ ერთეულებს:

- შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. მათ შემთხვევაში ბანკი კრედიტზე შესწორებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.
- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ იყო შესყიდული ან წარმოქმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები, მაგრამ შემდგომ გაუფასურდა. მათ შემთხვევაში ბანკი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს იყენებს ფინანსური აქტივის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში დაფიქსირებულ ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების ზუსტ დისკონტირებას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას ბანკი მხედველობაში იღებს მოსალოდნელ ფულად სახსრებს, ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით, გარდა სესხის დანაკარგებისა. გამოთვლაში შედის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ასევე ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა თუ დისკონტებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება

დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და/ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლების აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტის წარმოშობის საკომისიო შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად გადავადდება და აღიარდება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

როდესაც სავარაუდოა, რომ სავალო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სავალო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სავალო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სავალო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სავალო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სავალო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სავალო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. სესხის მომსახურების საკომისიოს შემოსავლად აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებას (მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აისახება, პირდაპირ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

თუ ტრანზაქციის ფასი თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულებისგან განსხვავდება, ბანკი სხვაობას აღრიცხავს შემდეგი წესით:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისათვის ან ეფუძნება შეფასების ისეთ მეთოდს, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში

სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი).

- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით (ანუ პირველი დღის მოგება ან ზარალი გადავადდება აქტივის ან ვალდებულების საწყის საბალანსო ღირებულებაში შეყვანით).

პირველადი აღიარების შემდეგ გადავადებული მოგება ან ზარალი აისახება როგორც მოგება ან ზარალი რაციონალური საფუძვლით მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც იგი წარმოიშობა იმ ფაქტორის (მათ შორის, დროის) ცვლილებიდან, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული; რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში; ან მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივები.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და მის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

კაპიტალში ინვესტიციის საწყისი აღიარებისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისათვის, ბანკს შეუძლია განახორციელოს რეალური ღირებულების ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება ყოველი ინვესტიციისათვის ცალკე. ბანკმა გადაწყვიტა, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს „გაერთიანებულ ბილინგ-ცენტრში“ ფლობილი ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილება.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

საწყისი აღიარებისას ბანკს შეუძლია აირჩიოს იმ ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება ზარალში, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში ასახვას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ასახვით ბათილდება ან მნიშვნელოვნად მცირდება მოსალოდნელი შეუსაბამობა აღიარებასა თუ შეფასებაშიბანკის ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

ფინანსური აქტივები	ბიზნეს-მოდელი	მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	საზომი კატეგორია
ფული და ფულის ექვივალენტები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
ინვესტიციები კაპიტალში	სხვა ბიზეს-მოდელი	ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას	სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული
კლიენტებზე გაცემული სესხები	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება
სხვა დებიტორული დავალიანება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად განკუთვნილი	ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს	ამორტიზებული ღირებულება

ბიზნეს-მოდელის შეფასება

ბანკი აფასებს ბიზნეს-მოდელის მიზანს, რომლის მიხედვითაც ფლობს ფინანსურ აქტივებს, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა, რომლითაც ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის წარდგენა მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დადგენილ პოლიტიკებსა და მიზნებს პორტფელისთვის და ამ პოლიტიკების პრაქტიკაში განხორციელებას. ეს განსაზღვრავს, მიმართულია თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის მიღებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პორტფელის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის დამთხვევაზე დაკავშირებული ვალდებულების ხანგრძლივობასთან თუ ფულადი სახსრების გადინებასა და აქტივების გაყიდვის გზით ფულადი ნაკადების მიღებაზე;
- როგორ არის შეფასებული და წარდგენილი ბანკის ხელმძღვანელობისთვის პორტფელის მაჩვენებლები;
- რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნეს-მოდელზე (და ამ ბიზნეს-მოდელით ფლობილ ფინანსურ აქტივებზე) და როგორ იმართება ეს რისკები;
- როგორ ხდება მენეჯმენტის ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა მათი ანაზღაურება ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- ფინანსური აქტივების გაყიდვების სიხშირეს, მოცულობას და ვადებს წინა პერიოდებში, ამგვარი გაყიდვების და მომავალი გაყიდვების მოლოდინებს.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლებიც ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არ არის განკუთვნილი.

<u>შეფასება, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდას</u>

ამ შეფასების მიზნებისთვის, 'ძირი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება, როგორც ფულის დროში ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, აგრეთვე, კომპენსაცია სხვა ძირითადი დაკრედიტების რისკებისა და დანახარჯებისთვის (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) და მოგების მარჟისთვის.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ბანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომლებიც არ შეესაბამება ამ პირობებს. ამ შეფასების გაკეთებისას კომპანია განიხილავს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს ფულადი ნაკადების თანხას ან ვადებს;
- პირობებს, რომლებსაც შეუძლია შეცვალოს სახელშეკრულებო კუპონური განაკვეთი, ცვლადი განაკვეთის ჩათვლით;
- წინასწარ გადახდისა და გადავადების ფუნქციებს; და
- პირობებს, რომლებიც ზღუდავს ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ხელზე არსებული ნაღდი ფულისგან, საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული შეუზღუდავი ნაშთებისგან და მაღალლიკვიდური ფინანსური აქტივებისგან სამ თვემდე ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებზეც მოქმედებს რეალური ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი და რომელთაც ბანკი იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების სამართავად.

სავალდებულო ნაშთი სებ-ში

სებ-ში განთავსებული სავალდებულო ნაშთები აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომლის გამოყენება ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად დაუშვებელია. ამდენად, ეს ნაშთი არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაწილად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისათვის.

მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი ავანსის სახით, სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით გასცემს ფულს კონტრაგენტ ბანკებზე. ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში მოიცავს ინვესტიციებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატებში. ეს ინვესტიციები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების დამატებით, ხოლო შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ინვესტიციები კაპიტალში

ბანკმა არჩია, არასავაჭროდ განკუთვნილი კაპიტალში ინვესტიციის რეალური ღირებულება წარმოადგინოს სხვა სრულ შემოსავალში. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად თითო ინსტრუმენტისათვის თავდაპირველი აღიარებისას და შეუქცევად ხასიათს ატარებს.

კაპიტალის ინსტრუმენტებით მიღებული მოგება და ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშში არასოდეს რეკლასიფიცირდება და გაუფასურება ამავე ანგარიშში არ აისახება.

დივიდენდები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში, თუ ეს დივიდენდები მკაფიოდ არ წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილს, რა შემთხვევაშიც მათი აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ჯამური მოგება და ზარალი ინვესტიციის რეალიზაციისას გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი საწყისი აღიარების შემდეგ, გარდა ბანკის მიერ ბიზნეს-მოდელის შეცვლისა. თუ ბიზნეს-მოდელი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ აქტივებს, იცვლება, შესაბამისი ფინანსური აქტივები რეკლასიფიცირდება. ახალ კატეგორიასთან დაკავშირებული კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები გამოიყენება პროსპექტიულად ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირების შემდგომი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან. მიმდინარე და გასულ საანგარიშო პერიოდში ბიზნეს-მოდელი, რომლის პირობებშიც ბანკი ფლობს ფინანსურ სახსრებს, არ შეცვლილა და ამდენად, რეკლასიფიცირებაც არ მომხდარა. ცვლილებები სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობაში გათვალისწინებულია სააღრიცხვო პოლიტიკით ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ (იხილეთ ქვემოთ).

გაუფასურება

ბანკი აღიარებს რეზერვებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

გარდა შეძენილი ან წარმოშობილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს თანხით, რომელიც ტოლია:

- 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში (მოიხსენიება როგორც 1-ელი ეტაპი); ან
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის შემთხვევაში ამ ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადაში (მოიხსენიება, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპი).

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი საჭიროა შეიქმნას იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იზომება თანხით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა.

სხვა დებიტორული დავალიანებების რეზერვი იანგარიშება თანხით, რომელიც ტოლია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა არსებობის მანძილზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო დანაკარგების მიმდინარე ღირებულების ალბათურ-შეწონილ შეფასებას. იგი იზომება, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ღირებულებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომელიც გამოითვლება სხვადასხვა სამომავლო ეკონომიკური სცენარის დისკონტირებული აქტივების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

დამატებითი ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების განსაზღვრის შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში, სადაც მოყვანილია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ინსტრუმენტების დაჯგუფება მათი კოლექტიურად შეფასების შემთხვევაში.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები</u>

ფინანსური აქტივი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მოხდა ერთი ან რამდენიმე მოვლენა, რომელთაც აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები მიეკუთვნება მე-3 ეტაპის აქტივებს. საკრედიტო გაუფასურება მტკიცდება შემდეგი მოვლენების დაკვირვებადი მონაცემებით:

- მსესხებლის ან კრედიტორის სერიოზული ფინანსური პრობლემები;
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან ვადაგადაცილებული ვალდებულება;
- სესხის გამცემი მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო მიდის გარკვეულ დათმობაზე, რის შესაძლებლობასაც კრედიტორი სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო; ან
- ფინანსური აქტივის შეძენა დიდი ფასდაკლებით, რაც წარმოშობილი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელია.

ზოგჯერ არ არის შესაძლებელი ცალკეული ზარალის გამომწვევი მოვლენის აღმოჩენა და ფინანსური აქტივის საკრედიტო გაუფასურება შეიძლება რამდენიმე მოვლენის კომბინირებული მოქმედებით იყოს გამოწვეული. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს, არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული ის სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს და გაზომილია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში.

სესხი ითვლება «საკრედიტო რისკით გაუფასურებულად», როდესაც მსესხებელს ეძლევა შეღავათი მისი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, თუკი არ არსებობს დამადასტურებელი ფაქტი, რომ დათმობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაღდი ფულის არმიღების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება და არ არსებობს გაუფასურების სხვა ნიშნები. ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც განიხილება შეღავათები, მაგრამ არ ხდება მათი გამოყენება, აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს საკრედიტო რისკით გაუფასურების აშკარა დამადასტურებელი ფაქტი, დეფოლტის განსაზღვრების ჩათვლით.

დეფოლტის განსაზღვრება (იხ. ქვემოთ) გულისხმობს ვალის არ გადახდას, თუ ვალის გადახდა დაგვიანდა 90 ან მეტი დღით.

<u>საკრედიტო რისკით გაუფასურებელი შეძენილი ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები</u>

საკრედიტო რისკით გაუფასურებელ შეძენილ ან წარმოშობილ ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების შეფასება ხდება განსხვავებულად, რადგან ასეთი აქტივები გაუფასურებული იყო თავდაპირველი აღიარების დროს. ამ აქტივებისთვის ბანკი ყველა ცვლილებას აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში, როგორც ზარალს ყველა ცვლილებასთან ერთად, რომელიც აღიარდა მოგება-ზარალში. ასეთ აქტივებზე დადებითი ცვლილება გაუფასურების მოგებას წარმოშობს.

<u>ვალდებულებათა შეუსრულებლობის (დეფოლტის) განმარტება</u>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განმარტების მიზნით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა არის დეფოლტი. დეფოლტის განსაზღვრება გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის გასაზომად და იმის შესაფასებლად, ზარალის შეფასების რეზერვი ეფუძნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რადგან დეფოლტი წარმოადგენს დეფოლტის ალბათობის კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეების გაზომვაზე, ისე საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენაზე.

ბანკი აღიარებს ვალდებულებების შეუსრულებლობას, ანუ დეფოლტს შემდეგ შემთხვევებში:

- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკრედიტო ვალდებულების 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილება მსესხებლის მხრიდან; ან
- ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელმა სრულად გადაუხადოს საკრედიტო ვალდებულება კომპანიას.

დეფოლტი განმარტებულია ისე, რომ კარგად ასახოს სხვადასხვა ფინანსური აქტივების მახასიათებლები. იმის შეფასებისას, თუ რამდენად არსებობს იმის ალბათობა, რომ მსესხებელი არ შეასრულებს საკრედიტო ვალდებულებას, ბანკი ითვალისწინებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა იმავე მხარესთან სხვა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება და გადახდელობა, წარმოადგენს მთავარ მონაცემებს ასეთი ანალიზისთვის. ბანკი დეფოლტის შესაფასებლად იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს, რომლებიც ან ბანკის დონეზეა შემუშავებული, ან მოპოვებულია გარეშე წყაროებიდან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომელიც ექვემდებარება გაუფასურების მოთხოვნას იმის შესაფასებლად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბანკი გაზომავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე.

30 დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, ბანკი თვლის, რომ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას და აქტივი გადადის გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ გაუფასურების დანაკარგების რეზერვი აღირიცხება როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე.

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არის მიზანშეწონილი იმის დაშვება, რომ «დაბალი» საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ანგარიშგების დღეს არ აღინიშნებოდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, ბანკი ახორციელებს ყველა იმ ფინანსური აქტივის მონიტორინგს, რომლებიც უფასურდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის: როგორც აქტივების მთლიანი ღირებულებიდან გამოქვითვა;
- რეალური ღირებულებით სრულ შემოსავალში მეთოდით შეფასებული სასესხო ინსტრუმენტებისთვის: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ზარალის შეფასების რეზერვის აღიარება არ ხდება, რადგან საბალანსო ღირებულება მოცემულია რეალური ღირებულებით.
- ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის: როგორც უზრუნველყოფა; და
- როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც წარმოდგენილ, ისე აუთვისებელ კომპონენტებს, კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა, დაადგინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სესხის კომპონენტზე წარმოდგენილი კომპონენტისგან იზოლირებულად: კომპანია წარმოადგენს ზარალის შეფასების ერთობლივ რეზერვს ორივე კომპონენტისთვის. ერთიანი თანხა ნაჩვენებია, როგორც წარმოდგენილი კომპონენტის ერთიანი საანგარიშო ღირებულებიდან გამოქვითვა. ზარალის რეზერვის სიჭარბით შეფასება წარმოდგენილი კომპონენტის საერთო ოდენობაზე ნაჩვენებია, როგორც უზრუნველყოფა.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების მოდიფიცირდება მაშინ, როდესაც გადაიხედება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც არეგულირებს ფინანსური აქტივების ფულადი ნაკადების მოძრაობას ან იცვლება ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მათი გადახდის ვადის დადგომამდე პერიოდში. მოდიფიცირების ზეგავლენა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან/და დროზე მყისიერია ან მოსალოდნელია მომავალში.

ბანკი აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას იმ კლიენტებზე გაცემულ სესხებზე, რომელთაც შეექმნათ ფინანსური პრობლემები, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ამ თანხების ამოღება და მინიმუმამდე შეამციროს დეფოლტის რისკი. სესხის პირობები იცვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ყველა შესაძლო ძალისხმევის მიუხედავად, გადაეხადა სათანადო თანხები ხელშეკრულების თავდაპირველი პირობებით, არსებობს დეფოლტის დიდი რისკი და მოსალოდნელია, რომ მსესხებელი შეასრულებს ახალ პირობებს. განახლებული პირობები უმეტესწილად გულისხმობს სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას, ფულადი ნაკადების (ძირი თანხისა და პროცენტის გადახდის) მოძრაობის ვადების შეცვლას, მისაღები ფულადი ნაკადების ოდენობის შემცირებას (ძირი თანხიდან და პროცენტიდან) და სხვა პირობების შეცვლას.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირებისას ბანკი აფასებს, თუ რამდენად იწვევს მოდიფიკაცია აღიარების შეწყვეტას. ბანკის პოლიტიკის თანახმად, მოდიფიკაცია იწვევს აღიარების შეწყვეტას, როდესაც მის შედეგად ხელშეკრულებაში ჩნდება არსებითად განსხვავებული პირობები. იმის

დასადგენად, თუ შეცვლილი პირობები რამდენად არსებითად განსხვავდება თავდაპირველი ხელშეკრულების პირობებისგან, ბანკი მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო თანხების მოძრაობა, მოდიფიცირების შემდეგ აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ძირი თანხისა და დარჩენილ ძირზე პროცენტის გადახდების კატეგორიას, ვალუტის ან ხელშეკრულების მხარის შეცვლა, საპროცენტო განაკვეთის შეცვლა, გადახდის ვადის დადგომა, კოვენანტების დაწესება; თუ აღნიშნული ფაქტორები აშკარად არ მიუთითებს არსებით ცვლილებაზე (მოდიფიკაციაზე), მაშინ:
- რაოდენობრივი შეფასება ტარდება დარჩენილი თავდაპირველი პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შედარებით განახლებული პირობებით მოცემული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან. ამასთან, ორივე თანხა დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ მიმდინარე ღირებულებათა სხვაობა 10%-ზე მეტია, ბანკი თვლის, რომ ახალი შეთანხმება არსებითად განსხვავდება თავდაპირველი შეთანხმებისგან, რაც იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვი ხელმეორედ გაიზომება, რათა მოხდეს აღიარების შეწყვეტის დღეს აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულების დადგენა. სხვაობა ამგვარად განახლებულ საბალანსო ღირებულებასა და ახალი პირობებით ახალი ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას შორის გამოიწვევს სარგებლის ან ზარალის მიღებას აღიარების შეწყვეტისას. ახალ ფინანსურ აქტივს ექნება ზარალის რეზერვი, რომელიც გაზომილია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ითვლება, რომ წარმოშობილი ახალი სესხი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება ახალი სესხის რეალური ღირებულების აღიარება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით განახლებული ნომინალური ღირებულებით, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, რომელიც არ შემცირდა მოდიფიცირების შედეგად. ბანკი მონიტორინგს უწევს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს, რა მიზნითაც აფასებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას, როგორიცაა მაგალითად, ინფორმაცია იმის შესახებ, ხომ არ რჩება მსესხებელს ვადაგადაცილებულის სტატუსიახალი პირობების მიხედვით;

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირება და ასეთი მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი აფასებს, ხომ არ გაიზარდა მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან.

ისეთი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, რომელთა მოდიფიცირებაც მოხდა ბანკის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის ფარგლებში და აღნიშნულმა მოდიფიცირებამ არ გამოიწვია აღიარების შეწყვეტა, დეფოლტის ალბათობის შეფასება ასახავს ბანკის უნარს, მიიღოს მოდიფიცირებული ფულადი ნაკადები წარსული გამოცდილების გათვალისწინებით რესტრუქტურიზაციის ანალოგიური მოქმედების განხორციელებისას და, ასევე, ქცევითი ინდიკატორების გათვალისწინებით, მათ შორის, მსესხებლის გადახდების ისტორიისა, ხელშეკრულების მოდიფიცირებული/შეცვლილი პირობების ფონზე. თუ საკრედიტო რისკი კვლავ მნიშვნელოვნად მაღალია მოსალოდნელ მნიშვნელობაზე თავდაპირველი აღიარების მომენტში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი კვლავაც შეფასდება იმ ოდენობით, რომელიცარსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. გადაუხდელი სესხების რეზერვი როგორც წესი, იზომება მხოლოდ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, როდესაც არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ მსესხებლის გადახდის უნარი გაუმჯობესდა მოდიფიცირების შემდგომ, რაც იწვევს წარსულში საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეჩერებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოდიფიციკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი მოდიფიცირების სარგებელს/ზარალს ანგარიშობს ერთიანი საანგარიშო ღირებულების შედარებით მოდიფიკაციამდე და მას შემდეგ (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეღავათის გამოკლებით). შემდეგ ბანკი ზომავს მოდიფიცირებული აქტივის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, როდესაც მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის შედეგად წარმოშობილი მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიც მონაწილეობს თავდაპირველი აქტივის მოსალოდნელი ფულადი დეფიციტის ანგარიშში.
ბანკი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივის ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებების ვადის ამოწურვის შემდეგ (მათ შორის, ვადის ამოწურვისაც, რომელიც წარმოიშვება არსებითად განსხვავებული პირობებით მოდიფიცირების შემთხვევაში), ან როდესაც ფინანსური აქტივი და აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადაეცემა სხვა პირს. თუ ბანკი არც არსებითად გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს და კვლავ აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ის აღიარებს, რომ მას კვლავ გააჩნია აქტივისა და თანხების

გადახდაზე ვალდებულების ინტერესი. თუ ბანკი არსებითად ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკსა და სარგებელს, იგი კვლავაც აღიარებს ფინანსურ აქტივს.

ჩამოწერა

სესხებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების ჩამოწერა ხდება, როდესაც ბანკს არ აქვს იმის გონივრული მოლოდინი, რომ მოხდება ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) ანაზღაურება. ეს ზოგადად არის შემთხვევა, როდესაც ბანკს აქვს მოლოდინი, რომ მსესხებელს არ ექნება აქტივები ან უზრუნველყოფილი შემოსავალი, რომლის საშუალებითაც მსესხებელი შეძლებს შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირებას, ჩამოსაწერად განკუთვნილი თანხების გადასახდელად. ამასთან, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება, შესაძლოა კვლავ იყოს აღსრულების საქმიანობის საგანი, ბანკის მიმართ მართებული თანხების ამოღების პროცედურების დასაკმაყოფილებლად.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით გამცემი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფულად-სასესხო გარანტია არის კრედიტის გაცემის დამოწმებული გარანტია წინასწარ განსაზღვრული პირობებით.

ფინანსური გარანტიები და საბაზროზე ნაკლები განაკვეთით სესხის გაცემის გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით. შემდგომ ისინი იზომება ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრული დანაკარგის ანარიცხებსა და თავდაპირველად აღიარებული თანხის (შესაბამის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპებით აღიარებული ჯამური შემოსავლის გამოკლებით) სხვაობას შორის უმეტესით.

ბანკს მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით ასახული სასესხო გარანტიები გაცემული არ აქვს.

სხვა ფულად-სასესხო გარანტიების შემთხვევაში, ბანკი დანაკარგის ანარიცხებს აღიარებს ფასს 9-ის შესაბამისად.

ფულად-სასესხო და ფინანსური გარანტიის კონტრაქტები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით, ხოლო თუ ისინი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულად არ ითვლება, შემდგომში იზომება შემდეგიდან უმეტესით:

- კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულობის მოცულობა ბასს 37 - რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების მიხედვით; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა (შესაბამის შემთხვევაში, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის თანახმად აღიარებული ჯამური ამორტიზაციის გამოკლებით).

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრამდე

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები", „დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები", „სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური აქტივები" და "სესხები და მოთხოვნები". კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ბანკის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, სავაჭროდ განკუთვნილი ინვესტიციები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები და სესხები და მოთხოვნები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, თავისუფალ სახსრებს მოკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში 90 ან ნაკლებღღიანი თავდაპირველი ვადით და საკრედიტო ინსტიტუტებზე გაცემულ ავანსებს 90 ან

ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით, რომელიც არ არის დატვირთული საკონტრაქტო ვალდებულებებით.

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარეზერვო დეპოზიტს, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი და რომელიც არ გამოიყენება ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად. ამდენად, სავალდებულო რეზერვი არ მიეკუთვნება ფულსა და ფულის ექვივალენტებს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის.

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან (გ) მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

ასეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე და მათი სამართლიანი ღირებულების გაზომვა სარწმუნოდ შეუძლებელია, წარმოდგენილია თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გამოკლებით თითოეული საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს ისეთ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებითა და დაფარვის ფიქსირებული ვადებით, რომელთა ფლობა ბანკს განზრახული აქვს და შეუძლია ვადის ბოლომდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იძულებული იქნება, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების უმნიშვნელოზე მეტი ნაწილი (გამონაკლისი სპეციფიკური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი გასაყიდად არსებულად რეკლასიფიკაცია. გარდა ამისა, შემდეგი ორი ფინანსური წლის განმავლობაში ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივის სახით.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება მოქმედ ბაზარზე (მათ შორის, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელზე დარიცხული პროცენტის აღიარება არსებითი სიდიდისა არ იქნებოდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აისახება,. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გასაყიდად განკუთვნილ ინვესტიციებად მიჩნეული კოტირებული და არაკოტირებული ინვესტიციების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდის რეალური ღირებულების თვითღირებულების ქვემოთ ხანგრძლივი ან მნიშვნელოვანი ჩამოვარდნა ითვლება გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას ან გადახდისუუნარობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორიცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფურად. სესხებისა და მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მაჩვენებელი შეიძლება იყოს ბანკის წარსული გამოცდილება თანხების ამოღების თვალსაზრისით, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რიცხვის ზრდა, ასევე, ისეთი შესამჩნევი ცვლილებები ქვეყნისა თუ ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში, რაც დაკავშირებულია მოთხოვნების დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება გაუქმებას შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით. აღნიშნული არ ეხება სესხებსა და მოთხოვნებს, რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოიწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ გაუფასურების დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ისეთ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა გაუფასურების აღიარების გარეშე.

სესხები კონტრაქტის შეცვლილი პირობებით

თუ ეს შესაძლებელია, ბანკი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია, ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გავრცობასა და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება იანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც ეს გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავაც ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

სესხებისა და ავანსების ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა არსებული მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და ბანკმა უკვე გაყიდა მის ხელთ არსებული მთელი უზრუნველყოფა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და აისახება აღდგენის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის მიერ ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ბანკი სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და, შესაბამისად, აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივისა და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მთლიანი მოგება-ზარალის ჯამს შორის აღირიცხება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

გამოშვებული სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი, საკონტრაქტო შეთანხმებების არსიდან გამომდინარე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულება არის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს სხვა პირისათვის ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების გაცვლას ისეთი პირობებით, რომლებიც პოტენციურად არასასურველია ბანკისათვის, ან ისეთი კონტრაქტი, რომელზე ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით და რომელიც არის არაწარმოებული კონტრაქტი, რომლის მიხედვით ბანკი ვალდებულია ან შეიძლება ვალდებული გახდეს, პირს მიაწოდოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა ან წარმოებული კონტრაქტი საკუთარ კაპიტალზე, რომელზე ანგარიშსწორება მოხდება ან შეიძლება მოხდეს ბანკის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ ფულის (ან სხვა ფინანსური აქტივის) ფიქსირებული ოდენობის გადახდის გარდა სხვა გზით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს შეცვლილი პირობების საფუძველზე ხდება ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება.

თუ ბანკმა ფინანსური ვალდებულების მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტით არ აღრიცხა, მაშინ ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება გადაიანგარიშება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით და მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ცვლადგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, მოდიფიცირებით გამოწვეული მოგების ან ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირდება ისე, რათა მასში აისახოს მოდიფიცირების მომენტში არსებული საბაზრო პირობები. გაწეული ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს, როდესაც მისი პირობები იცვლება და მოდიფიცირებული ვალდებულების ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება წინანდელისგან. ასეთ დროს ხდება შეცვლილი პირობების საფუძველზე ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება მისი რეალური ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილ ანაზღაურებაში უნდა შევიდეს, თუ ასეთი არსებობს, გადაცემული არაფინანსური აქტივები და ნაკისრი ვალდებულება, მათ შორის, ახალი მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულება. თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ აღირიცხა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ გაწეული

ხარჯები და გადახდილი საკომისიოები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში ამორტიზდება ინსტრუმენტის ხელახლა გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტები და სუბორდინირებული სესხები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს გადასახდელებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, კლიენტების დეპოზიტებსა და იმ სუბორდინირებულ სესხებს, რაც წარმოადგენს ბანკის აღებული სესხებით დაფინანსების წყაროებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, პირდაპირი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ფინანსური ვალდებულებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

სააქციო ინსტრუმენტები

სააქციო ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ მისი პირობები ითვალისწინებს მოიჯარისთვის არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

საოპერაციო იჯარაში გადახდილი თანხების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდზე თანაბრად გადანაწილებული ხარჯის სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით. საიჯარო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი პირობითი საიჯარო თანხების ასახვა ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა მათი გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ იჯარის გარიგების დასადებად გათვალისწინებულია შეღავათები, იგი აისახება როგორც ვალდებულება. შეღავათებით მისაღები მთლიანი სარგებელი აღირიცხება როგორც იჯარის ხარჯის შემცირება წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა მეთოდი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით.

დასაკუთრებული აქტივები

გარკვეულ ვითარებაში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტიანი სესხების უზრუნველყოფის დაკავების შედეგად. დასაკუთრებული აქტივები იზომება, ერთი მხრივ, საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ასევე ადმინისტრაციული მიზნით გამოყენებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას გადაფასების დღეს, გამოკლებულია შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება რეგულარულად, ისე, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი ქონების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში მხოლოდ იმ ოდენობით, რომ მან მოახდინოს მანამდე მოგება-ზარალში აღიარებული გადაფასების კლება იმავე აქტივზე. ასეთ შემთხვევაში ზრდა შედის მოგება-ზარალში მანამდე ხარჯად აღიარებული კლების ოდენობით. ამგვარი ქონების გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულების კლება აღიარდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ მან გადააჭარბოს

ამავე აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებულ, უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში არსებულ ნაშთს.

წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მიმდინარე მშენებლობით მოცული ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ანაზღაურება და, ასევე, ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკუის მიხედვით შესაბამის აქტივებზე ხდება სესხის ხარჯების კაპიტალიზაცია. ამგვარი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიაში გადადის მაშინ, როდესაც დასრულდება და მზად იქნება დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, აღირიცხება მათი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად გამზადების შემდეგ.

გადაფასებული უძრავი ქონების გაუფასურება აღირიცხება მოგება-ზარალში. მისი შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემდეგ, გადაფასების ჭარბი ოდენობა, რომელიც გადაფასების რეზერვში რჩება, პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

მიწას ცვეთის ხარჯი არ ერიცხება.

ცვეთა აისახება ისე, რომ წრფივი მეთოდით ჩამოიწეროს ღირებულება (გარდა მიწისა და მიმდინარე მშენებლობებისა) და შეფასებული ღირებულება აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით. სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდი, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სააღრიცხვო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	1%-2.17%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-15%
კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობა	10%-33.33%
სატრანსპორტო საშუალებები	10%-33.33%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%-50%
სხვა	15%

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც ბანკს აქვს აქტივის უწყვეტი გამოყენებით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების მოლოდინი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გაყიდვისას ან მისი სასარგებლო მოხმარების ვადის დასრულებისას, გამოითვლება როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო 2-15 წლიანი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რის შედეგადაც სააღრიცხვო დაშვებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე, ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

<u>არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა</u>. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გაყიდვისას ან მაშინ, როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. აღიარების შეწყვეტით მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც იანგარიშება როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებული წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტის მომენტში.

<u>მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა.</u> ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკი სისტემატურად განიხილავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის

არსებობის შემთხვევაში, აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა, ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთათვისაც განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც ჯერ გამოსაყენებლად არაა მზად, გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და მაშინ, როდესაც არსებობს მათი გაუფასურების ნიშნები.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით გადასახადების გამოკლებით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. ამ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება ანაზღაურებადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულიყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯების აღდგენა განიხილება, როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და, აგრეთვე, იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივი, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ, სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრ მოგებას და არც საბალანსო მოგებას.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვის ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომელთა აღიარება ხდება მოგება-ზარალში ან პირდაპირ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში, მიმდინარე და გადავადებული გადასახადებიშესაბამისად აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში ან პირდაპირ კაპიტალში.

2018 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კომპანიების მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე, ცნობილია, როგორც კომპანიების დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის მიხედვით დაბეგვრა ხდება არა დასაბეგრი მოგების მიღების, არამედ მისი განაწილების მომენტში.

კომპანიების მოგების დაბეგვრის ახალი სისტემა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას არ გულისხმობს. მასში დაბეგვრა უბრალოდ გადატანილია მოგების მიღების მომენტიდან მათ განაწილებამდე; ანუ დაბეგვრის ობიექტი განაწილებული მოგებაა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის განსაზღვრებით, განაწილებული მოგება არის აქციებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება. თუმცა, მოგების განაწილებად ითვლება ზოგიერთი სხვა ტრანზაქციაც, მაგალითად, საერთაშორისო ტრანზაქცია დაკავშირებულ პირებს შორის ან/და გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან საგადასახადო მიზნებისათვის.. გარდა ამისა, გადასახადის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებსა თუ სხვა გადახდებს, თუ ისინი არაა დაკავშირებული პირის ეკონომიკურ საქმიანობასთან, საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას და ზედმეტად დიდ წარმომადგენლობით ხარჯებს.

თუ 2008-2016 წლებში გაუნაწილებელი მოგება 2019 წელს ან შემდგომ წლებში განაწილდა, შესაძლებელია მათზე გადახდილი მიმდინარე გადასახადის დაბრუნება.

დივიდენდების გადახდისგან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მათი გადახდის თარიღის თუ პერიოდის მიუხედავად.

კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და ყველა პირის შემთხვევაში, ფინანსური ინსტიტუტების გარდა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), ვრცელდება 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე. ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში, კანონი თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვარს. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა კანონის ძალაში შესვლის ვადა 2023 წლის 1 იანვრამდე გადასწია.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (სამართლებრივი ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, ბანკს სავარაუდოდ მოეთხოვება მათი დაფარვა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვებად აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და უზუსტობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამავე ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ბანკი მესამე მხარისგან ნაწილობრივ ან სრულად ამოიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც საჭიროა რეზერვის ფორმირებისთვის, ხდება მოთხოვნის ასახვა აქტივებში. მაედროულად, გადახდა უნდა იყოს სარწმუნო, ხოლო მოთხოვნის შეფასება შესაძლებელი საკმარისი სიზუსტით;

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ აღიწერება ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშგების შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდევი.

უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ორგანიზაციის ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

გაცვლითი კურსის სხვაობა ფულად ერთეულებზე აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი / 1 ევრო	3.0701	3.1044

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროების მიხედვით. ჩვეულებრივ, უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებული, ასევე მომავალი ვალდებულებებისთვის.

კაპიტალის რეზერვები

ბანკის ფინანსური მდგომარეობის უწყისში კაპიტალში აღრიცხული რეზერვი (სხვა სრული შემოსავალი) მოიცავს ქონების გადაფასების რეზერვს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი.

5. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განსჯა და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების კრიტიკული განსჯა

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განსჯის საგანს, იმ შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების

გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ბიზნეს-მოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივების ფლობა და იმის შეფასება, ეხება თუ არა ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და გადაუხდელ ძირ თანხაზე პროცენტის გადახდას. დეტალური ინფორმაცია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში - 2018 წლის 1 იანვრამდე

ხელმძღვანელობამ განიხილა ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურა, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 16,823 ათას ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები. ქვემოთ წარმოდგენილია მომავალთან და სხვა შეფასების არასარწმუნოობის ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის რეზერვები - 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასების რეზერვებზე:

- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას ბანკი იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საანგარიშო საპროგნოზო სცენარებისადმი სენსიტიურობის ანალიზიც.

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეფოლტის ალბათობაზე სენსიტიურობის ანალიზიც.

- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.

  დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 30-ე შენიშვნაში, სადაც მოცემულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დეფოლტის შემთხვევაში ზარალზე სენსიტიურობის ანალიზიც.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება - 2018 წლის 1 იანვრამდე

ბანკის სესხის გაუფასურების რეზერვები ისე დგება, რომ მოხდეს არა მხოლოდ უკვე გაწეული გაუფასურების ზარალის აღიარება სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში, არამედ ის ზარალიც, რაც ბანკმა შეიძლება მომავალში მიიღოს.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების შეფასებისას, ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა როგორც წარსულში დანაკარგების გამოცდილებას, აგრეთვე, მომავალში პორტფელის ხარისხზე მაკროეკონომიკური სცენარების შეფასებულ ეფექტს. ეს მას საშუალებას აძლევს, ისეთი გარემოებები გაითვალისწინოს, რაც ისტორიულ მონაცემებში არ აისახება. ბანკი სესხების პორტფელს გაუფასურებაზე ამოწმებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემულმა მთლიანმა სესხებმა და მათზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 333,162 ათასი და 6,746 ათასი ლარი, შესაბამისად.

გადაფასებული ღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებები

გარკვეული ძირითადი საშუალებები გადაფასებული ღირებულებით აღირიცხება. ბოლო გადაფასება მოხდა 2018 წლის მაისში. შეფასების ტექნიკა აღწერილია მე-12 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ბანკის ხელმძღვანელობა განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს თითოეული წლიური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან მიმართებაში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე, აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვეთისა და ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების აღრიცხვა

2018 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვეო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსით შეიცვალა ბანკის მოგების გადასახადის აღიარებისა და გაზომვის პრინციპები და ბანკის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივების/ვალდებულებების ასახვის წესი. კომერციული ბანკები არ არიან ვალდებულნი, მოგების გადასახადი გადაიხადონ დასაბეგრ მოგებაზე (თუ, ეს მოგება მიღებულია 2018 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან მოგების განაწილების სხვა ფორმით.

როდესაც ეს კანონი საბანკო სექტორისათვის 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევა, მას უფრო პირდაპირი ზეგავლენა ექნება გადავადებული გადასახადის გამოთვლაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ან საანგარიშო დღეს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების ნაშთები სრულად იქნება მოხმარებული ან კიდევ მისი ეფექტი უმნიშვნელო იქნება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა, შესაბამისად, 2,529 ათასი და 1,750 ათასი ლარი.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის მიმდინარეობისას ბანკი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. თუ ამგვარი ტრანზაქციების მოქმედი ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს, ეფუძნება თუ არა ტრანზაქციის ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს. ამისათვის დგინდება, თუ როგორ ხდება ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების შემთხვევაში და კეთდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებულ მხარეებთან

არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 31-ე შენიშვნაში.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ნაღდი ფული	5,402	6,635
სებ-ში არსებული ნაშთები	3,611	8,360
მოკორესპონდენტო ანგარიშები და 90 დღემდე დაფარვის ვადიანი დეპოზიტები	15,870	5,340
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(7)	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	24,876	20,335

ფული და ფულის ექვივალენტები არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასდა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ დადგენილი რეიტინგების საფუძველზე.

7. სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო ნაშთი საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) წარმოადგენს სებ-ში განთავსებულ თანხას. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან, სებ-ში განთავსებული ჰქონდეთ პროცენტიანი სავალდებულო რეზერვი, რომლის ოდენობა დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდულ თანხებზე. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ნაშთი პროცენტიანი ფინანსური აქტივია.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	26,438	44,955
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2)	-
სულ სავალდებულო ნაშთი სებ-ში	26,436	44,955

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო ნაშთი სებ-ში არის ვადაგადაუცილებელი ფინანსური აქტივი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე. საქართველოს, როგორც ქვეყნის, საკრედიტო რეიტინგია BB სტაბილური პერსპექტივით.

8. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთებში წარმოდგენილი, შესაბამისად, 1,732 ათასი და 1,645 ათასი ლარი განთავსებული იყო დეპოზიტებზე, როგორც შეზღუდული გამოყენების ნაღდი ფული საკრედიტო კომპანიასთან არსებული შეთანხმების საფუძველზე VISA საბანკო ოპერაციებში განსახორციელებლად

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
შეზღუდული ფული	1,733	1,645
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(1)	-
სულ მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,732	1,645

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	333,162
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(7,323)	(6,746)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	401,091	326,416

კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი აისახება ამორტიზებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები სახეობებად კლასიფიცირდება რამდენიმე ფაქტორის კომბინაციის საფუძველზე (ძირითადად, მსესხებლის შემოსავლის წყარო და სესხის დანიშნულება). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნით აღებული სესხები შესაბამის კატეგორიებში წარმოდგენილია მსესხებლის ბიზნეს-საქმიანობის მიხედვით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავდა, შესაბამისად, 3,539 ათასი და 3,144 ათასი ლარის ოდენობით დარიცხულ პროცენტს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები სექტორების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
იურიდიულ პირებზე		
ვაჭრობა და მომსახურება	205,412	171,812
მშენებლობა	34,957	38,440
სოფლის მეურნეობა	16,481	14,147
იჯარა	16,743	7,116
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	2,158	9,389
ენერგეტიკა	4,545	4,817
სხვა	12,300	3,443
სულ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	292,596	249,164
ფიზიკურ პირებზე		
სამომხმარებლო სესხები	65,200	42,699
იპოთეკური სესხები	50,618	41,299
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	115,818	83,998
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	333,162
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების ზარალის რეზერვი	(7,323)	(6,746)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	401,091	326,416

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა თავისი კაპიტალის 5%-ზე მეტი ოდენობის სესხები გასცა, შესაბამისად, 22 და 10 კლიენტზე, 167,084 ათასი და 56,197 ათასი ლარის ოდენობით.

ქვემოთ მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კომბინირებულად უზრუნველყოფილი სესხები	264,768	232,328
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	108,739	86,120
ნაღდი ფულით უზრუნველყოფილი სესხები	3,658	7,074
გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები	20,597	1,548
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	10,652	6,092
მთლიანი კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	333,162
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების ზარალის რეზერვი	(7,323)	(6,746)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	401,091	326,416

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების დიდი წილი (მთლიანი პორტფელის 99%) გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებზე.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა იმ სესხებმა, რომელთა პირობები გადახედილ იქნა, შეადგინა, შესაბამისად, 13,942 ათასი და 12,774 ათასი ლარი..

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ფარდობა მთლიან სესხებთან
ინდივიდუალურად უმნიშვნელო				
ვადაგადაუცილებელი	361,069	(3,476)	357,593	0.96%
ვადაგადაცილებული:	-	-	-	
30 დღემდე	4,627	(167)	4,460	3.61%
31-60 დღე	3,257	(291)	2,966	8.93%
61-90 დღე	1,455	(163)	1,292	11.20%
91-180 დღე	1,326	(178)	1,148	13.42%
180 დღეზე მეტი	4,053	(571)	3,482	14.09%
სულ ჯგუფურად შეფასებული	375,787	(4,846)	370,941	1.29%
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი				
ვადაგადაუცილებელი	4,839	(559)	4,280	11.55%
ვადაგადაცილებული:	-	-	-	0.00%
30 დღემდე	434	(165)	269	38.02%
31-60 დღე	12,858	(244)	12,614	1.90%
61-90 დღე	8,854	(194)	8,660	2.19%
91-180 დღე	-	-	-	0.00%
180 დღეზე მეტი	5,642	(1,315)	4,327	23.31%
სულ ინდივიდუალურად შეფასებული სესხები	32,627	(2,477)	30,150	7.59%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	(7,323)	401,091	1.79%

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან
ინდივიდუალურად უმნიშვნელო				
ვადაგადაუცილებელი	257,612	(2,201)	255,411	0.85%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	13,360	(449)	12,911	3.36%
31-60 დღე	1,084	(106)	978	9.78%
61-90 დღე	1,088	(81)	1,007	7.44%
91-180 დღე	595	(99)	496	16.64%
180 დღეზე მეტი	4,921	(707)	4,214	14.37%
სულ ჯგუფურად შეფასებული	278,660	(3,643)	275,017	1.31%
ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი				
ვადაგადაუცილებელი	40,812	(492)	40,320	1.21%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	6,605	(171)	6,434	2.59%
31-60 დღე	-	-	-	-
61-90 დღე	1,785	(709)	1,076	39.72%
91-180 დღე	2,220	(603)	1,617	27.16%
180 დღეზე მეტი	3,080	(1,128)	1,952	36.62%
სულ ინდივიდუალურად შეფასებული სესხები	54,502	(3,103)	51,399	5.69%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	333,162	(6,746)	326,416	2.02%

2018 და 2017 წლებში ბანკმა დაისაკუთრა უზრუნველყოფები. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ აქტივების საბალანსო ღირებულება შეიდა სხვა აქტივებსა და დასაკუთრებულ აქტივებში და შეადგინა, შესაბამისად, 750 ათასი 555 ათასი ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კლიენტების სესხები მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებთან მიმართებაში ეტაპების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2018			1 იანვარი, 2018		
	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები	მთლიანი სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	წმინდა სესხები
1-ელი ეტაპი- 12 თვიანი მსდ	362,630	(3,077)	359,553	311,085	(3,414)	307,671
მე-2 ეტაპი - მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკის არმქონე:						
ინდივიდუალურად შეფასებული	*11,410*	*(226)*	*11,184*	-	-	-
ჯგუფურად შეფასებული	*3,149*	*(285)*	*2,864*	*1,562*	*(167)*	*1,395*
	14,559	(511)	14,048	1,562	(167)	1,395
მე-3 ეტაპი - მსდ არსებობის მანძილზე – საკრედიტო რისკიანი:						
ინდივიდუალურად შეფასებული	*18,716*	*(2,196)*	*16,520*	*8,931*	*(2,755)*	*6,176*
ჯგუფურად შეფასებული	*12,509*	*(1,539)*	*10,970*	*11,584*	*(1,525)*	*10,059*
	31,225	(3,735)	27,490	20,515	(4,280)	16,235
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	(7,323)	401,091	333,162	(7,861)	325,301

10. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში მოიცავს:

	ფლობილი წილი, %	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ს.ს. „გაერთიანებული კლირინგ-ცენტრი“	6,25%	54	54
სულ ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში		54	54

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა სს „გაერთიანებულ კლირინგ-ცენტრში“ ინვესტიციის რეალური ღირებულება და დაასკვნა, რომ რეალური ღირებულება მიახლოებულია მის თვითღირებულებასთან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „გაერთიანებულ კლირინგ-ცენტრში“ ინვესტიცია ასახული იყო თვითღირებულებით.

11. ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
სადეპოზიტო სერთიფიკატები	9.05%-11.6%	16,874	9.05%-11.6%	16,823
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი		(17)		-
სულ ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში		16,857		16,823

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 657 ათასი და 657 ათასი ლარი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი დადგინდა კონტრაგენტებისათვის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული რეიტინგების საფუძველზე.

12. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	შენობები და სხვა უძრავი ქონება	კომპიუტერები და კავშირგაბმულობის მოწყობილობა	ტრანსპორტი	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
თავდაპირველი ღირებულებით/გადაფასებით								
1 იანვარი, 2017	9,316	2,185	557	828	735	148	258	14,027
შესყიდვა	-	51	-	80	165	181	119	596
ტრანსფერი	-	113	-	-	38	(151)	-	-
31 დეკემბერი, 2017	9,316	2,349	557	908	938	178	377	14,623
შესყიდვა	-	76	61	64	110	7	219	537
რეალიზაცია	-	-	(32)	-	-	-	(31)	(63)
ტრანსფერი	18	97	-	-	-	(115)	-	-
გადაფასება	1,243	-	-	-	-	-	-	1,243
31 დეკემბერი, 2018	10,577	2,522	586	972	1,048	70	565	16,340
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი, 2017	30	884	175	466	292	-	61	1,908
წლის დარიცხვა	123	263	45	80	106	-	57	674
31 დეკემბერი, 2017	153	1,147	220	546	398	-	118	2,582
წლის დარიცხვა	138	285	45	91	123	-	87	769
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	(32)	-	-	-	(31)	(63)
გაუქმება გადაფასების შედეგად	(195)	-	-	-	-	-	-	(195)
31 დეკემბერი, 2018	96	1,432	233	637	521	-	174	3,093
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2017	9,163	1,202	337	362	540	178	259	12,041
31 დეკემბერი, 2018	10,481	1,090	353	335	527	70	391	13,247

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად გაცვეთილმა ძირითადმა საშუალებებმა შეადგინა შესაბამისად, 1,193 ათასი და 1,062 ათასი ლარი.

ბანკის კუთვნილი შენობა-ნაგებობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადაფასების დღეს არსებულ რეალურ ღირებულებას, რასაც აკლდება შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. 2018 წლის მაისში შენობა-ნაგებობები გადაფასდა საბაზრო ღირებულებით.

შეფასება ჩაატარა შემფასებელთა დამოუკიდებელმა კომპანიამ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და აქვს ბოლოდროინდელი გამოცდილება მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასებაში. შედარების პროცესში მათ გამოიყენეს სამი შესადარი ანალოგი (რეგისტრირებული გაყიდვა ან/და გაყიდვის შეთავაზება), რომლის ფარგლებში ფასები კორექტირდა შესაბამისი აქტივებისა და ანალოგების სხვაობების საფუძველზე. აქტივების უმეტესობა შეფასდა საბაზრო მიდგომით/შეთოდით ბაზარზე არსებული სიტუაციის გამო, კერძოდ, იმის გამო, რომ შეფასების დღეს არსებობდა რეგისტრირებული გაყიდვებისა და გაყიდვის შეთავაზებათა საკმარისი რაოდენობა.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ბანკის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა რეალური ღირებულების იერარქიის შესახებ, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შეფასების ტექნიკა	დაკვირვების გარეშე არსებული მონაცემები	სამართლიანი ღირებულება	სამართლიანი ღირებულება 2018 წ. 31 დეკემბერს
შენობები რეგიონის მიხედვით:	გაყიდვების შედარების მიდგომა			
- თბილისი – შარტავას ქუჩა				6,930
- თბილისი – კოსტავას ქუჩა		III დონის ფასი კვადრატულ მეტრზე	III დონე	2,700
- ბათუმი – გორგასალის ქუჩა				930
სულ				10,560

ბანკის შენობა-ნაგებობები ისტორიული ღირებულებით რომ გაზომილიყო, მათი საბალანსო ღირებულება, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა, შესაბამისად, 8,593 ათასი და 8,713 ათასი ლარი.

13. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
თავდაპირველი ღირებულებით 1 იანვარი, 2017	4,681
შესყიდვა	837
31 დეკემბერი, 2017	5,518
შესყიდვა	350
31 დეკემბერი, 2018	5,868
დაგროვილი ამორტიზაცია:	
1 იანვარი, 2017	1,471
წლის დარიცხვა	302
31 დეკემბერი, 2017	1,773
წლის დარიცხვა	344
31 დეკემბერი, 2018	2,117
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2017	3,745
31 დეკემბერი, 2018	3,751

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამებსა და ლიცენზიებს.

14. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები	644	630
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(42)	-
	602	630
სხვა არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული აქტივები	750	555
წინასწარ გაწეული ხარჯები	143	179
საგადასახადო ანგარიშსწორება, გარდა მოგების გადასახადისა	33	1
ავანსი ძირითადი საშუალებების შესყიდვაზე	3	71
სხვა	266	211
	1,195	1,017
სულ სხვა აქტივები	1,797	1,647

15. გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის წელი	საშუალო შეწონილი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	შეწონილი საშუალო ეფექტური განაკვეთი	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
დეპოზიტები დამფუძნებელი კომპანიიდან	EUR/USD	2019	1.54%	1.54%	35,704	186,434
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	USD	2019-2022	3.94%	3.94%	235,899	76,600
რეზიდენტი კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები	USD	2018	-	-	2,657	-
სულ გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ					**274,260**	**263,034**

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ გადასახდელებში შესული დარიცხული პროცენტი შეადგენს 8,721 ათას და 3,814 ათას ლარს, შესაბამისად.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ (271,602 ათასი და 263,034 ათასი ლარი – 99% და 100%) წარმოდგენილი იყო ერთი ბანკის მიმართ (დამფუძნებელი ბანკი) არსებული ვალდებულებით, რაც მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

16. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
მოთხოვნამდე ანგარიშები	50,498	27,539
ვადიანი დეპოზიტები	35,979	34,144
სულ კლიენტების დეპოზიტები	86,477	61,683

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 891 ათასი და 783 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, 33,034 ათასი და 19,446 ათასი ლარის ოდენობით (კლიენტების მთლიანი დეპოზიტების 38% და 32%), ეკუთვნოდა 10 კლიენტს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, 1,071 ათასი და 2,575 ათასი ლარის ოდენობით, წარმოადგენდა ბანკის მიერ გაცემული გარანტიების უზრუნველყოფას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები, 3,658 ათასი და 7,956 ათასი ლარის ოდენობით, გამოყენებული იყო კლიენტების სესხების უზრუნველყოფად.

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ვაჭრობა და მომსახურება	35,046	21,574
ფიზიკური პირები	30,024	22,898
მშენებლობა	8,665	6,521
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5,815	1,331
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები	4,108	2,322
ენერგეტიკა	96	110
სხვა	2,723	6,927
სულ კლიენტების დეპოზიტები	86,477	61,683

17. რეზერვები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზერვებში შევიდა ფასს 9-ის შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და ბასს 37-ის შესაბამისი რეზერვები, რომლებიც გარანტიებისა და ნაკისრი სესხებისათვის შეიქმნა.

მოძრაობა რეზერვებში იყო:

	გარანტიები და ნაკისრი სესხები
1 იანვარი, 2017	146
წლის განმავლობაში აღიარებული რეზერვები	33
31 დეკემბერი, 2017	179
ფასს 9-ის გამოყენების ეფექტი	169
1 იანვარი, 2018	348
წლის განმავლობაში აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(75)
31 დეკემბერი, 2018	273

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	799	730
სხვა არაფინანსური ვალდებულებები:		
თანამშრომელთა ანაზღაურების რეზერვი	1,314	1,677
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა	9	12
სულ სხვა ვალდებულებები	2,122	2,419

19. სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი %	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი 2018 წ.	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სს "ხალიკ-ბანკი ყაზახეთი"	აშშ დოლარი	2022	6%	6%	26,860	26,013
სულ სუბორდინირებული სესხი					26,860	26,013

ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, ეს სესხი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის დავალიანების დაფარვის შემდეგ.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხში შედის დარიცხული პროცენტი, შესაბამისად, 94 და 91 ათასი ლარის ოდენობით.

	1 იანვარი	ფინანსირების ფულადი ნაკადები	პროცენტის დარიცხვა წლის განმავლობაში	პროცენტის გადახდა წლის განმავლობაში	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება წლის განმავლობაში	31 დეკემბერი
2018 წლის განმავლობაში	26,013	-	1,561	(1,558)	844	26,860
2017 წლის განმავლობაში	26,561	-	1,526	(1,530)	(544)	26,013

20. სააქციო კაპიტალი

2018 წლის 19 მარტს ბანკმა გამოუშვა 14,000 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული 10,000 ლარის ნომინალური ღირებულებით. აქციები სრულად იქნა შესყიდული დამფუძნებლის მიერ.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის განცხადებული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 62,000 და 48,000 ჩვეულებრივი აქციისაგან, შესაბამისად, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1,000 ლარის ოდენობით. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ გამოშვებული სააქციო კაპიტალი სრულად იქნა გადახდილი.

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების დანაკარგებამდე

წმინდა საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი გაუფასურების დანაკარგებამდე მოიცავს:

	2018	2017
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	31,703	28,256
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	1,785	1,737
ფული და ფულის ექვივალენტები	994	674
საეალდებულო ნაშთი სებ-ში	87	87
	34,569	30,754
სხვა საპროცენტო შემოსავალი:		
ჯარიმები	1,331	1,081
სხვა	349	392
	1,680	1,473
სულ საპროცენტო შემოსავალი	36,249	32,227
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ხარჯი:		
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(7,914)	(4,553)
კლიენტების დეპოზიტები	(2,621)	(2,266)
სუბორდინირებული სესხი	(1,542)	(1,525)
სულ საპროცენტო ხარჯი	(12,077)	(8,344)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	24,172	23,883

მე-3 ეტაპის კლიენტებზე გაცემული სესხების ნეტო საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთელილმა საპროცენტო შემოსავალმა 419 ათასი ლარით შეამცირა გროს-საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთელილი საპროცენტო შემოსავალი (შენიშვნა №22).

22. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მძრნე და არამძრნე აქტივებზე

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე:

	ფული და ფულის ექვივალენტები	საეალდებულო ნაშთი სებ-ში	მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	კლიენტებზე გაცემული სესხები	ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	სულ
31 დეკემბერი, 2016	-	-	-	5,453	-	5,453
გაუფასურების დანაკარგები	-	-	-	1,300	-	1,300
ჩამოწერა	-	-	-	(7)	-	(7)
31 დეკემბერი, 2017	-	-	-	6,746	-	6,746
კორექტირება ფასს 9-ის პირველ გამოყენებაზე	3	2	1	1,115	9	1,130
1 იანვარი, 2018	3	2	1	7,861	9	7,876
გაუფასურების დანაკარგები/(გაუფასურების დანაკარგის აღდგენა)	4	-	-	(869)	8	(857)
საპროცენტო სარგებელი	-	-	-	419	-	419
ჩამოწერა	-	-	-	(88)	-	(88)
31 დეკემბერი, 2018	7	2	1	7,323	17	7,350

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის არმქონე აქტივებზე:

	სხვა ფინანსური აქტივები
31 დეკემბერი, 2017	-
კორექტირება ფასს 9-ის პირველ გამოყენებაზე	-
1 იანვარი, 2018	-
გაუფასურების დანაკარგები	42
31 დეკემბერი, 2018	42

23. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
საკომისიო შემოსავლები:		
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	910	3,767
ანგარიშსწორების საკომისიო	288	277
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	265	246
სხვა	155	66
სულ საკომისიო შემოსავლები	1,618	4,356
საკომისიო ხარჯები:		
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	(660)	(2,325)
ანგარიშსწორების საკომისიო	(145)	(151)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(56)	(34)
სულ საკომისიო ხარჯები	(861)	(2,510)

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში, საკომისიო შემოსავლებსა და ხარჯებში შევიდა პლასტიკური ბარათით განხორციელებულ ოპერაციებზე დარიცხული მომსახურების გადასახადი. ბანკი შუამავლის როლს ასრულებს რამდენიმე რეზიდენტ კომპანიასა და პლასტიკური ბარათის მომსახურების მომწოდებლებს, „ვიზასა“ და „მასტერკარდს“ შორის. ამ მომსახურებისათვის ბანკი იღებს და იხდის საკომისიო გადასახადს.

24. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	2018	2017
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	626	1,192
საკურსო სხვაობა, წმინდა	477	(87)
სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოგება-ზარალში	1,103	1,105

25. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2018	2017
ხელფასები და პრემიები	7,907	7,503
ცვეთა და ამორტიზაცია	1,113	976
საოპერაციო იჯარა	649	452
ოპერაციები პლასტიკური ბარათით და ანგარიშსწორების ხარჯები	678	635
საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურება	405	272
კავშირგაბმულობა	232	119
სარეკლამო ხარჯები	222	524
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	142	125
კომუნალური ხარჯები	136	140
პროფესიული მომსახურება	121	149
ძირითადი საშუალებების რემონტი	78	35
საოფისე მარაგები	47	80
დაზღვევის ხარჯები	44	117
სამივლინებო ხარჯები	42	23
წარმომადგენლობითი ხარჯები	30	29
დაცვის ხარჯები	23	49
სხვა ხარჯები	834	686
სულ საოპერაციო ხარჯები	12,703	11,914

26. მოგების გადასახადი

ბანკი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილ საგადასახადო ბაზისს ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისათვის არსებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან,
დროსა და, ასევე, გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-იან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე.
2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სხვა ოპერაციების რეზერვი	198	252
სხვა ვალდებულებები	53	26
სხვა აქტივები	21	(123)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(808)	(545)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(1,993)	(1,360)
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(2,529)	(1,750)

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	2018	2017
მოგება მოგების გადასახადამდე	14,415	13,613
გადასახადი კანონით განსაზღვრული განაკვეთით (15%)	2,162	2,042
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	(303)	(286)
მოგების გადასახადის ხარჯი	1,859	1,756
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	1,100	1,726
მიმდინარე წელს აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	759	30
მოგების გადასახადის ხარჯი	1,859	1,756
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		
საწყისი ნაშთი	(1,750)	(1,720)
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენებისას	196	-
1 იანვრის მდგომარეობით	(1,554)	(1,720)
მოგების გადავადებული საგადასახადო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(759)	(30)
მოგების გადავადებული საგადასახადო ხარჯი სხვა სრულ შემოსავალში	(216)	-
საბოლოო ნაშთი	(2,529)	(1,750)

27. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს გარესაბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობით ვალდებულებებზე დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 273 ათასი და 179 ლარი, შესაბამისად.
2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები:		
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	9,193	9,910
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	25,318	25,731
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	34,511	35,641

საკრედიტო ხაზის ფარგლებში კლიენტისათვის სესხის გაცემას ბანკი ამტკიცებს ინდივიდუალურად. სესხის გაცემა დამოკიდებულია მსესხებლის ფინანსურ მაჩვენებლებზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე.

კაპიტალური ვალდებულებები

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი კაპიტალური ვალდებულებები.

საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები

საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება ჩვეულებრივ შესაძლებელია ბანკის მხრიდან ფართის მფლობელისათვის შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინების გაგზავნის ვადა, როგორც წესი, ერთიდან სამ თვემდე მერყეობს და მას საკმაოდ დიდი ჯარიმების გამოწვევა შეუძლია. გაუქმების უფლების გარეშე გაფორმებული იჯარის მინიმალური გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
1 წელზე ნაკლები	865	608
1-5 წესი	1,972	1,421
5 წელზე მეტი	-	-
სულ	2,837	2,029

ბანკს საოპერაციო ლიზინგით რამდენიმე ფართი აქვს აღებული. იჯარის ტიპური საწყისი პერიოდი სამიდან ხუთ წლამდე მერყეობს და მასში ჩადებულია შემდგომი განახლების ოფცია. საიჯარო გადასახდელები, საბაზრო ფასების შესაბამისად, ყოველ ორ-სამ წელიწადში იზრდება.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირებისას დროდადრო ჩნდება კლიენტებისა და კონტრაგენტების მოთხოვნები ბანკის მიმართ. ხელმძღვანელობის აზრით, არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და ამგვარად ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესაბამისი ზარალის რეზერვს.

გადასახადები

საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ ბიზნესის საქმიანობის თაობაზე თვითნებური დასკვნების გაკეთების საშიშროება. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები არ მოიწონებენ ბანკის რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კანონი "საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება" 2014 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა. კანონში შევიდა დამატებითი საანგარიშგებო და დოკუმენტაციის განმსაზღვრელი მოთხოვნები. ახალი კანონის მიხედვით საგადასახადო უწყებებს უფლება აქვთ, მეწარმეს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეული ტრანზაქციების ფარგლებში, რომლებიც ასევე მოიცავს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ საგადასახადო ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი კომერციულ საფუძველზე არ არის განსაზღვრული. საგადასახადო ორგანოების მიერ ბანკის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების ეჭვქვეშ დაყენების შესაძლო შედეგის სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების, გაუფასურების რეზერვის შექმნისა და გარიგებების საბაზრო ფასის დადგენისას. ასევე, ამგვარმა უზუსტობებმა შეიძლება თავი იჩინოს კლიენტების სესხებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ან რეზერვის აღდგენაზე დროებითი განსხვავებების შეფასებისას, რაც იწვევს დასაბეგრი მოგების შემცირებულად წარმოდგენას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

საოპერაციო გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას

ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის განვითარების მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2017 და 2018 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს-ის თანახმად, სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გასხვისებისთვის ბაზარზე კომერციული ოპერაციის შედეგად გარიგების თარიღში.

რეალური ღირებულების რეგულარული შეფასება

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ითხოვენ ან ნებას რთავენ კომპანიებს რეგულარულად შეაფასონ რეალური ღირებულებები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში რეალური ღირებულებით ფასდება და მესამე დონეს მიეკუთვნება.

ისეთი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აისახება სამართლიანი ღირებულებით (და რომელთა მიმართ არსებობს რეალური ღირებულების განმარტების მოთხოვნა).

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის.

ფული და ფულის ექვივალენტები, სავალდებულო რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და კლიენტების დეპოზიტები

რეალური ღირებულების შეფასება ფულისა და ფულის ექვივალენტების, სებ-ში სავალდებულო რეზერვების, ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნებისა და გადასახდელების და კლიენტების დეპოზიტების შემთხვევაში ხდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე საანგარიშგებო თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთების საფუძველზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები

ფიზიკურ პირებზე სესხები გაიცემა როგორც ფიქსირებული, აგრეთვე ცვლადი განაკვეთით. ვინაიდან ამგვარი სესხებისა და ავანსების აქტიური, მეორადი ბაზარი არ არსებობს, პორტფელის საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. ფიქსირებული განაკვეთი - უზრუნველყოფილი სესხების გარკვეული ნაწილი გაიცემა ფიქსირებული განაკვეთით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებზე საანგარიშგებო თარიღში არსებული საბაზრო განაკვეთების საფუძველზე.

ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში

სამართლიანი ღირებულების შეფასება ფიქსირებული განაკვეთის მქონე სასესხო ინსტრუმენტებზე ხდება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების საფუძველზე იმ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახასიათებს ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებს მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადით. დისკონტის განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტაზე, ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხის რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასების საზოგადოდ გავრცელებული მოდელებით და ეფუძნება მსგავს ინსტრუმენტებზე დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების ფასების გამოყენებით შედგენილი სახსრების მოძრაობის ანალიზს.

სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ძირითადად, წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებითა და გადასახდელებით. ამდენად, მათი საბალანსო ღირებულება ითვლება სამართლიან ღირებულებად.

ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც შედარებულია მათ შესაბამის საბალანსო ღირებულებასთან:

	რეალური ღირებულება იერარქია	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
		საბალანსო	რეალური	საბალანსო	რეალური
ფული და ფულის ექვივალენტები	1-ელი დონე	24,876	24,876	20,335	20,335
სავალდებულო ბალანსი სებ-ში	მე-2 დონე	26,436	26,436	44,955	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	მე-2 დონე	1,732	1,732	1,645	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	401,091	399,326	326,416	327,405
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	მე-2 დონე	16,857	18,861	16,823	18,857
სხვა ფინანსური აქტივები	მე-3 დონე	602	602	630	630
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	მე-2 დონე	274,260	270,470	263,034	262,658
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	86,477	86,409	61,683	61,996
სხვა ფინანსური ვალდებულებები	მე-3 დონე	799	799	730	730
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	26,860	26,860	26,013	26,013

29. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს აქციონერების უკუგების მაქსიმიზაცია. მენეჯმენტსა და აქციონერებს განზრახული აქვთ, გააგრძელონ ბანკის განვითარება. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მოქმედი საწარმოს დაშვება ბანკის შემთხვევაში ადეკვატურია საკმარისი კაპიტალის ადეკვატურობისა და წარსული გამოცდილების გამო, რომელიც მეტყველებს, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები ბიზნესის მიმდინარეობისას ჩვეულებრივ დაფინანსდება.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა სხვა ღონისძიებებთან ერთად მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობის პროცესში დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად ბანკის მიერ სებ-ის აღრიცხვის წესების დაცვით შედგენილი ანგარიშების მეშვეობით.

სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნებით ბანკები ვალდებულნი არიან:
ა) ფლობდნენ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ დონეს შემდეგი გრაფიკით

- 30,000 ათასი ლარი - 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- 40,000 ათასი ლარი - 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
- 50,000 ათასი ლარი - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) შეინარჩუნონ რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან მინიმალურ დადგენილ დონეზე ან მეტზე მთელი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

„კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირება კომერციული ბანკებისათვის“ შესწორების თანახმად, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში, ბანკი ვალდებული იყო, ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის ფარდობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებთან ჰქონოდა 9.57%, 11.94% და 18.8%, შესაბამისად.

2017 წლის 18 დეკემბერს სებ-მა მიიღო შესწორება „კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების რეგულირება კომერციული ბანკებისათვის“ (ბრძანება №100/04). კაპიტალის ადეკვატურობის ახალი

სქემის მიხედვით კაპიტალის მოთხოვნები იყოფა ჩვეულებრივ პირველადი კაპიტალის I პილარად, პირველად კაპიტალად და მარეგულირებელ კაპიტალად. დამატებითი ბუფერები არსებობს ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მარეგულირებელი კაპიტალის I პილარისა და II პილარის სახით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მიერ შემოტანილი პილარ 1 და პილარ 2 ბუფერები იყო:

1. I პილარის ბუფერებია:
- კაპიტალის კონსერვაციის (კკ) ბუფერი, რომელიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- სისტემური რისკის (სრ) ბუფერი ოთხი წლის განმავლობაში დაწესდება სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის
- კონტრციკლური კაპიტალის (კცკ) ბუფერი განსაზღვრულია 0%-ზე.

I პილარის ბუფერების კორექტირება ხდება სებ-ის შეხედულებისამებრ.

2. II პილარის ბუფერები:
- საგალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის (სკცსრ) ბუფერი, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაშია არაჰეჯირებული უცხოურ ვალუტაში აღებული სესხებისათვის;
- კონცენტრაციის რისკის (კრ) ბუფერი, რომელიც დაწესდება სექტორული და ინდივიდუალური მსესხებლის რისკებისათვის;
- წმინდა სტრესის (წს) ბუფერი, რომელიც დაწესდება ჯგუფის მიერ წარდგენილი სტრესის ტესტირების შედეგების მიხედვით;
- წმინდა ზოგადი რისკის შეფასების პროგრამის ბუფერი, რომელიც სებ-მა უნდა განსაზღვროს და გამოყენებული იქნება ბანკის სპეციფიური რისკების საფუძველზე.

კაპიტალის ადეკვატურობის სქემით დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მოთხოვნები, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგია:

კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	I პილარი				II პილარი			31 დეკემბერი, 2018
	მოთხოვნა	I პილარის ბუფერები			II პილარის ბუფერები			სულ მინიმალური მოთხოვნები
		CC	SR	CCC	CICR	CR	NS	GRAPE	
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	1.94 %	0.21 %	0.00%	0.42%	9.57%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	2.60 %	0.28 %	0.00%	0.56%	11.94%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	3.47 %	1.41 %	0.00%	2.80%	18.18%

კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან	I პილარი				II პილარი			31 დეკემბერი, 2017
	მოთხოვნა	I პილარის ბუფერები			II პილარის ბუფერები			სულ მინიმალური მოთხოვნები
		CC	SR	CCC	CICR	CR	NS	GRAPE	
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	4.5%	2.5%	0%	0%	2.10%	0.00%	0.00%	0.00%	9.10%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	6.0%	2.5%	n/a	n/a	2.81%	0.00%	0.00%	0.00%	11.31%
სულ საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	8.0%	2.5%	n/a	n/a	3.75%	0.00%	0.00%	0.00%	14.25%

გარდა ამისა, განახლებული მეთოდით, შემოტანილი იქნა გადახდისა და შემოსავლის ფარდობისა და სესხისა და ღირებულების ფარდობის ზღვრული მაჩვენებლები. იმ პოზიციებისათვის, რომლებიც ამ ორი კოეფიციენტის წინასწარ განსაზღვრულ ლიმიტებში არ ჯდება, დადგინდა უფრო მაღალი რისკი, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს შეწონვა.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამავე თარიღისათვის მოქმედი სებ-ის აღრიცხვის წესებისა და კაპიტალის ადეკვატურობის სქემის ფარგლებში მომზადებული ანგარიშების მიხედვით, კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
სააქციო კაპიტალი	62,000	48,000
გადაფასების რეზერვი	1,614	406
გაუნაწილებელი მოგება	22,765	13,982
გამოქვითვები ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალიდან	(5,365)	(4,151)
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალი	81,014	58,237
პირველადი კაპიტალი	81,014	58,237
კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხი	16,060	20,738
სესხზე დანაკარგების საერთო რეზერვები (რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-მდე)	5,751	4,983
სულ საზედამხედველო კაპიტალი	102,825	83,958
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	510,466	421,310
ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.14%	19.93%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	15.87%	13.82%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.14%	19.93%

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებისას მიზნებისთვის ბანკმა გაითვალისწინა მიღებული სუბორდინირებული დეპოზიტი, რომელიც შეზღუდულია პირველადი კაპიტალის 100%-მდე. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ვალდებულების გადახდა სუბორდინირებულია ბანკის ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების გადახდასთან.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის დადგენის მიზნით, სრული საზედამხედველო კაპიტალის გამოთვლაში შეიტანა საერთო რეზერვები, რომლებიც რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ით შემოიფარგლება.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ბანკმა სრულად დააკმაყოფილა გარედან დაკისრებული კაპიტალის მოთხოვნები.

30. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის ფარგლები, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. მისი მეშვეობით ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ბანკს ახასიათებს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

საკრედიტო რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დაწესებულ ფარგლებში. რისკის მართვის განყოფილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრედიტო რისკის მართვასა და კონტროლში. ეს განყოფილება პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის გამოვლენასა და შეფასებაზე, კონტროლის განხორციელებასა და მონიტორინგზე. რისკის მართვის განყოფილება პირდაპირ მონაწილეობს საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შიდა წესების, რეგულაციებისა და საკრედიტო პროგრამების განხილვაში. ამასთან, განყოფილება ბანკს აწვდის დამოუკიდებელ რეკომენდაციებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად, ახორციელებს საკრედიტო რისკის კონტროლსა და მონიტორინგს, ხელმძღვანელობას უმზადებს შესაბამის მოხსენებებს და უზრუნველყოფს დაკრედიტების პროცესის შესაბამისობას გარე კანონებთან/წესებთან ისევე, როგორც შიდა მოთხოვნებსა და პროცედურებთან. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს რისკის მოცულობის ლიმიტების დაწესებით ერთ მსესხებელზე/კონტრაგენტზე ან მსესხებელთა ჯგუფზე და დარგობრივ (გეოგრაფიულ) სეგმენტზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ზღვარი დარგების მიხედვით მტკიცდება და კონტროლდება აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. საკრედიტო რისკის ზღვარს საკრედიტო პროგრამებთან მიმართებაში (მცირე და საშუალო ზომის საწარმოები) დირექტორთა საბჭო ამტკიცებს. რისკდამოკიდებულება თითოეულ მსესხებელთან, მოიცავს საბალანსო და გარესაბალანსო რისკდამოკიდებულებას, რომელიც განიხილება საკრედიტო კომიტეტისა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. რეალური რისკდამოკიდებულება ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

საჭიროების დადგომისას და გარანტიების გაცემის შემთხვევაში, ბანკი იღებს უზრუნველყოფასა და კორპორაციულ და პირად გარანტიებს.

კრედიტის გაცემის ვალდებულებას წარმოადგენს გარანტიები ან აკრედიტივები. გარესაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიმარტება, როგორც დანაკარგების ალბათობა, გამომდინარე კონტრაგენტის უუნარობიდან, შეასრულოს სახელშეკრულებო პირობები. რაც შეეხება საკრედიტო ვალდებულების საკრედიტო რისკს, ბანკი პოტენციურად დგას მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობის თანხის დაკარგვის საშიშროების წინაშე. თუმცა, დანაკარგის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე, რადგან აკრედიტის გაზრდის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი და გამომდინარეობს კლიენტების მიერ სპეციფიური საკრედიტო მოთხოვნების დაცვიდან. ბანკი აკონტროლებს გარესაბალანსო საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ძირითადად აქვთ უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკების კატეგორიები

ბანკი თითოეულ სარისკო პოზიციას საკრედიტო რისკის კატეგორიას აკუთვნებს იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც განისაზღვრება დეფოლტის რისკის პროგნოზირებისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული საკრედიტო შეფასებების გაკეთების მიზნით. საკრედიტო რისკის კატეგორიები განისაზღვრება დეფოლტის რისკის ამსახველი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით და დამოკიდებულია გამოვლენილი რისკის მოცულობასა და მსესხებლის სახეობაზე.

ნებისმიერი რისკის გამოვლენა ხდება საწყის ეტაპზე მსესხებლზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის დამუშავების გზით. რისკების გამოვლენა მუდმივ მონიტორინგს ექვემდებარება და იწვევს მის გადატანას საკრედიტო რისკის სხვა კატეგორიაში.

ბანკში გამოიყენება ავტომატიზებული პროგრამა „რისკის ანალიტიკოსი", რომელიც კორპორაციულ მსესხებლებზე მუშაობს და შიდა რეიტინგის მოდელების ორ შესაძლო მიდგომას გულისხმობს. ესენია „ფუნდამენტური ანალიზი" და „შეფასების ფურცელი". ორივე მიდგომა კოეფიციენტებისა და ფინანსური მაჩვენებლების რთულ ანალიზს ემსახურება.

მთავარი სხვაობა ორ აღნიშნულ მიდგომას შორის სისტემის მიერ მოდელის ცვლადი მონაცემების გამოთვლისა და შეფასების მინიჭების მეთოდია. მეორე მხრივ, თუმცა მეთოდოლოგიები განსხვავდება, ორივე სისტემა ერთსა და იმავე ტექნოლოგიურ პლატფორმაზე მუშაობს. გარდა ამისა, თითოეული შიდა სარეიტინგო მოდელი, მოდელის მიუხედავად, იძლევა მსესხებლის რეიტინგსა და დეფოლტის ალბათობას. „შიდა სარეიტინგო მოდელის ავტორი" შიდა სარეიტინგო მოდელების შექმნასა და პროცესზე მორგებას ორივე მიდგომის გამოყენებით უზრუნველყოფს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბანკში გამოიყენება მცირე და საშუალო მსესხებლების შეფასების კიდევ ერთი, შიდა შეფასების ფურცლის სისტემა. შეფასების ფურცელი მსესხებლის ფინანსური მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებს ეფუძნება. შედეგად, შიდა შეფასების ფურცლის სისტემა მსესხებლებს შიდასაბანკო რეიტინგს ანიჭებს.

სესხის გაცემისას მას, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ენიჭება რისკის ქულა, რომელიც მოგვიანებით აისახება რეიტინგებში. სარეიტინგო კატეგორიებში რეიტინგების გადანაწილება სხვადასხვა რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა ფინანსური პირობები, მართვის ხარისხი, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, გარე ფაქტორების ზეგავლენა, ა.შ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია სესხის გაცემისას მინიჭებული რეიტინგები.

რეიტინგი	აღწერა
1	მაღალი ხარისხის სესხი, დაბალი რისკი: მსესხებელი უმაღლეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გადახდის უნარი ძალზე ძლიერია. საქმიანობაზე გარე უარყოფითი ფაქტორები თითქმის არ მოქმედებს.
2+	
2	
3+	
3	
3+	
3	
3-	დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხი, დაბალი რისკი: მსესხებელი მოთხოვნების უმეტესობას აკმაყოფილებს. გადახდის უნარი ძლიერია. სუსტად არის დამოკიდებული გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე.
4+	
4	
4-	
5+	დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხი, საშუალო რისკი: მოკლევადიან პერსპექტივაში მსესხებელი მცირე მოწყვლადობას ავლენს. თუმცა, უფრო მაღალია სენსიტიურობა ბიზნესის, ფინანსურ და ეკონომიკურ სფეროებში უარყოფითი ცვლილებების ეფექტის მიმართ.
5	
5-	
6+	დამაკმაყოფილებელი ხარისხის სესხი, საშუალოზე მაღალი რისკი: მოწყვლადია და არის უარყოფითი ხასიათის, ბიზნესის, ფინანსური და ეკონომიკური გარემოებების მიმართ. თუმცა, ამჟამად ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა არსებობს.
6	
6-	
7+	დეფოლტის მაღალი რისკი: ფინანსური ვალდებულებების შესრულება შესაძლებელია ხელსაყრელ ბიზნესის, ფინანსური და ეკონომიკურ პირობებში.
7	
7-	
8	დეფოლტი: კლიენტის გადახდისუნარიანობა დაბალია. კლიენტის საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე.
9	
10	

რეიტინგის ცვლილება

კატეგორიის ცვლილება რამდენიმე რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორზეა დამოკიდებული. ესენია ფინანსური პირობები, ფინანსური ინფორმაციის ხარისხი, კონკურენტული პოზიცია ბაზარზე, მიმწოდებლების/მყიდველების ზეგავლენა, მფლობელის ზეგავლენა, მართვის ხარისხი, არახელსაყრელი მოვლენების რისკი, ა.შ.

საკრედიტო რისკის მეთოდოლოგია 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებებს, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე და შესაბამისი დანაკარგების კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ბანკი საკრედიტო რისკს ზომავს „დეფოლტის ალბათობით“ (PD), „დეფოლტის რისკის პოზიციით“ (EAD) და „დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით“ (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გასაზომად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

ფასს 9-ის შესაბამისად, ბანკში გამოიყენება გაუფასურების სამეტაპიანი მოდელი, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის საკრედიტო რისკის მატარებელი თავდაპირველი შეფასებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე და მისი საკრედიტო რისკის მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს.
- თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (SICR) გამოვლენის შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტი გადადის მე-2 ეტაპზე, მაგრამ საკრედიტო რისკის მატარებლად ჯერ არ ითვლება.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი საკრედიტო რისკის მქონეა, ის შემდეგ გადადის მე-3 ეტაპზე.
- 1-ელი ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ეზომება არსებობის მანძილზე იმ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ოდენობით, რომლებიც მომდევნო 12 თვეში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით იქნება გამოწვეული. მე-2 და მე-3 ეტაპის ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები იზომება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო რისკის დანაკარგების საფუძველზე.
- ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო დანკარგების გაზომვის საზოგადო კონცეფციის შესაბამისად, საპროგნოზო ინფორმაცია მხედველობაში არ მიიღება.
- საკრედიტო რისკის მატარებელი შესყიდული ან წარმოშობილი ფინანსური აქტივები ის ფინანსური აქტივებია, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას უკვე საკრედიტო რისკის მატარებელია. მათი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები ყოველთვის არსებობის მანძილზე იზომება (მე-3 ეტაპი).

ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვს აღიარებს შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოგება-ზარალის ანგარიშში რეალური ღირებულებით არ აისახება:

- მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ
- კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები
- ინვესტიციები სასესხო ფასიან ქაღალდებში
- სხვა მოთხოვნები
- სასესხო გარანტიები და
- გაცემული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები რეზერვის საშუალებით უნდა შეადგენდეს შემდეგ ოდენობას:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ), ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ისეთი მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ანგარიშგების დღიდან 12 თვის განმავლობაში (1-ელი ეტაპი); ან
- მსდ მთელი არსებობის მანძილზე, ანუ მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ყველა შესაძლო მოვლენიდან, რომელიც შესაძლებელია დადგეს ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე (მე-2 და მე-3 ეტაპები).

მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის რეზერვი საჭიროა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტისათვის, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, მსდ შეადგენს 12 თვიანი მსდ-ის ტოლ თანხას.

აუთვისებელი სასესხო გარანტიებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტების შემთხვევაში, მსდ იზომება კრედიტის კონვერსიის 100%-იანი ფაქტორის საფუძველზე.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მოთხოვნებს, ბანკთაშორის დეპოზიტებსა და საკორესპონდენტო ანგარიშებს, აგრეთვე სასესხო ინსტრუმენტებში ინვესტიციებს გაუფასურება ერიცხება 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე. დეფოლტის ალბათობა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები კლიენტებისათვის მიიღება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მოწოდებული საკრედიტო რეიტინგის ინფორმაციიდან.

სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ფასდება ინდივიდუალურად, კლიენტის სესხზე დანაკარგის რეზერვის განაკვეთით. თუ კლიენტს ბანკში სესხი არ ჰქონია, მაშინ გამოიყენება კლიენტის საკრედიტო რეიტინგი და დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტით გამოწვეული დანაკარგის შესაბამისი მაჩვენებლები. გარდა ამისა, ფასდება მოთხოვნის გამოვლენილი რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი. ბოლო ეტაპზე, PD, LGD და რისკის მოქმედების მოსალოდნელი პერიოდი ერთმანეთზე მრავლდება და მიიღება მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი.

კლიენტებზე გაცემული სესხები

მსესხებლების საკრედიტო რისკის გამოვლენის შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა ფასს 9-ის შესაბამისი მეთოდოლოგია.

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, სესხების იმგვარი პორტფელით აფასებს, რომელიც მსგავსი საკრედიტო რისკის მაჩვენებლებით ხასიათდება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის გამოვლენებად ითვლება ის მსესხებლები/მსესხებელთა ჯგუფები, რომელთა რისკის გამოვლენა საზედამხედველო კაპიტალის 1%-ს აჭარბებს. გარდა ამისა, მათში დაფიქსირებული უნდა იყოს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშნები.

ისეთი რისკის გამოვლენის დასადგენად, რომლის საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა ან რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამომწვევი მოვლენა, ანალიზდება ინფორმაცია მსესხებლების ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკების, ვადაგადაცილების სტატუსის, რესტრუქტურიზაციის, საკრედიტო რეიტინგებისა და უზრუნველყოფის რეალური ღირებულების თაობაზე.

მსდ ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკის გამოვლინებაზე, რომლებიც საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის ნიშნებით ხასიათდება, ფასდება ინდივიდუალურად. სდ, რომელიც საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის ნიშნებით არ ხასიათდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკის გამოვლინებაზე ფასდება ჯგუფურად.

მსდ-ის შეფასება ინდივიდუალურად

ინდივიდუალურად შეფასებული სესხების შემთხვევაში, სდგ ფასდება კონტრაქტით ბანკის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მომავალი ეკონომიკური სცენარების სიმრავლის შეწონვით მისაღები ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება გადახდები და სესხის უზრუნველყოფად ფლობილი აქტივების უზრუნველყოფის რეალიზაცია.

უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულება ზოგადად ფასდება ამოღების პერიოდად მხედველობაში ორი წლის, ხოლო შეფასების ზღვრულ მაჩვენებლად 25%-ის მიღებით. ზოგადი მიდგომა შეიძლება ინდივიდუალურად შეიცვალოს, თუ სხვა გარემოებებმა უჩვენა, რომ ამოღების პერიოდი ან შეფასების ზღვრული მაჩვენებელი არარეალისტურია.

მსდ-ის შეფასება ჯგუფურად

მსდ-ის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ცვლადების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD);

- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით.

ჯგუფური შეფასება ტარდება მსესხებლის და არა კონტრაქტის დონეზე.

სეგმენტაცია

ჯგუფურად შეფასებული სესხები სეგმენტებად იყოფა საკრედიტო რისკის შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- სეგმენტი
- ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა
- რესტრუქტურიზაცია
- უზრუნველყოფა

ის პორტფელი, რომელზეც მსდ-ის შეფასება ხდება, იყოფა 4 სეგმენტად: კორპორაციული, მცირე და საშუალო ბიზნესი და უზრუნველყოფილი საცალო და არაუზრუნველყოფილი საცალო.

თითოეული სეგმენტი შემდეგ იყოფა 5 კატეგორიად, რომელთაგან თითოეული მსგავსი საკრედიტო რისკის თვისებებით ხასიათდება, როგორიცაა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა და რესტრუქტურიზაცია.

სეგმენტაციის ზემოთ აღწერილი წესების მიხედვით, ჯგუფურად შეფასებული პორტფელი ჯგუფდება 20 მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების კატეგორიად.

დეფოლტის განსაზღვრება

შეფასების დასადგენად კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება დეფოლტის განსაზღვრებას, რომელიც მსდ-ის ოდენობის შეფასებაშია ინტეგრირებული. დეფოლტის მოვლენად ბანკი მიიჩნევს შემდეგ მოვლენებს:

- ჯგუფურად შეფასებულ სესხებში მსესხებელმა ბანკის მიმართ მატერიალურ საკრედიტო ვალდებულებაზე ვადას გადააცილა 90-ზე მეტი დღით
- მსესხებლის მატერიალური საკრედიტო ვალდებულება დაექვემდებარა რესტრუქტურიზაციას, ხოლო აქტივების კატეგორია, საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივების კლასიფიკაციის რეგულაციის მიხედვით, არის „საყურადღებო სესხი“, „საშუალოზე უარესი სესხი“, „საეჭვო სესხი“, „დანაკარგიანი სესხი“
- მსესხებლის მიერ ბანკისათვის საკრედიტო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელი არ არის, მისი ვალები ჩამოიწერა ან გაიყიდა დიდი ფასდათმობით, ხოლო მსესხებელზე მიმდინარეობს გაკოტრების პროცესი.

იმის განსაზღვრისას, სავარაუდოა თუ არა მსესხებლის მხრიდან საკრედიტო ვალდებულების დაფარვა, ბანკი მხედველობაში იღებს როგორც ხარისხობრივ, აგრეთვე რაოდენობრივ ინდიკატორებს. დეფოლტის შესაფასებლად ბანკი იყენებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს, რომლებიც ან ბანკის შიგნით არის შემუშავებული, ან გარე წყაროებიდან მიიღება. შეფასებული ინფორმაცია ასევე დამოკიდებულია რისკის გამოვლენის სიდიდეზეც. ანალიზში მნიშვნელოვან მონაცემებს წარმოადგენს ხარისხობრივი ინდიკატორები, როგორიცაა შიდა საკრედიტო რეიტინგის უდაბლესი კატეგორია და გარედან მიღებული ინფორმაცია მსესხებლის ფინანსური სიტუაციის შესაძლო გაუარესების თაობაზე. ეს ინდიკატორები გამოიყენება მსდ-ის ინდივიდუალურად შესაფასებელი სესხების დასადგენად, თუ მსესხებლის რისკის გამოვლენა მნიშვნელოვნად მაღალ ზღვრულ მაჩვენებელს აღემატება.

საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდა

თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის აღმოსაჩენად, ბანკი მონიტორინგს ახორციელებს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებსაც გაუფასურება ერიცხება. თუ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა, ბანკი დანაკარგის რეზერვს აფასებს მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის და არა 12 თვიანი მსდ-ის საფუძველზე.

იმის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ინფორმაციას. მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის მნიშვნელოვანი გაუარესება, რაც იწვევს დეფოლტის ალბათობის 10%-ზე მეტით ზრდას და შიდა რეიტინგი არის 6- ან უარესი, აგრეთვე მნიშვნელოვანი კლება უზრუნველყოფის ფასში, შეიძლება ჩაითვალოს საკრედიტო რისკის საგრძნობი ზრდის ხარისხობრივ მაჩვენებლად. სწორედ ეს ინდიკატორები გამოიყენება ინდივიდუალურად შესაფასებელი მსდ-ის მქონე სესხების გამოსაველენად, თუ მსესხებლის რისკი ზღვრულ მაჩვენებელს აღემატება.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი საგრძნობლად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე, ანუ დანაკარგის რეზერვი განიხილება მთელი არსებობის მანძილზე მსდ-ის მიხედვით.

დეფოლტის ალბათობის მოდელი

თითოეული ჯგუფისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის განსასაზღვრად, ბანკი იყენებს მიგრაციის მატრიცების მეთოდოლოგიას, რომელიც ისტორიულ მონაცემებსა და გადაუხდელობის გამოცდილებაზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე სარწმუნოდ ზომავს იმ სესხების ოდენობას, რომლებიც დროთა განმავლობაში დეფოლტს განიცდის საბალანსო უწყისის თარიღამდე დამდგარი მოვლენების გამო. ჰომოგენური ჯგუფის დაკვირვების პერიოდად აღებულია ერთი წელი 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე. დაკვირვების პერიოდის განმავლობაში გენერირდა ერთ თვიანი მიგრაციის მატრიცები. პორტფელის ზრდის ეფექტის გამოსარიცხად 2016 წლის იენისის შემდეგ გაცემული სესხები სტატისტიკურ ანალიზში არ შევიდა.

მიგრაციის მატრიცები გამოიყენება თითოეული ჯგუფურად შესაფასებელი ჯგუფის 12 თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად. ამის გათვალისწინებით, ხდება ზღვრული დეფოლტის ალბათობების გამოთვლა პორტფელის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე წელიწადზე. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად დეფოლტად განისაზღვრა 90 დღიანი ვადაგადაცილება. მსესხებელი, რომელმაც ერთხელ მაინც განიცადა დეფოლტი დაკვირვების პერიოდის განმავლობაში, დეფოლტიანად ითვლება დაკვირვების პერიოდის დარჩენილ ვადაშიც.

დროის მომენტში დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას ამუშავებს სხვადასხვა მაკროსცენარის მეშვეობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი ზრდა იწვევს მთლიანი მსდ-ის 4.5%-იან ზრდას, რაც შეადგენს 327 ათას ლარს. ხოლო თითოეულ წრეში საშუალო დეფოლტის ალბათობის 10%-იანი კლება იწვევს მთლიანი მსდ-ის 6.6%-იან კლებას, რაც შეადგენს 483 ათას ლარს.

LGD მოდელი

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია LGD (დეფოლტით გამოწვეული დანაკარგები), ანუ დეფოლტის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის შეფასებული ოდენობა. მის შესაფასებლად დეფოლტგანცდილი რისკგამოვლინებები სეგმენტების მიხედვით მცირდება უზრუნველყოფად გამოყენებული დეპოზიტებით, 2 წლიანი ამოღების პერიოდის უზრუნველყოფის დისკონტირებული სალიკვიდაციო ღირებულებითა და 25%-იანი შეფასების ზღვრული მაჩვენებლით. LGD მოდელები არაუზრუნველყოფილი აქტივებისათვის მხედველობაში იღებს დეფოლტგანცდილი აქტივების ამოღების განაკვეთს. LGD იზომება სეგმენტურად და არა მსესხებლის დონეზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 17%-იან ზრდას, რაც შეადგენს 1,244 ათას ლარს, ხოლო შეფასების ზღვრული მაჩვენებლის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 14%-იან კლებას, რაც შეადგენს 1,025 ათას ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამოღების პერიოდის 10%-იანი ზრდა იწვევს მსდ-ის 6%-იან ზრდას, რაც შეადგენს 439 ათას ლარს, ხოლო ამოღების პერიოდის 10%-იანი კლება იწვევს მსდ-ის 5%-იან კლებას, რაც შეადგენს 366 ათას ლარს.

EAD მოდელი

EAD წარმოადგენს მთლიან მისაღებ თანხას დეფოლტის დროს. ბანკი მას ანგარიშობს კონტრაგენტის მიმდინარე რისკის გამოვლენისა და მიმდინარე თანხის კონტრაქტით პოტენციურად ნებადართული ცვლილებების საფუძველზე, ამორტიზაციის ჩათვლით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ბანკი მსდ-ის გამოთვლებში იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიკურ მონაცემებსა და ეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც მონეტარული სამსახურები აქვეყნებენ. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მსდ-ის გამოთვლებში გამოიყენება. 12 თვიანი მსდ (1-ელი ეტაპის სესხები) ფასდება მხოლოდ თორმეტთვიანი დეფოლტის ალბათობით. არსებობის მანძილზე მსდ (მე-2 და მე-3 ეტაპების სესხები) ფასდება ყველა წლიური ზღვრული დეფოლტის ალბათობებით სესხის ვადის გასვლამდე.

ფასს 9-ის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია.

ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის გამოყენებით ბანკმა შეაფასა ურთიერთქმედება მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და საკრედიტო რისკსა და დეფოლტის ალბათობას შორის. ინდივიდუალურად შეფასებული სესხების მომავალ ეკონომიკურ სცენარში შედის სამი მაკროეკონომიკური ინდიკატორი - მშპ-ის ზრდა, ლარი/აშშ დოლარი გაცვლითი კურსი და უძრავი ქონების ფასები. ჯგუფურად შეფასებული პორტფელის შემთხვევაში, ბანკს შეუძლია შეაფასოს, თუ რა ზეგავლენა აქვს მსდ-ზე მხოლოდ მშპ-ის ზრდას, რადგან სათანადო და არგუმენტირებული ინფორმაცია არ არსებობს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ 2019-2023 წლების საქართველოს ეკონომიკურ სცენარებში შესული ინდიკატორები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს მსდ-ზე.

	2019	2020	2021	2022	2023
მშპ-ის ზრდის დონე					
საბაზისო სცენარი	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
აღმავალი სცენარი	6.50%	5.50%	5.00%	5.00%	5.00%
დაღმავალი სცენარი	2.00%	3.00%	4.00%	4.00%	4.00%
ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	0%	0%	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	3%	2%	2%	0%	0%
დაღმავალი სცენარი	-15%	-10%	5%	0%	0%
უძრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)					
საბაზისო სცენარი	2.90%	3.00%	3.00%	0.00%	0.00%
აღმავალი სცენარი	3.60%	3.30%	3.00%	0.00%	0.00%
დაღმავალი სცენარი	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

პროგნოზირებული ურთიერთობა ეკონომიკურ ინდიკატორებსა და დეფოლტსა და დანაკარგის განაკვეთებს შორის სესხის პორტფელებში შემუშავდა ბოლო 5 წლის მონაცემების საფუძველზე.

ბანკმა ჩაატარა სენსიტიურობის ანალიზი, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ შეიცვლება სესხის პორტფელის მსდ მათ გამოთვლაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების ცვლილებების შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი მსდ, თუ თითოეული გამოყენებული დაშვება შეიცვლება მშპ-ის ზრდის განაკვეთის 5%-იანი ზრდის ან კლების და უძრავი ქონების ფასების 10%-იანი ცვლილების პირობებში. საილუსტრაციოდ, ცვლილებები იზოლირებულად არის ნაჩვენები და გამოყენებულია თითოეულ ალბათობის მიხედვით შეწონილ სცენარზე, რომლებსაც მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება ეფუძნება.

მაკროეკონომიკური ცვლადი:	ცვლილება	საშუალო დეფოლტის ალბათობა	საშუალო **LGD**	ზეგავლენა მსდ-ზე
მშპ-ის ზრდის განაკვეთი	5%	13.5%	-	-1,157
	-5%	18.0%	-	950
უძრავი ქონების ფასები	10%	-	8.4%	-2,625
	-10%	-	18.0%	3,671

მსდ-ის გამოთვლა

როდესაც ზღვრული PD და LGD დგინდება თითოეული სეგმენტისათვის, ხდება სესხზე დანაკარგის რეზერვის გამოთვლა. ის დამოკიდებულია ჯგუფების რისკის მახასიათებლებზე: 12 თვიანი მსდ გამოითვლება 1-ელი ეტაპის ჯგუფებისთვის (31 დღეზე ნაკლები გადაცილება) და არსებობის მანძილზე მსდ მე-2 ან მე-3 ეტაპის ჯგუფებისათვის (30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება ან რესტრუქტურირებული სესხი). დანაკარგის რეზერვის გამოთვლის შედეგი ბანკს საშუალებას აძლევს, მიიღოს ჯგუფური შეფასების 20 კატეგორიიდან თითოეულის საშუალო გაუფასურების განაკვეთი, რომლებიც გამოიყენება სესხზე დანაკარგის რეზერვის ფორმირებისათვის მთლიანი მოდელის ხელახლა გამოთვლამდე. გაუფასურების მოდელის გადათვლა 2018 წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა, ბოლოს - 2018 წლის დეკემბერში, უახლესი ინფორმაციის საფუძველზე.

კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის თაობაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით:

	მთლიანი სესხები	1-ელი ეტაპის 12 თვიანი მსდ	მე-2 ეტაპის არსებობის მანძილზე მსდ - არა საკრედიტო რისკიანი	მე-2 ეტაპის არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკიანი	სულ მსდ	წმინდა სესხები	მსდ რეზერვი მთლიან სესხებთან %
კორპორაციული სესხები							
5	1,040	(8)	-	-	(8)	1,032	0.77%
5-	18,986	(143)	-	-	(143)	18,843	0.75%
6+	22,480	(169)	-	-	(169)	22,311	0.75%
6	121,315	(799)	(218)	(604)	(1,621)	119,694	1.34%
6-	52,482	(315)	-	(1,272)	(1,587)	50,895	3.02%
7+	1,182	(9)	-	-	(9)	1,173	0.76%
7-	678	(5)	-	-	(5)	673	0.74%
9	4,545	(34)	-	-	(34)	4,511	0.75%
ურეიტინგო	538	(4)	-	-	(4)	534	0.74%
სულ კორპორაციული სესხები	223,246	(1,486)	(218)	(1,876)	(3,580)	219,666	1.60%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები							
5	44,369	(17)	-	-	(17)	1,768	1.0%
5-	23,829	(19)	-	(28)	(47)	2,132	2.1%
6+	156	(106)	-	(376)	(482)	12,059	3.8%
6	314	(410)	(58)	(246)	(714)	43,655	1.6%
6-	12,541	(238)	(33)	(111)	(382)	23,447	1.6%
7+	15,771	(4)	-	(23)	(27)	1,188	2.2%
7-	1,215	-	-	(17)	(17)	139	11.0%
9	2,179	(3)	-	-	(3)	311	1.0%
ურეიტინგო	1,785	(135)	(72)	(162)	(369)	15,402	2.3%
სულ მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	102,159	(932)	(163)	(963)	(2,058)	100,101	2.01%
საცალო სესხები							
ურეიტინგო	83,009	(659)	(130)	(896)	(1,685)	81,324	2.03%
სულ საცალო სესხები	83,009	(659)	(130)	(896)	(1,685)	81,324	2.03%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	(3,077)	(511)	(3,735)	(7,323)	401,091	1.79%

ბანკის სარეიტინგო მეთოდოლოგიის მიხედვით, კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებში შედის ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების სესხები.

ბანკი საცალო სესხებზე, სადაც ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები შედის, შიდა საკრედიტო რისკის რეიტინგს არ იყენებს.

რესტრუქტურიზებული სესხები

კლიენტებზე გაცემულ სესხებზე პირობების ცვლილება, როგორც წესი, ხდება კლიენტებთან ურთიერთობის განვითარების პროცესის ფარგლებში ან მსესხებლის მდგომარეობის გაუარესების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოლაპარაკების შედეგად შესაძლოა გაგრძელდეს სესხის გადახდის ვადა

ან შეიცვალოს გადახდის გეგმა, რომლის მიხედვითაც ბანკი შეღავათიან საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს იმ მსესხებლებს, რომლებიც ნამდვილად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამის შედეგად, აქტივი კლასიც ვადაგადაცილებული რჩება და ინდივიდუალურად გაუფასურებულია, თუ ხელმეორე მოლაპარაკების შედეგად დადგენილი საპროცენტო განაკვეთისა და ძირითადი თანხის გადახდა ნაკლებია აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებაზე. სხვა შემთხვევაში, მოლაპარაკებების შედეგად იდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც ახალ სესხად განიხილება.
ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, კლასების მიხედვით, რომელთა პირობები შეიცვალა:

ფინანსური აქტივის კლასი	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017
კლიენტებზე გაცემული სესხები	13,942	12,774
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2,186)	(2,409)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს ისეთი 1-ლი ეტაპის სესხები, რომელთა რესტრუქტურიზაციაც მოხდა მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ მე-2 ან მე-3 ეტაპზე;

კლიენტებზე გაცემული სესხების მოძრაობა ეტაპების მიხედვით

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს, მოძრაობა კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში იყო:

	2018			
	1-ელი ეტაპი: 12 თვიანი მსდ	მე-2 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის არმქონე	მე-3 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის მქონე	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2017	311,085	1,560	20,515	333,160
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	-	-	-	-
მთლიანი საბალანსო ღირებულება 1 იანვარი, 2018	311,085	1,560	20,515	333,160
ცვლილება მთლიან საბალანსო ღირებულებაში:				
–გადავიდა 1-ელ ეტაპზე	734	(734)	-	-
–გადავიდა მე-2 ეტაპზე	(25,053)	25,365	(312)	-
–გადავიდა მე-3 ეტაპზე	-	(13,782)	13,782	-
ახალი წარმოშობილი სესხები	210,953	2,663	5,413	219,029
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	311	2	639	952
გადახდილი სესხები	(139,423)	(872)	(9,404)	(149,699)
ჩამოწერა	-	-	(88)	(88)
გაცვლითი კურსის ცვლილება	4,023	357	680	5,060
მთლიანი საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2018	362,630	14,559	31,225	408,414

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს, მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვში იყო:

	2018			
	1-ელი ეტაპი: 12 თვიანი მსდ	მე-2 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის არმქონე	მე-3 ეტაპი: არსებობის მანძილზე მსდ - საკრედიტო რისკის მქონე	სულ
დანაკარგის რეზერვი 31 დეკემბერი, 2017	2,749	72	3,925	6,746
კორექტირება ფასს 9-ის პირველი გამოყენების გამო	665	95	355	1,115
დანაკარგის რეზერვი 1 იანვარი, 2018	3,414	167	4,280	7,861
ცვლილება დანაკარგის რეზერვში:				
–გადაიდა 1-ელ ეტაპზე	92	(92)	-	-
–გადაიდა მე-2 ეტაპზე	(337)	379	(42)	-
–გადაიდა მე-3 ეტაპზე	-	(296)	296	-
ახალი წარმოშობილი სესხები	1,768	154	605	2,527
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	80	-	67	147
გადახდილი სესხები	(1,892)	(41)	(1,775)	(3,708)
ცვლილება რისკის პარამეტრებში	(80)	237	(91)	66
ჩამოწერა	-	-	(88)	(88)
პროცენტი	-	-	419	419
სხვა მოძრაობა	32	3	64	99
დანაკარგის რეზერვი 31 დეკემბერი, 2018	3,077	511	3,735	7,323

საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია - 2018 წლის 1 იანვრამდე

2018 წლის 1 იანვრამდე ბანკის საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნებოდა ბასს 39-ს.

მსესხებლების მიმართ საკრედიტო რისკდამოკიდებულების შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა ფასს-ების შესაბამისი მეთოდოლოგია.

გაუფასურებულ სესხებზე მიღებული ზარალი აღიარდება მაშინვე, როგორც კი გაჩნდება ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხი ან სესხების პორტფელი გაუფასურდა. გაუფასურების ანარიცხები, რომელიც ითვლება ინდივიდუალურ სესხებზე ან მათ ჯგუფებზე, აღირიცხება ბალანსში გაუფასურებული სესხების საბალანსო ღირებულებაში. ისეთი ზარალი, რომელიც შეიძლება, მომავალში განვითარებული მოვლენების შედეგად წარმოიშვას, არ აღიარდება.

ბანკი სესხების მთლიან პორტფელს ჰყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო მსესხებლებად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება მსესხებლები, რომელთა ვალდებულებაც 500,000 აშშ დოლარს აჭარბებს. ასეთი მსესხებლების დეფოლტის ალბათობა ფასდება ბანკის სპეციფიური მეთოდოლოგიის მიხედვით. გაუფასურების ნიშნების არარსებობისას ინდივიდუალურად შეფასებული სესხი ფასდება იმ განაკვეთით, რომელიც ეფუძნება მსესხებელთა იმავე კატეგორიის კოლექტიურ შეფასებას.

ინდივიდუალური შეფასების მეთოდოლოგია

იმის ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, გაუფასურდა თუ არა სესხი, გამოიყენება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ინფორმაცია მსესხებლის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, ბიზნესისა და ფინანსური რისკდამოკიდებულებების, ასევე, მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდისუუნარობის დონეებისა და ტენდენციების, მოწოდებული უზრუნველყოფის (უძრავი ქონებისა და დეპოზიტების) სამართლიანი ღირებულების შესახებ. ეს და სხვა ფაქტორები, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე, ერთად აღებული, წარმოადგენს იმის მნიშვნელოვან ობიექტურ მტკიცებულებას, რომ ფინანსურ აქტივს ან ფინანსური აქტივების ჯგუფს გაუფასურების დანაკარგი დაერიცხა.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან მსესხებლებზე გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება ინდივიდუალურ სესხებზე სამომავლო დისკონტირებულ ფულად ნაკადებს, გადახდებისა და უზრუნველყოფის სახით ფლობილი აქტივების რეალიზაციის გათვალისწინებით.

გაუფასურების რეზერვის დათვლის მიზნით ბანკი აფასებს უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულებას გასაყიდი პერიოდისა და საბაზრო ღირებულებასთან სხვაობის გათვალისწინებით.

პორტფელის ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია

გაუფასურება ჯგუფურად ფასდება იმ ზარალის დასაფარად, რომელიც ბანკმა გასწია, მაგრამ ჯერ არ დაუკავშირებია ინდივიდუალურად შესაფასებელ სესხებთან ან სესხების ჰომოგენურ ჯგუფებთან, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად არ ითვლება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხები, რომლებზეც არ არსებობს კონკრეტულად იდენტიფიცირებული გაუფასურების მტკიცებულება ინდივიდუალურ საფუძველზე, გაუფასურების შესაფასებლად ჯგუფდება საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ამგვარი შეფასება ასახავს გაუფასურების დანაკარგებს, რომლებიც ჯგუფმა განიცადა ბალანსის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და რომელთაც ჯგუფი ვერ ავლენს და სარწმუნოდ ვერ აფასებს ინდივიდუალური სესხების საფუძველზე. ჯგუფში ინდივიდუალურ სესხებზე დანაკარგების თაობაზე ინფორმაციის გაჩენის პარალელურად ეს სესხები ჯგუფიდან ამოიღება და ფასდება ინდივიდუალურად.

ინდივიდუალურად უმნიშვნელოდ ჩათვლილი სესხების ჰომოგენური ჯგუფების კოლექტიური გაუფასურების დანაკარგების დასადგენად სტატისტიკური მეთოდები გამოიყენება. ჯგუფური შეფასება ტარდება არა კონტრაქტის, არამედ მსესხებლის დონეზე.

ჯგუფური შეფასებისთვის შერჩეული პორტფელი იყოფა კორპორაციულ, მცირე და საშუალო საწარმოების, უზრუნველყოფილ საცალო და არაუზრუნველყოფილ საცალო სეგმენტებად.

შესაბამისი ემპირიული ინფორმაციის არსებობისას ჯგუფი იყენებს მიგრაციის მატრიცების მეთოდოლოგიას, რომლითაც ისტორიული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისა და დეფოლტისა და გადახდისუუნარობის გამოცდილების კომბინაციით სარწმუნოდ იზომება სესხების ის ოდენობა, რომლებიც დროთა განმავლობაში დეფოლტად ჩაითვლება საბალანსო უწყისის თარიღამდე მომხდარი მოვლენების შედეგად, მაგრამ მოცემულ მომენტში ინდივიდუალურად ვერ ფასდება.

თითოეულ სეგმენტზე დაკვირვების პერიოდი განისაზღვრა 1 წლით 2016 წლის ნოემბრიდან. დაკვირვების პერიოდის განმავლობაში, ბანკმა შეიმუშავა ერთთვიანი მატრიცები თითოეული სესხის თვის ბოლოს არსებული მდგომარეობისა და რისკდამოკიდებულების მეშვეობით. პორტფელის ზრდის ეფექტის გამორიცხვის მიზნით, 2017 წლის ივნისის შემდგომ გაცემული სესხები სტატისტიკურ ანალიზში არ შევიდა.

მიგრაციის მატრიცის შედეგები გამოიყენება თითოეული სეგმენტისთვის დეფოლტის 12-თვიანი ალბათობის გამოსათვლელად. დეფოლტი განისაზღვრა, როგორც ყოველ სეგმენტში 90 დღიანი ვადაგადაცილება.

გადეფოლტებული ოდენობა მცირდება სესხის ამოღებადი თანხით, რომელიც განისაზღვრა უზრუნველყოფად გამოყენებული ქონების დისკონტირებული სალიკვდაციო ღირებულებით.

თითოეული პორტფელის შიდა დანაკარგები ფასდება სტატისტიკური მოდელებით, რომლებიც ისტორიულ მონაცემებს ეფუძნება. მონაცემები პერიოდულად ახლდება პორტფელისა და ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით. თუ ეკონომიკური, მარეგულირებელი გარემოსა და ქცევითი ვითარების ცვლილებებიდან წარმოქმნილი უახლესი ტენდენციები სტატისტიკურ მოდელში არ აისახება, ამ ფაქტორების გათვალისწინება ხდება ამ სტატისტიკური მოდელებიდან მიღებული გაუფასურების რეზერვის კორექტირებით საბალანსო უწყისის თარიღის მდგომარეობით.

უზრუნველყოფისა და სხვა საკრედიტო ფაქტორების ანალიზი

ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის მოცულობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. უზრუნველყოფის სახეობების მისაღებლობა და შეფასების პარამეტრები დგინდება ინსტრუქციის შესაბამისად.

ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული სესხებისათვის: უძრავი ქონება, გარანტიები, სატრანსპორტო საშუალებები და დანადგარები;
- საცალო სესხებისათვის: საცხოვრებელი ფართის გირავნობა, გარანტიები, სატრანსპორტო საშუალებები და დანადგარები.

ხელმძღვანელობა აკვირდება უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას საბაზისო შეთანხმების შესაბამისად და აკვირდება მიღებული უზრუნველყოფის

საბაზრო ღირებულებას გაუფასურების დანაკარგის რეზერვების ადეკვატურობის მიმოხილვისას. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებული უზრუნველყოფების საბაზრო ღირებულება იყო, შესაბამისად, 789,073 ათასი და 630,407 ათასი ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სესხის პორტფელის ანალიზი უზრუნველყოფის სახეობების მიხედვით:

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
კომბინირებული	264,553	(4,743)	259,810	595,402
უძრავი ქონება	108,702	(1,780)	106,922	190,241
ნაღდი ფული	3,878	(28)	3,850	3,898
გარანტიები	20,595	(281)	20,314	55,126
უზრუნველყოფის გარეშე	10,686	(491)	10,195	-
სულ	408,414	(7,323)	401,091	844,667

უზრუნველყოფის სახეობა	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
კომბინირებული	232,328	(4,918)	227,410	445,891
უძრავი ქონება	86,120	(1,448)	84,672	212,355
ნაღდი ფული	7,074	(40)	7,034	7,883
გარანტიები	1,548	(61)	1,487	2,236
უზრუნველყოფის გარეშე	6,092	(279)	5,813	-
თოტალ	333,162	(6,746)	326,416	668,365

ბანკის პოლიტიკით, უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების თვალსაზრისით, ამგვარი სესხები გაიცემა სესხის ღირებულებასთან ფარდობის საშუალოდ 70%-იანი მაჩვენებლით (სესხის გაცემის დღეს), ანუ ყველაზე დაბალი ღირებულებით, რომლითაც შეიძლება მისი რეალიზება და გამოყენება მსდ-ის გამოთვლებში.

სესხის ღირებულებასთან ფარდობა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	49,235	(997)	48,238
51-70%	35,329	(423)	34,906
71-90%	47,073	(836)	46,237
91-100%	31,058	(318)	30,740
100% მეტი	245,719	(4,749)	240,970
სულ	408,414	(7,323)	401,091

სესხის ღირებულებასთან ფარდობა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	28,270	(581)	27,690
51-70%	17,732	(230)	17,502
71-90%	56,689	(680)	56,008
91-100%	21,957	(266)	21,691
100% მეტი	208,514	(4,990)	203,523
სულ	333,162	(6,746)	326,416

ხელმძღვანელობის შეფასებით, სესხის გაცემის თარიღში უზრუნველყოფის რეალური ღირებულება სულ მცირე შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხების საბალანსო ღირებულებების ტოლია. უზრუნველყოფის რეალური ღირებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასდა.

ქვემოთ მოცემულია სესხის პორტფელის ანალიზი სესხის ღირებულებისა და უზრუნველყოფის რეალური ღირებულებების ფარდობის მიხედვით:

სესხის ღირებულებაზე ფარდობაზე დაფუძნებული რეალური ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2018 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2018 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	79,921	(1,383)	78,538
51-70%	59,892	(1,000)	58,892
71-90%	162,913	(3,023)	159,890
91-100%	60,805	(803)	60,002
100% მეტი	44,883	(1,114)	43,769
სულ	408,414	(7,323)	401,091

სესხის ღირებულებასთან ფარდობა უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე	31 დეკემბერი, 2017 მთლიანი საბალანსო ღირებულება	31 დეკემბერი, 2017 მსდ-ის რეზერვი	31 დეკემბერი, 2017 საბალანსო ღირებულება
50%-ზე ნაკლები	46,607	(820)	45,787
51-70%	70,951	(813)	70,138
71-90%	71,070	(1,888)	69,182
91-100%	103,955	(1,691)	102,265
100% მეტი	40,579	(1,534)	39,045
სულ	333,162	(6,746)	326,416

მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება

ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ცვალებადია და განპირობებულია როგორც ინდივიდუალური რისკებით, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ზოგადი რისკებითაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო და გარესაბალანსო ფინანსური აქტივების მაქსიმალურ საკრედიტო რისკდამოკიდებულებას. ბალანსის უწყისში ასახული ფინანსური აქტივების მაქსიმალური რისკდამოკიდებულება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე ან უზრუნველყოფამდე. პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება წარმოდგენილია ინსტრუმენტების საკონტრაქტო ღირებულებითიმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა, საპასუხო მოთხოვნები ან გარანტია გაუფასურდა და პირობითი ვალდებულებება ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება.

31 დეკემბერი, 2018	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება	წმინდა რისკდამოკიდებულება
ფული და ფულის ქვივალენტები სალაროში არსებული ფულის გარდა	19,481	19,474
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	26,438	26,436
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,733	1,732
კლიენტებზე გაცემული სესხები	408,414	401,091
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,874	16,857
სხვა ფინანსური აქტივები	644	602
გარანტიები და აკრედიტივები	9,193	8,991

31 დეკემბერი, 2017	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება	წმინდა რისკდამოკიდებულება
ფული და ფულის ქვივალენტები სალაროში არსებული ფულის გარდა	13,700	13,700
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,645	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	333,162	326,416
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,823	16,823
სხვა ფინანსური აქტივები	630	630
გარანტიები და აკრედიტივები	9,910	9,731

გარესაბალანსო რისკი

გარესაბალანსო რისკების სამართავად გამოიყენება რისკის მართვის არსებითად ისეთივე პოლიტიკა, როგორიც საბალანსო რისკების შემთხვევაში. სასესხო ვალდებულების შემთხვევაში, კლიენტებსა და კონტრაგენტებზე გავრცელდება კრედიტის მართვის ისეთივე პოლიტიკა, როგორიც სესხებისა და ავანსების შემთხვევაში. ბანკმა უზრუნველყოფა შეიძლება მოითხოვოს კონტრაგენტის ფინანსური სიძლიერისა და გარიგების ხასიათის მიხედვით.

გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს კანონმდებლობასა და მარეგულირებელ წესებთან დაკავშირებულ რისკებს და აფასებს მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კონცენტრირებული იყო საქართველოში.

აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2018 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	23,200	1,676	-	24,876
ვალდებულო რეზერვი სებ-ში	26,436	-	-	26,436
მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ	-	1,732	-	1,732
კლიენტებზე გაცემული სესხები	399,320	1,376	395	401,091
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,857	-	-	16,857
სხვა ფინანსური აქტივები	602	-	-	602
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	466,469	4,784	395	471,648
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	2,657	271,603	-	274,260
კლიენტების დეპოზიტები	72,788	9,145	4,544	86,477
სხვა ფინანსური ვალდებულებები	799	-	-	799
სუბორდინირებული სესხი	-	26,860	-	26,860
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	76,244	307,608	4,544	388,396
წმინდა პოზიცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე	390,225	(302,824)	(4,149)	83,252

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2017 სულ
არაწარმოებული ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	19,102	1,233	-	20,335
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	-	-	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	1,645	-	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	325,661	755	-	326,416
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,823	-	-	16,823
სხვა ფინანსური აქტივები	630	-	-	630
სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები	407,225	3,633	-	410,858
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	263,034	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	48,952	11,545	1,186	61,683
სხვა ფინანსური ვალდებულებები	730	-	-	730
სუბორდინირებული სესხი	-	26,013	-	26,013
სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	49,682	300,592	1,186	351,460
წმინდა პოზიცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე	357,543	(296,959)	(1,186)	59,398

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით

ფინანსური აქტივები ხარისხდება საერთაშორისო სააგენტო "ფიჩის" მიერ მინიჭებული მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით. AAA მაქსიმალური რეიტინგია. საინვესტიციო რანგის ფინანსური აქტივების რეიტინგი მერყეობს AAA - BBB ფარგლებში. ამ უკანასკნელზე ნაკლები რეიტინგის მქონე ფინანსური აქტივები ითვლება სპეკულაციურად.

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგს:

31 დეკემბერი, 2018	AAA	AA	A	BBB	<BBB	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	-	-	-	-	24,816	60	**24,876**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	-	-	-	26,436	-	**26,436**
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	1,732	-	-	-	**1,732**
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	-	-	7,659	393,432	**401,091**
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	54	**54**
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	-	-	-	-	16,857	-	**16,857**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	602	**602**
31 დეკემბერი, 2017	AA	A	AA-	BBB	<BBB	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები		-	-	-	20,230	105	**20,335**
სავალდებულო რეზერვი სებ-ში		-	-	-	44,955	-	**44,955**
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	-	1,645	-	-	-	**1,645**
კლიენტებზე გაცემული სესხები		-	-	-	-	326,416	**326,416**
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-	-	54	**54**
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში		-	-	-	16,823	-	**16,823**
სხვა ფინანსური აქტივები		-	-	-	-	630	**630**

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივების დახარისხება ხდება საერთაშორისო სააგენტოების, "ფიჩი", "სტანდარდ & ფუარზი" და "მუდისი" მიერ მინიჭებული მიმდინარე საკრედიტო რეიტინგის მიხედვით.

საბანკო ინდუსტრიას ზოგადად ახასიათებს საკრედიტო რისკი კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების გამო. კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში რისკდამოკიდებულება კონცენტრირებულია საქართველოს ფარგლებში. რისკდამოკიდებულება რეგულარულ მონიტორინგს ექვემდებარება რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

საქართველოს საკრედიტო რეიტინგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების თანახმად შეესაბამება – BB-ს.

ბანკი ახორციელებს მრავალ გარიგებას, სადაც კონტრაგენტები არ არიან შეფასებულნი საერთაშორისო შეფასების სააგენტოების მიერ. ბანკმა შეიმუშავა შეფასების შიდა მოდელი, რის მიხედვითაც იგი განსაზღვრავს კონტრაგენტის რეიტინგს. მსესხებელთა შეფასების მიზნით ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის დადგენის მეთოდოლოგია. ამ მეთოდის საშუალებით მსესხებელს რეიტინგი ენიჭება ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობის, აუდირებული ფინანსური ანგარიშების, მმართველობის ხარისხის, კონკურენტუნარიანობის, საბაზრო წილის, დაკავშირებული მხარეებისა და სხვა ინდიკატორების მიხედვით.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, როცა მათი ვადა ამოიწურება.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე და განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. მიმდინარე ლიკვიდურობის კონტროლი ხორციელდება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომლის ფუნქციაც არის ფულად ბაზრებზე გარიგებების დადება მიმდინარე ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისათვის.

ლიკვიდობის რისკის სამართავად, ბანკი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებისგან მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადებსა და ბანკის ოპერაციებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივ-პასივების მართვის პროცესის ნაწილს. დირექტორატი აწესებს ლიმიტებს ხელმისაწვდომი სახსრების მინიმალურ წილზე გასანაღდებელი დეპოზიტების უზრუნველსაყოფად და ბანკთაშორისი და სხვა სასესხო წყაროს მინიმალურ დონეზე, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს განაღდების მოთხოვნია მისი მოულოდნელი წარმოქმნისას.

ლიკვიდობის რისკის გასაკონტროლებლად, ლიკვიდობის ჯამური დეფიციტისა (სხვაობა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის) და მთლიანი აქტივების ფარდობაზე ბანკი აწესებს ზღვარს. აღნიშნული ზღვრის დარღვევის შემთხვევაში კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას კორექციული ზომების შემოღების შესახებ.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადამდე დარჩენილი პერიოდი, რომელიც გამოიანგარიშება ფინანსური ვალდებულებების დაუდისკონტირებელი ფულადი სახსრების (სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი) იმ უახლოესი თარიღით, როდესაც ბანკი ვალდებულია დაფაროს ვალდებულება; და

(ბ) ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრული დაფარვის ვადამდე დარჩენილი პერიოდი, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე კონტრაქტით გათვალისწინებულ დაფარვის ვადაში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკი ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა დროს ვარაუდობს.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადებს:

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2018 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	12,623	-	-	-	-	-	12,623
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	26,436	-	-	-	-	-	26,436
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	902	754	1,075	2,777	11,349	-	16,857
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,545	5,380	53,125	80,079	255,962	-	401,091
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	46,506	6,134	54,200	82,856	267,311	-	457,007
ფული და ფულის ექვივალენტები	12,253	-	-	-	-	-	12,253
მოთხოვნები ფინანსური ინსტრიტუტების მიმართ	-	-	-	-	1,732	-	1,732
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	54	54
სხვა ფინანსური აქტივები	602	-	-	-	-	-	602
სულ უპროცენტო ფინანსური აქტივები	12,855	-	-	-	1,732	54	14,641
სულ ფინანსური აქტივები	59,361	6,134	54,200	82,856	269,043	54	471,648
ფინანსური ვალდებულებები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7,266	18,143	21,509	227,342	-	-	274,260
კლიენტების დეპოზიტები	24,454	5,636	16,207	7,920	-	-	54,217
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	26,860	-	-	26,860
სულ პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	31,720	23,779	37,716	262,122	-	-	355,337
კლიენტების დეპოზიტები	32,260	-	-	-	-	-	32,260
სხვა ფინანსური ვალდებულებები	799	-	-	-	-	-	799
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები	33,059	-	-	-	-	-	33,059
სულ ფინანსური ვალდებულებები	64,779	23,779	37,716	262,122	-	-	388,396
საპროცენტო პოზიცია	14,786	(17,645)	16,484	(179,266)	267,311	-	
ჯამური საპროცენტო პოზიცია	14,786	(2,859)	13,625	(165,641)	101,670	101,670	
ლიკვიდობის დეფიციტი	(5,418)	(17,645)	(16,484)	(179,266)	269,043	54	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(5,418)	(23,063)	(6,579)	(185,845)	83,198	83,252	

ცხრილში კლიენტების მოთხოვნამდე დეპოზიტები ნაჩვენებია 1 თვემდე ვადაში. ბანკის გამოცდილების მიხედვით, კლიენტები წლის განმავლობაში ბანკში ინარჩუნებენ 28,83 ლარს საშუალოდ. ამდენად, უარყოფითი ლიკვიდობის დეფიციტი სახელშეკრულებო ვადიანობაზე 1 წლამდე მნიშვნელოვნად მცირდება და დადებითი ხდება ქცევითი ვადიანობის გათვალისწინებით.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები (გაგრძელება)
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	განუსაზღვრელი ვადიანობა	2017 წლის 31 დეკემბერი, სულ
ფინანსური აქტივები							
ფული და ფულის ექვივალენტები	8,360	-	-	-	-	-	8,360
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	44,955	-	-	-	-	-	44,955
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	108	507	42	5,302	10,864	-	16,823
კლიენტებზე გაცემული სესხები	12,930	12,663	70,760	134,687	95,376	-	326,416
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	66,353	13,170	70,802	139,989	106,240	-	396,554
ფული და ფულის ექვივალენტები	11,975	-	-	-	-	-	11,975
მოთხოვნები ფინანსური ინსტრიტუტების მიმართ	-	-	-	-	1,645	-	1,645
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-	-	-	54	54
სხვა ფინანსური აქტივები	630	-	-	-	-	-	630
სულ უპროცენტო ფინანსური აქტივები	12,605	-	-	-	1,645	54	14,304
სულ ფინანსური აქტივები	78,958	13,170	70,802	139,989	107,885	54	410,858
ფინანსური ვალდებულებები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	7,821	18,264	160,349	76,600	-	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	9,062	3,940	16,521	4,621	-	-	34,144
სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	26,013	-	26,013
სულ პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები	16,883	22,204	176,870	81,221	26,013	-	323,191
კლიენტების დეპოზიტები	27,539	-	-	-	-	-	27,539
სხვა ფინანსური ვალდებულებები	730	-	-	-	-	-	730
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები	28,269	-	-	-	-	-	28,269
სულ ფინანსური ვალდებულებები	45,152	22,204	176,870	81,221	26,013	-	351,460
საპროცენტო პოზიცია	33,806	(9,034)	(106,068)	58,768	81,872	54	
ჯამური საპროცენტო პოზიცია	33,806	24,772	(81,296)	(22,528)	59,344	59,358	
ლიკვიდობის დეფიციტი	49,470	(9,034)	(106,068)	58,768	80,227	-	
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	49,470	40,436	(65,632)	(6,864)	73,363	73,363	

შემდეგი ცხრილები დეტალურად წარმოადგენს ბანკის დარჩენილ საკონტრაქტო ვალდებულებებს გადახდის წინასწარ შეთანხმებული პერიოდით. ცხრილი შედგა არადისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინების საფუძველზე ბანკის მიერ მათი დაფარვის ყველაზე ადრეული თარიღის გათვალისწინებით. ცხრილი მოიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხის ფულადი სახსრების მოძრაობას. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო შემოსავლები ემყარება ცვლად საპროცენტო განაკვეთს, არადისკონტირებული თანხები გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მრუდებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კონტრაქტით გათვალისწინებული დაფარვის ვადა ემყარება ყველაზე ადრეულ თარიღს, როდესაც ბანკს შეიძლება მოუწიოს თანხის დაფარვა.

კლიენტების მოთხოვნამდე დეპოზიტები შედის 1 თვემდე ლიკვიდობის კატეგორიაში, რადგან კონტრაქტის მიხედვით, საანგარიშო დღეს კლიენტის მოთხოვნით შეიძლება გატანილ იქნეს ნებისმიერი თანხა. ბანკის

მთავარი დეპოზიტარები არიან ის მსესხებლები, რომლებიც, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულნი არიან, ბანკში იქონიონ მოქმედი ანგარიშები და შეინარჩუნონ გარკვეული ბრუნვა. ამდენად, ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მიმდინარე ანგარიშებიდან სავარაუდო გადინება მნიშვნელოვნად განსხვავდება საკონტრაქტო ლიკვიდობისგან.

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2018 წლის 31 დეკემბერი სულ
ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	2.46%	4,612	18,212	21,682	246,993	-	291,499
კლიენტების დეპოზიტები	4.25%	25,244	6,020	15,626	8,534	-	55,424
სუბორდინირებული სესხი	6.00%	44	260	1,210	30,981	-	32,495
სულ ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებები		29,900	24,492	38,518	286,508	-	379,418
უპროცენტო ინსტრუმენტები							
კლიენტების დეპოზიტები		32,260	-	-	-	-	32,260
სხვა ფინანსური ვალდებულებები		799	-	-	-	-	799
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები		33,059	-	-	-	-	33,059
სულ ფინანსური ვალდებულებები		62,959	24,492	38,518	286,508	-	412,477

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2017 წლის 31 დეკემბერი სულ
ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტები							
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	2.46%	7,824	18,314	162,356	83,662	-	272,156
კლიენტების დეპოზიტები	5.12%	9,066	3,960	17,144	5,186	-	35,356
სუბორდინირებული სესხი	6.00%					26,013	26,013
სულ ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებები		16,890	22,274	179,500	88,848	26,013	333,525
უპროცენტო ინსტრუმენტები							
კლიენტების დეპოზიტები		27,538	-	-	-	-	27,538
სხვა ფინანსური ვალდებულებები		730	-	-	-	-	730
სულ უპროცენტო ფინანსური ვალდებულებები		28,268	-	-	-	-	28,268
სულ ფინანსური ვალდებულებები		45,158	22,274	179,500	88,848	26,013	361,793

ზემოთ მოცემულ ცხრილში ვადიანობა საკონტრაქტო პირობებს შეესაბამება. თუმცა, არსებული კანონმდებლობით, ფიზიკურ პირს უფლება აქვს, ვადამდე ადრე გაწყვიტოს საანაბრე ხელშეკრულება.

ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის (არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში) მოცემული თანხები შეიცვლება, თუ ცვლადი განაკვეთი განსხვავდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთისგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ ბანკის მოგებაზე ან კაპიტალზე ან მის მიერ მიზნების მიღწევის უნარზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკსა და სხვა რისკებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებში და იმ რისკებში, რომლებსაც ის

ექვემდებარება, ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. სევე, არ შეცვლილა რისკების მართვისა და გაზომვის მეთოდები.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აგრეთვე მართავს საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკებს ბანკის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის შენარჩუნებით, რაც უზრუნველყოფს ბანკის პოზიტიურ საპროცენტო მარჟას. ფინანსური ზედამხედველობის დეპარტამენტი აწარმოებს ბანკის მიმდინარე ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგს, აფასებს მის მგრძნობიარობას საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის მიმართ და ამ განაკვეთის ცვლილების ზეგავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

მგრძნობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასების გზით ბანკი მართავს სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის მდგომარეობის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძნობიარობას სამართლიანი ღირებულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს საპროცენტო პოზიციაზე ზღვარის დაწესება და მისი მონიტორინგი. ბანკის საბაზრო რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით, საპროცენტო პოზიციაზე ზღვარი წესდება იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთებში 2%-იანი ცვლილებით გამოწვეული დანაკარგი არ უნდა აჭარბებდეს წლიურ ბიუჯეტში მოცემული წმინდა საპროცენტო შემოსავლის 10%-ს.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე" დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია ანგარიშებში რისკების თაობაზე, რომლებსაც ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წ. 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს:

	2018 წ. 31 დეკემბერს		2017 წ. 31 დეკემბერს	
	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%
არაწარმოებული ფინანსური აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები	252	(252)	167	(167)
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	529	(529)	899	(899)
კლიენტებზე გაცემული სესხები	8,022	(8,022)	6,530	(6,530)
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	337	(337)	335	(335)
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები:				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(5,485)	5,485	(5,261)	5,261
კლიენტების დეპოზიტები	(1,083)	1,083	(683)	683
სუბორდინირებული სესხი	(537)	537	(520)	520
წმინდა ზეგავლენა მოგებაზე მოგების გადასახადამდე	2,035	(2,035)	1,467	(1,467)

გავლენა აქციონერთა კაპიტალზე:

	2018 წ. 31 დეკემბერს		2017 წ. 31 დეკემბერს	
	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%	განაკვეთი +2%	განაკვეთი -2%
არაწარმოებული ფინანსური აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები	215	(215)	142	(142)
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	449	(449)	764	(764)
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,819	(6,819)	5,549	(5,549)
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	287	(287)	286	(286)
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები:				
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(4,662)	4,662	(4,472)	4,472
კლიენტების დეპოზიტები	(920)	920	(580)	580
სუბორდინირებული სესხი	(457)	457	(442)	442
წმინდა ზეგავლენა კაპიტალზე	1,730	(1,730)	1,247	(1,247)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძველზე ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ბანკს აძლევს საშუალებას, მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. სახაზინო განყოფილება ახორციელებს ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს, რათა სებ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნეს.

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.0701 ლარი	სხვა ვალუტა	31 დეკემბერი, 2018 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	6,661	6,217	10,788	1,210	24,876
მინიმალური სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	22,392	4,044	-	26,436
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	1,732	-	-	1,732
კლიენტებზე გაცემული სესხები	91,621	290,769	18,701	-	401,091
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,857	-	-	-	16,857
სხვა ფინანსური აქტივები	258	344	-	-	602
სულ ფინანსური აქტივები	115,451	321,454	33,533	1,210	471,648
ფინანსური ვალდებულებები					
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	248,143	26,117	-	274,260
კლიენტების დეპოზიტები	32,282	46,760	7,355	80	86,477
სუბორდინირებული სესხები	-	26,860	-	-	26,860
სხვა ფინანსური ვალდებულებები	298	417	84	-	799
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,580	322,180	33,556	80	388,396
ღია საბალანსო პოზიცია	82,871	(726)	(23)	1,130	

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარი	სხვა ვალუტა	31 დეკემბერი, 2017 სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,206	8,023	955	151	20,335
მინიმალური სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	44,501	454	-	44,955
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	1,645	-	-	1,645
კლიენტებზე გაცემული სესხები	59,848	266,225	343	-	326,416
ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	54	-	-	-	54
ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში	16,823	-	-	-	16,823
სხვა ფინანსური აქტივები	296	334	-	-	630
სულ ფინანსური აქტივები	88,227	320,728	1,752	151	410,858
ფინანსური ვალდებულებები					
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	-	263,034	0	-	263,034
კლიენტების დეპოზიტები	26,599	33,342	1,657	85	61,683
სუბორდინირებული სესხები	-	26,013	-	-	26,013
სხვა ფინანსური ვალდებულებები	472	195	63	-	730
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,071	322,584	1,720	85	351,460
ღია საბალანსო პოზიცია	61,156	(1,856)	32	66	

მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ. შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობიარობას აშშ დოლარის ლართან კურსის 25%-იან ზრდასა და შემცირებასთან მიმართებაში. 25% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულების მიმდინარე ნაწილს და აკორექტირებს მათს გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 25%-იანი ცვლილებით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
	GEL/USD 25%	**GEL/USD (25%)**	**GEL/USD 25%**	**GEL/USD (25%)**
გავლენა მოგება-ზარალზე	182	(182)	(464)	464
გავლენა კაპიტალზე	154	(154)	(395)	395

	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
	GEL/EUR 25%	**GEL/EUR (25%)**	**GEL/EUR 10%**	**GEL/EUR (10%)**
გავლენა მოგება-ზარალზე	6	(6)	8	(8)
გავლენა კაპიტალზე	5	(5)	6	(6)

<u>მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები</u>. ზემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ძირითად დაშვებებში მომხდარი ცვლილებების შედეგებს, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად, ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას.

სხვადასხვა დონის მიმართ საინვესტიციო ბაზრის მოძრაობის პარალელურად, მმართველობითი ზომები შეიძლება მოცავდეს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებას და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას. ამის შედეგად, დაშვებებში ცვლილებებს შეიძლება არ ჰქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ ვითარებაში აქტივებისა და ვალდებულებების გაზომვის განსხვავებულმა მეთოდებმა შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრძნობიარობის ანალიზში მოიცავს ჰიპოთეტიური საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ბანკზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ბანკი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტებისა და მარჟების, ასევე, უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნაღდებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ბანკი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს ისეთი ზარალის რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს სამართლებრივი სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს, მართოს აღნიშნული რისკები და აკონტროლოს გარემო პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. მართვის მექანიზმები მოიცავს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების ეფექტიან პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

31. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები ბანკსა და მის შვილობილ სტრუქტურებს შორის, რომლებიც, ამავდროულად, არიან ბანკთან დაკავშირებული მხარეები, ექვემდებარება ელიმინაციას და ისინი წინამდებარე შენიშვნაში განმარტებული არ არის. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სხვა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

	31 დეკემბერი, 2018		31 დეკემბერი, 2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ნაშთები	მთლიანი კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	1,629	24,876	1,185	20,335
- დამფუძნებელი	1,615		1,127	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	14		58	
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,177	401,091	922	333,162
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	825		749	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	352		174	
კლიენტებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების/გაუფასურების რეზერვი	10	7,323	6	6,746
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	6		5	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	4		1	
გადასახდელები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	271,603	274,260	263,034	263,034
- დამფუძნებელი	271,603		263,034	
კლიენტების დეპოზიტები	3,113	86,477	2,692	61,683
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	204		305	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	2,909		2,387	
სუბორდინირებული სესხები	26,860	26,860	26,013	26,013
- დამფუძნებელი	26,860		26,013	

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	2018		2017	
	დაკავშირე-ბული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირე-ბული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	1,255	7,907	1,191	7,503
სულ	1,255	7,907	1,191	7,503

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2018		2017	
	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	94	36,249	67 -	32,227
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა (დამფუძნებლის ან ბანკის)	77		61	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	17		6	
საპროცენტო ხარჯი	9,536	12,077	6,144	8,344
- დამფუძნებელი	9,454		6,065	
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	5		5	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	77		74	
საკომისიო ხარჯები	129	861	48	2,510
- დამფუძნებელი	129		48	
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის ოპერაციებზე	29	1,103	5	1,105
- დამფუძნებელი	29		5	
საოპერაციო ხარჯები	1,261	12,703	1,197	11,916
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	1,261		1,197	

32. შემდგომი მოვლენები

წლის ბოლოს შემდეგ არ მომხდარა რაიმე ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვდა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ან ნაჩვენები რიცხვების კორექტირებას.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190283271
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.03.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	19837162706219

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2, ვადასტურებ (ინგლისური ენის დამადასტურებელი სერთიფიკატის № 705000549:040197) მქონე მთარგმნელის **ეთერი ზატუაშვილის** (დაბ. 04.01.1997წ. ქ. ბათუმში, პირადი № 13001032222, მცხ: ქ. თბილისი, გლდანის მასივი, VII მიკრო/რაიონი, კორპუსი 6, ბინა 22) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის ხარისხზე და იგი იძლევა თარგმანის ხარისხის გარანტიას.

დოკუმენტი შედგენილია ორ ეგზემპლარად.

დოკუმენტზე დასმულია 178 (ას სამოცდათვრამეტი) ხელმოწერა.

სანოტარო საზღაური - 356.00 (სამას ორმოცდათექვსმეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 422.08 (ოთხას ორმოცდაორი) ლარი და 08 (ნული რვა) თეთრი.

ნოტარიუსი ნინო ხოფერია